

# ისტორია

ბათუმის და  
საქართველო

აუზვიში  
მსოფლიოში  
კიბელი  
სისამართ  
მარკანა

ეპიზოდის  
ნიუონის  
მხატვრება

ქათველის და  
ბანერების  
მოძრაობა

ქათველის ბმის ცეკვა

გრიგოლ აგაშიძის  
ისტორიული ტრილოგია  
6 ტომაჟი  
ლავარება რიბნი I  
ფასი 3 ლარი  
რიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 6 ლარი

ჩელო –  
ბანილები  
ბამობონება  
არჩევაციი  
სახელისა  
მავლები

ნახევ – სკახის  
კასახი ინერციას  
პოლინომის  
სამხერთამაჩინად  
ოცნებების  
სასაფლაო

თეატრის  
ხელის ახალი  
სიცოცხლე  
ვაჟაბის  
ფეხსახის  
გაღასაჩინა



6




10



40



33



25



20



48

## საჩივნო

<b>მოსალ ათები</b>	
თოშსოს ხეობის ახალი სიცოცხლე -----	6
<b>ახალ ათები</b>	
ვარძიის ფრესკების გადასარჩევად -----	8
<b>მოსალ ათები</b>	
თანამედროვე ტყავის ხელნაცემები...	
ენადღურადღელი „ოსტატეაისგან“ -----	9
ვასდევაუდებელი განძის	
„მეორედ მოსვლა“ -----	10
<b>ახალ ათები</b>	
გიგლიური აპრაქტის ქალაქი ცაკოვნია?! ---	11
მრისთავების ორი უნიკალური	
<b>კალიტრა</b> -----	11
<b>ბაბუაზოვის ხელიფიცი</b>	
გახტანგ VI — მეფის დგაჭლის ასახვა	

საზოგადოებრივ აზროვნებაში -----	12
<b>სკანტვილი ეს გარ სახური</b>	
საქართველო საჯალათო კანდავ -----	20
<b>ხელოვნება ეს პოიტიკა</b>	
სანდორ ახმეტელის უცხოები მოგოვნა ---	25
<b>ჟანისიასები</b>	
ბეირობი და ქართველი გოგონა -----	33
<b>ვენეცია ევროპის ისტორია</b>	
ეგვიპტოს ნიმუნის ეკვლელობა -----	40
<b>ფოტომატიკა</b>	
ქართველი მსახიობების აირველი	
ფარმოლგენა ქარსები -----	46
<b>ჟოლიოური ათები</b>	
კოლონიის სამხრეთამერიკული	
ოცნებების სასაფლაო -----	48



54




58



69



82



88



100

## სახელები

ესაზო გალავანი	
ორგანიზაცია „თმთრი ვარდი“	54
ქადაგის ისტორია	
აუგვინის საკონცენტრაციო განაკი	58
ოშის მესახა მხარე	
ძართვალები და პალეორელითა მომრაობა	69
ეილ ბაობონებაზე	
რადიო — გენერალური მიზნება	
„მრავალი მამით“	76
მსოფლიო მოახლეობა	
სომის ბრძოლა — პირველი ტაკიები	
ბრძოლის გელზე	82
სიკვირცის აოცივისა	
ქლება — შვიდობისა და სასახლისას	88
ჩემისტობა ისტორიი	
აკაგანინი — ნაკოლეონის ღის საყვარელი?	96
თარახის ისტორია	
ნარდი — საბრძოლო პასუხი იღეობლებს	100
ცხოველება	
ზურა ყიჯშიძე. ცაპლები — თვალდეთლივი და მეტი — დაფარულად...	106
ერების	
სანდრო კაპულია: მრეკლე მეფის შთამომავალი ვარ!..	112
„ისტორიანი“ ბავშვებისთვის	
500 ფაქტი ისტორიიდან	116
სკანდონი	

## հՀԵՎԻԲՈՒՆԻ ԱՅԵՒ

პოლონეთის სამხრეთით, ქალაქ ოსვენციმის მი-  
დამოებში 1940 წელს ნაცისტებმა მსოფლიოში ყვე-  
ლაშე დიდი საკონცენტრაციო ბანაკი შექმნეს. გერ-  
მანულად ამ აღგილს აუშვიცის უწილებენ, ამიტო-  
მაც ჩემირად ბანაკს ორივე სახელით იხსენიებენ. შარ-  
შან, ზამთარში, ვარშავის უნივერსიტეტში მოწევო  
საერთაშორისო ქართველოლოგიური სამეცნიერო  
კონფერენცია, რომლის პროგრამითაც 6 დღეებშემდებარე-  
ვებით აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკს.

შეიძლება ბევრი რამ გქონდეს წაკითხული ნაცის-  
ტების ს სკვდილის ბანაკების შესახებ, მაგრამ ნანახმა  
ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აუშვიცმი „მოღ-  
ვან“ ნაცისტთა არააღმამანურობა, მხეცვერი სისას-  
ტიკუ სულის სიღრმეშიდე შეძრავს ნებისმიერ მნახველს.  
ცხადზე უცხადეს ხდება ისიც, რომ ამ ბანაკის მომ-  
წეობთა შორის გამქრალი იყო კოველივე აღამიანუ-  
რი. ბანაკის კედელთან მიუღვით ორსართულანი სახ-  
ლი მომცრო ეზოთი, რომელშიც ცხოვრობდა ბანა-  
კისვე ხელმძღვანელი. ბანაკის გადმორმა ეზოშივე თა-  
მაშობდენ მისი შვილები. რამდენიმე ათეულ მეტრში  
კი დაუნდობლად ხოცუფლენებ აღამანებს ათასგარი  
ხერხითა და საშუალებით. ერთ ნაწილს თუ პირდაპირ  
კედელთან ხვრუტლენებ, მეორე ნაწილს გაზის კამერუშში  
გუდველნებ ან იქვე მოწყობილ კრუმატრიუმში წვაგ-  
ლენებ. როგორც ამ ამბის უშუალო მხილველი და ამ  
სამინელებას სასწაულებრივად გადარჩნილი აღწერ-  
დნენ, საიკედილოდ განწირულთა ხმები თავზარდამ-  
ცემად მოშედებდა. დღესაც კი ეს გაზის კამერუში თუ  
კრუმატრიორუმები უმბბძეს სანახვია...

აუშვიდოში სიკვდილის მოლოდინში ატარებდნენ იქ კოფის მრკვეულებებს კველა თაობის ადამიანები. ათასობით ბაზარზე შრემირა ნაციისტთა სისახტი ის.

საკონცენტრაციო ბანაკებში მრავალი ეროვნების ადამიანი იტანჯებოდა, მაგრამ მათ შორის ებრაელების, პოლონელებისა და ბომბეის წილი გამორჩეულად დიდი იყო. დღემდე საბოლოოდ დადგენილია არ არის, რამდენი ტყვევ შევწირა აუშვიცის ბანაკებს. უკანასკნელი კვლევებით, 1940-1945 წლებში აქ გადმოიყვანეს 1 300 000 ტყვევ, მათ შორის 1 100 000 ებრაელი, 150 000 პოლონელი, 23 000 ბერძა, 15 000 საბჭოთა სამხედრო ტყვევ, 25 000 სხვადასხვა ეზონიკური ჯაშებს წარმომადგენელი. მათგან 1 100 000 სიკეთილით დასაჯეს, რომელთა 80% ებრაელი იყო.

დასასრულ აღვნიშნავდი, რომ დღეს აუტიციის  
სიკეთლილის ბანაკების ხილვისას თავს მხოლოდ იძიო  
თუ დაკიმუდნებოთ, რომ იგი უკვე ისტორიაა, წარ-  
სულში დაჩრენილი სისასტემა...



დღეს აუგვინის სიკვდილის  
ბანაცხაბის ხელვისას თავს მხოლოდ  
იმით თუ დავიმზდებათ, რომ იმი  
უკვე ისტორიაა, ზარსულში  
დარჩენილი სისაუტიკი...

ისტორიულ-შემცნებითი ჟურნალი  
„ისტორიანი“

## მთავარი რედაქტორი ჯაბა სამუშა

რედაქტორი  
გელა გურგენიძე

## სტილისტი-რედაქტორი ელენე სალარიძე

## კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი

დარღვეული კონფერენციას გამოიწვია, ოქტომბრი ჯოქური, ნინო ჯავახიშვილე, დიმიტრი სილავაძე, მახედ ბართვია, შოთა მათიაშვილი, კახა ბერ გალიჩევა, ნიკოლოზ ხოცურია

ପ୍ରକାଶକାଳୀନ

ნანა მაჭუკარიან

ბიბლ აზესაძე

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებიძის ქ. №49  
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება  
ტელ.: 237-78-07, 238-78-70

E-mail: istonan@pantr.ye

## ქურთალი გაძოდის თვეები ელოტხელი

ოუდაქციის ხედაოთვის გარემო  
მასალების აუთაბუჭოვა აკრძალვობის

კურნალის გამოწერისთვის მიმართു პრესისა და წიგნების გაურკოლების სააგრძნტოს „კლას ჯი“.

5 የኢትዮጵያውያንድ በኋላ ስምምነት

# თრუსოს ხეობის ახალი ციცოცხლი

ახალი ტაძარი დამზადება სამვალში

თრუსოს ულამაზესი ხეობა, რომელსაც თერგის ხეობასაც უწოდებენ, კუკასიონის ჩრდილოეთი კალთიდან, სოფელ ქობამდე, 25 კილომეტრზეა გადაჭიმული. ფიქალ-ქვიშაქვებით შემცული, სუბალპური და ალპური ბალა ხეულით დაფარული ხეობა მდიდარია მინერალური წყლებითა და წყაროებით. მდინარე თერგის სუათისის, მნის, რესის მყინვარები გადმოჰყურებს. და რამდენადც აქაურობა კაცის თვალს ახარებს, იმდენად გულსატკნია, რომ ერთ დროს სიცოცხლით სავსე, ხმაურიანი ხეობა დღეს გაუკაცერებულია, მთლიანად დაუსახლებელია.

ახალი ტაძრისთვის საძირკვლის მომზადებისას, ნაკლებიარის გასუფთავებისას, საძალე იძოვეს



სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიაში (რო-  
მელსაც თრუსოს ხეობა განკუთვნება) მეუ-  
ზე გაუდიელის ლოცვა-კურთხევით, არქიმან-  
დრიოტ იოსების (თავაძის) თაოსნობით 2010  
წელს დაიწყო 12 წმინდა მოციქულის სახელო-  
ბის მონასტრის მშენებლობა.

ბერიებმა საგანგებოდ აარჩიეს მონასტრის-  
თვის მოსახლეობისგან დაცლილი და გვერა-  
ნებული სოფელ აბანოს მიდამოებში ადგილი,  
სადაც წარსულში ეკლესია მდგარა. სწორედ  
ნაეკლესიარზე დააფუძნეს მამთა მონასტე-  
რი, რომელშიც დღეს წირვა-ლოცვა აღსრუ-  
ლება და შეიძლება იოქვას, ერთადერთი ად-  
გილაა თრუსოს ხეობაში, სადაც სიცოცხლის  
სუნთქვა იგრძნობა.

როცა ახალი ტაძრისთვის ფუნდამენტს  
ამზადებდნენ, ნაეკლესიარის გასუფთავებისას  
აღმოჩნდა საძვალე, რომელიც სავარაუდოდ  
ბერებისთვის იყო განკუთვნილი. ერთ-ერთ  
ნეშტზე თვალნათლივ შეიმჩნეოდა ძალადო-  
ბის კვალი. ბარაძყის ძვალზე ისრისპირია შერ-  
ჩენილი.

აქვე ასევე აღმოჩნდეს სხვადასხვა სახის  
ნივთები, რომლებიც საკმაოდ საინტერესო არ-  
ტეფაქტებს წარმოადგენენ თრუსოს ხეობის  
ისტორიის შესწავლისთვის. არქიმანდრიოტ  
იოსების ლოცვა-კურთხევით, აღნიშნულ მა-  
სალას ამჟამად შეისწავლის თსუ-ის საქართ-  
ველოს ისტორიის ინსტიტუტი. მოგვიანებით,  
არტეფაქტების დამუშავებისა და შესწავლის  
შემდგე ეს მასალა სტეფანწმინდის მხარეთ-  
მცოდნეობის მუზეუმში დაიდებს ბინას.

„ისტორიანი“

თურგი  
თრუსოს  
ხეობაში



ნაეკლესიარში აღმოჩნდა  
ისრისპირი და სხვა ნივთები



# 31 ქადუს ფილატების ბალსახრინალი

ვარძიის უძველესი კედლის მხატვრობის საკონსერვაციო-კვლევითი სამუშაოები 2015 წლის ბოლომდე გავრძელდება. სამუშაოებში, ომედლიც 2011 წელს დაიწყო, ბრიტანელი სპეციალისტებიც მონაწილეობენ. სამუშაოებს დიდი ბრიტანეთის ჯეკსონის ფონდი და ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ქეთი მელუაც დაფინანსებენ.

„ჩემი ბაბუა ბეჭნიერი იქნებოდა, რომ ხედავ-დეს, როგორ ფინანსდება მისი დაარსებული ფონდით ახლა ვარძიის ფრესკების გადარჩენის პროექტი“, — განაცხადა ჯეკსონის ფონდის წარმომადგენელმა პიტ ბრაუნმა ვარძიის არქიტექტურული კომპლექსის მონახულების შემდეგ.

ვარძიის ფრესკების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი დიაგნოსტიკური სამუშაოები ახლა ას დასრულდა. ანგარიშის პრეზენტაციას დევიდ პარკი ნოემბერში ლონდონის კურტოს უნივერსიტეტში, სამეცნიერო აუდიტორიისთვის ქვესპეციის წარმომადგენლებთან ერთად გამართავს. 2014 წელს კი, ვარძიის ფრესკების თემაზე სამეცნიერო კონფერენცია უკვე საქართველოში, თბილისსა და ვარძიაში მოეწყობა.

მომღერალი ქეთი მელუა საქველმოქმედო კონცერტებით უჭრს მხარს პროექტს. ის უკვე იმყოფებოდა ვარძიაში, დაათვალიერა სამონასტრო კომპლექსი და საერთაშორისო ექსპედიციის საქმიანობასაც გაეცნო.



ვარძიის უძველესი კედლის მხატვრობის საკონსერვაციო-კვლევით სამუშაოებში მონაწილეობენ ლონდონის კორტოს ხელოვნების ინსტიტუტის კედლის მხატვრობის სპეციალისტები, პროფესიონალ დევიდ პარკის ხელმძღვანელობით. საქართველოს სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ექსპედიციას კი პროფესორი ნანა კუპრაშვილი ხელმძღვანელობს.

ლონდონის კორტოს ხელოვნების ინსტიტუტი 1932 წელს დაუუძნდა და 2011 წლის საუნივერსიტეტო საერთაშორისო გზამკვლევის შეფასებით, პირველ ადგილზე ხელოვნების კვლევისა და კონსერვაციის დარგში.

ერთობლივი ექსპედიციის მიზანია ვარძიის სამონასტრო კომბლექსში შემავალი ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის უნიკალური კედლის მხატვრობის საკონსერვაციო მდგომარეობის დიაგნოსტიკა და შემდგომი კონსერვაცია. „ისტორიანი“



# თანამედროვე ტყავის ხელჩანთვები... ნეანდერტალები „რსტატეპისგან“

საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში, ნეანდერტალებთა ერთ-ერთ სადგომში მეცნიერებმა ტყავის დასამუშავებელი იარაღები აღმოაჩინეს. ისინი ძვლისგან არის დამზადებული, მაღალხარისხოვნად დამუშავებული და გაპრიალებული იმდენად, რომ თანამედროვე ანალოგებისგან თოთქმის არ განსხვავდება. მიკვლეული მასალები დაახლოებით 41-დან 51 ათასამდე წლისაა და ათასწლეულებით უსწრებს თანამედროვე ადამიანის გამოჩენას.



ტყავის  
დასამუშა-  
ვებელ  
იარაღების  
იარაღის  
ნეკნებისგან  
ამზადებდნენ

გერმანელმა სპეციალისტებმა მაქს პლანკის საზოგადოების ეკოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტიდან ასევე მიაკვლიერ ძვლის ე.წ. ნიჩბებს, თხელ, კარგად დამუშავებულ, მრუდე ფირფიტებს, რომელიც ტყავის გადასაჭიმად და გასაპრიალებლად გამოიყენებოდა. ამ ტიპის ფირფიტებს ძვლისგან ბოლო დრომდე ამზადებდნენ და მათ დღესაც იყენებენ ოსტატები — ისინი, ვინც ტყავის ხელჩანთებს ხელით კერავენ.

კვლევის თანაავტორი შენონ მაკფერონი ისენებს, რომ ძვლის იარაღის ფრაგმენტის განსხვავებულმა ფორმამ მათი ყურადღება ადრევე მიიპყრო და მსგავსი იარაღების მიება ნეანდერტალელთა გვერდით სადგომში, ამრი პეირონში დაიწევს 2005 წელს. შვიდ წელიწადში სპეციალისტებმა სამ ნიმუშს მიაკვლიერს. სწორედ ამის შემდეგ დაასკვნეს მათ, რომ საქმე სამუშაო იარაღთან ჰქონდათ.

მეცნიერებმა ექსპერიმენტიც მოაწყვეს და ნაპოვნი ძვლის იარაღები, ე.წ. ნიჩბები, კომპანია „პერმესის“ ხელოსნებს აჩვენეს. მათ მყისიერად ამოიცნეს ხელსაწყო. სწორედ ასეთივე ე.წ. ნიჩბები გამოიყენება ტყავის ხელჩანთების შესაკერად, რომელთა ფასი \$10 ათასამდეა.

საფრანგეთში ნაპოვნ ნეანდერტალელთა იარაღებს ერთი თავისებურება აქვთ მათ არა ქვისგან, არამედ ძვლისგან ამზადებდნენ. მასალა დრუკადი უნდა ყოფილიყო, იმავდროულად, არ გამტყდარიყო და ერთიანი ფაქტურა ჰქონდა. ნეანდერტალელებმა ნახეს, რომ ამისთვის არც ხის მერქანი არ გამოადგებოდათ და მასალად ირმის ნეკნები აირჩიეს.

მეცნიერები ფირობენ, რომ გადასახდია შეხედულება ნეანდერტალელებზე, როგორც მეტად პრიმიტიულ არსებებზე და რომ ისინი არ-ცუ „მთლად ნეანდერტალელები“ ყოფილან.

*Nature News-ის მიხდვით*

## ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

**კალიტრა მელია გისმები!**

დარეკალ: 219 60 13

მოგვცერეთ: [contact@palitra.ge](mailto:contact@palitra.ge)

ან: „კვირის კალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფრანგო ყუთების საშუალებით

# ფ უ ს დ ა უ დ ე კ ე ლ ი გ ა ნ ძ ი ს „ მ ე რ ი რ ე დ მ ი ს ვ ლ ა “

იტალიულ კარაბინერთა ოპერაცია „იფიგენია“ წარმატებით დასრულდა. რამდენიმეწლიანი ძებნის შემდეგ, იტალიის პოლიციის კულტურული მექანიზმების დაცვის განყოფილებამ იმ არტეფაქტებს მიაკვლია, რომლებიც ქალაქ პერუჯასთან მიმდინარე შენებლობისას იპოვეს და შემდეგ მაღლად შევ ბაზარზე გაიტანეს.

უკანონო არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული კოლექცია, რომელსაც კარაბინერებმა სამალებში მიაკვლიეს, უკვე შეფასდა როგორც ფსილურებელი განძი სამეცნიერო და ისტორიული თვალსაზრისით. არტეფაქტებს შორისაა კირქვისგნ დაშადებული 23 ურნა მიცვლებულის ფერფლით აშკარაა, რომ ისინი ერთი სამარხის ნაწილს წარმოადგენენ. ურნები ძვ.წ. III-II საუკუნეებით თარიღდება. მათი უმრავლესობა შემცულია ბარელიეფებით, რომელებიც ბრძოლის სცენებს, კორიდორსა და იფიგენიას შესახებ მითს ასახავენ. მითის მიხედვით, იფიგენიას მისი მამა, აგამენთი ღმერთებს მსხვერპლად სწირავდა, რათა მის ფლოტს ტროამდე დაუბრკოლებლად ჩაედრია.

ამას გარდა, კოლექციაშია სარკმლების სახურავი, რომელიც ძვ.წ. VI საუკუნეს განეკუთვნება, ასევე ბრინჯაოს ჩაჩქანი და ფარი.

ოპერაცია, სახელწოდებით „იფიგენია“, თითქმის ორ წელიწადს გრძელდებოდა. პოლიცია მძარცველთა კვალზე მას შემდეგ გა-



ვიდა, რაც მათ უკანონოდ მოპოვებული არტეფაქტების შავ ბაზარზე გაყიდვა დაიწყეს. ეს ადვილი არ იყო, რადგან ათი წელიწადის განმავლობაში მძარცველებმა მაცვლებულის ფერფლის შესანახი 23 ურნიდან მხოლოდ შვიდის გაყიდვა შეძლეს. მერვის გაყიდვის მცდელობისას ისინი დაკავეს. მათ შორისაა საშეხებლო კომპანიის დამფუძნებელი, ერთერთი მუშა და კიდევ სამი თანამზრახველი.

ჯერჯერობით დღის წესრიგში არ დგას იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც მძარცველებისგან არტეფაქტები შეიძინა.

იტალიის კულტურის სამინისტროს ანტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ლუიჯი მალნატის განცხადებით, „ნაპოლი ნივთები გაულტურული და სამეცნიერო თვალსაზრისით ფსილურებელია“. მალნატიმ ისიც თქვა, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში ეს ყველაზე მნიშვნელოვნი ექსპონატებია, რომელთა არქეოლოგებისთვის დაბრუნებაც მოხერხდა.

„ისტორიანი“



# ბიბიუჩი აბჩამის კაცი ნაპოვია?!

ბიბლიურ წინასწარმეტყველ აბრაამის ქალაქი ნაპოვია! — ასეთ სენსაციურ განცხადებას თურქი მეცნიერები აკითხენ. ისინი აცხადებენ, რომ მათ კვლიერ მტკიცებულებებს, რომლის თანახმად, ბიბლიური წინასწარმეტყველი დღვეუნდელი თურქეთის სამხრეთში, ქალაქ კილისთან ახლოს, ახლახან აღმოჩენილ დაკარგულ ქალაქში ცხოვრიბდა. დაკარგული ქალაქის ბიბლიურ წინასწარმეტყველთან კავშირის გარდა, ექსპედიციაშ ვერცხლის 134 მონეტა აღმოაჩინა. მეცნიერების თქმით, ისინი „ალექსანდრე დიდის ს საგანძურიდან უნდა იყოს“.

გათხრები კორდან ოილუმის ტერიტორი-

აზე სამი სეზონის განმაფლობაში მიმდინარეობდა. ექსპედიციის ხელმძღვანელის თქმით, ამ პერიოდში მათ ასევე მიაკვლიერ დაფებს ლურ-სმული წარწერებით და ხეთთა მეფეების ბეჭედების შტამპებს. დოკუმენტები, რომელიც დაწ 3000 წელს განეკუთვნება, ამ ადგილის დიდ მნიშვნელობაზე მიანიშნებენ და იმაზეც, რომ ის შესაძლოა დედაქალაქი ყოფილიყო.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს ქალაქი შეესატყვისება ძველ ულისეს, მაგრამ დამატებითი არტეფაქტების აღმოჩენამდე საბოლოო დასკვნებისგან თავს იკავებენ.

*Hurriyet Daily News-ის მიხდვით*

## ცრისთავების ორი უნიკალური პალიტრა

უნიკალური საჩუქარი საქართველოს თუატრის, მუსიკის, კინისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში 21 ფერის მითიღო. დაგითერისთავის შთამომავალმა, ქალბატონმა მანანა ერისთავმა სიძველეთსაცავს დიდი დრამატურგის მემორიალური ნივთები გადასცა, კერძოდ, ორი პალიტრა. ერთ-ერთ მათგანზე დავითის მეუღლე მარიამ სარაჯიშვილია დახატული. იგი საგანგებოდ შეუქმნია თბილისელ მხატვარს ფილიპოვს, მეორე პალიტრა კი დავით ერისთავს პარიზში შეუქმნია. მასზე უცნობ ფრანგ მხატვარს ელისაბედ დავითის ასულ ერისთავის პორტრეტი შეუსრულებია. მანანა ერისთავმა მუზეუმს ასევე უსახსოვრა ფაიფურისგან პოლანდიაში დამზადებული წმინდა სე-

სილიას XIX საუკუნის პარულიეფური გამოსახულება. აღნიშნულ ნივთებს ჯერ რესტარაცია ჩაუტარდება, შემდგა კი მუზეუმის მუდმივობრივი ექსპოზიციაში დაიღებს ბინას.

*„ისტორიანი“*



**talizi**  
თმის გადაცემის ცენტრი

ტარგათის 27. ტელ: 2141515

**WWW.TALIZI.GE**

# ვახტანგ VI

მეცის ღვაწლის ასახვა  
საზოგადოებრივ  
აზროვნებაში

სულ სამიოდე საუკუნის წინ, რაც  
ისტორიის მდინარებისთვის არცოუ დიდ  
დროს წარმოადგენს, საქართველოს  
დედაქალაქ ტფილისში, სამეფო ტახტზე  
იჯდა ბაგრატიონთა ათასწლოვანი  
დინასტიის ერთ-ერთი ოკალსაჩინო  
წარმომადგენელი, მეფე ვახტანგ VI  
(1675-1737). მას, როგორც მწივნობარსა  
და სკულპტორების უკავია სახელოვანი  
ბაგრატოვან ხელმწიფოთა გალერეაში.

ვახტანგ VI-ის პორტრეტი

ვახტანგ VI-ის ბობოქარი ცხოვრების, თავადაუზოგავი მოღვაწეობისა და ტრაგიკული დასასრულის შესახებ მრავალი ნაშრომი არსებობს, რომლებშიც მაღალ შეფასებას აძლევენ მის ღვაწლს, განსაკუთრებით, კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში. მეფის უძილესი კულტურულებრუნვული მოღვაწეობის მოკლედ დასასახიათებლად ზოგიერთი ძირითადი დეტალის გამოყოფაც კმარა: თბილისში პირველი ქართული სტამბის დაფუძნება და ქართული ნაბეჭდი წიგნების (მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“) გამოცემა, ნაყოფიერი საკანონმდებლო საქმიანობა (სამათლის წიგნისა და „დასტურლამალის“ შექმნა), ზრუნვა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის დადგენისა და რედაქტირებისთვის და ამ მიზნით სწავლულ კაცთა კომისიის (ბერი ენატაშვილის ხელმძღვანელობით) ჩამოყალიბება, რის შედეგადაც შეიქმნა „ახალი ქართლის ცხოვრება“, ზრუნვა მეცნიერების ცალკეული დარგის განვითარებისთვის, უცხო ენებიდან „ულუდ-ბეგის ზიჯის“ (გარსკვლავთ-მრიცხველობის), „ქილილა და დამანას“, „ამირნასარიანის“, „ათვეზირიანისა“ და სხვა თხზულებათა თარგმნა, სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბატონიშვილის, გაბრიელ გელოვანისა და სხვათა ხელშეწყობა, ტაძრების აღდგენა და სხვ.



ამჯერად ყურადღებას გაგამახვილებო მხოლოდ რამდენიმე საყურადღებო ფაქტზე, რომლებიც გამარტინებენ, როგორ აისახა სსენებული გვირგვინობის მოღვაწეობა თანადროულ და შემდგომი პერიოდის სახოგადოებრივ აზროვნებაში.

\* \* \*

1709 და 1711 წლებში ავღანეთში ერთმანეთის მიყოლებით დაიღუპნენ ქართლის მეფენი და იმავდროულად, სპარსეთის სპასალარები გიორგი XI და ქაიხოსრო I. მათგან პირველი იყო ბიბა (მამის ძმა), ხოლო მეორე — უფროსა მმა ქართლის ჯანიშნი (გამგებელ) ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონისა, რომელიც ცონბილია ვახტანგ VI-ის სახელით.

სპარსეთის იმდროინდებობა შაპინშაპმა, სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელმა ჰუსეინ I-მა ისპაპანს დაიბარა ქართლის ჯანიშნი ვახტანგი და ვალის (ანუ გუბერნატორის) ტიტულის ბომების სანაცვლოდ გამაპმადიანება მოსთხოვა. ვახტანგმა შაპინშაპს უარი შეპბედა, რის გამოც ჰუსეინმა ის ქირმანში გადაასახლა, ხოლო ქართლი უბომა მის უმცროს მმას იქსეს, რომელსაც ისლამის მიღების შემდეგ ალი გული-ხანი ეწოდა.

ოთხწლიანი ტყვეობის შემდეგ, ვახტანგმა ფორმალურად იწამა ისლამი, რის შემდე-

გაც შაპმა მას ვალის ტიტული უბოძა, თუმცა 1719 წლამდე სპარსეთში დატოვა.

სწორედ იმ პერიოდში შეზვდა ვახტანგს ცნობილი პოლონელი მოგზაური, მისიონერი და მემატიანე იან თადეუშ კრუშინსკი (1675-1757), რომელიც იყო ისპაპანის კათოლიკეთა ეპისკოპოსის პროკურატორი სპარსეთის შაპინშაპის სამეფო კარზე. მის კალაბს ეკუთვნის იმდროინდელი სპარსეთის შესახებ დაწერილი ხუთი კაპიტალური ნაშრომი, რომელებშიც საყურადღებო ცნობებია დაცული საქართველოსა და ქართველების შესახებაც.

ერთ-ერთ ასეთ ობზულებაში *Tragica vententis belli Persici historia*, რომელიც 1740 წელს ლვოვში წიგნად გამოიცა, ვკითხულობთ, რომ თითქმის შვიდწლიანი განშორების შემდეგ, საშმობლოსკენ მიმავალი ვახტანგი, გზად ერვანში შეჩერდა, სადაც იმანად კრუშინსკი იმყოფებოდა. მეფემ პოლონელ მისიონერს გაუგზავნა თავადი ელიზბარი, ასევე, ჯორი მსახუროთ ერთად და თავისთან დაიბარა. მათ შეხედრა და მეობრული მუსაიფი გათხნებამდე გაგრძელებულა.

საგულისხმოა, რომ ამ საუბრისას ვახტანგს კრუშინსკის ისთვის განუცხადებია: „უფალი იესო ქრისტე ფლობს ჩემს გულს, ხოლო მუპამედი — ჩემი სხულის იმ ნაწილს, რომელზედაც აღიბეჭდა ნიშანი მისა სარწმუნოებასა“.

კრუშინსკის ხსენებულ ნაშრომში მოყვანილი ამ მრავალმნიშვნელოვანი სიტყვებიდან კიდევ ერთხელ ხდება ნათელი, რომ ვახტანგ VI-ის გამაპმადიანება მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და რომ ქართლის მეუჯ შინაგანად ქრისტიანად დარჩა.

ასევე საყურადღებოდ გვეჩვნება იმდროინდელი ქართველების კრუშინსკის სეული შეფასება: „აღმოსავლეთი იძერიაში ცხოვრობს მთელს აღმოსავლეთში კველაზე მებრძოლი ხალხი — ქართველები, რომელებიც იმჯდროულად, ძალიან ეტანებიან დვინის სმასა და ნადირობას... ქრისტიანობის მედგარი მიმდვრები არიან, მაგრამ არაერთი მათი თავადი, თავიანთი ამბიციურობიდან გამომდინარე, ისლამს იღებს... მამაკაცებისგან განსხვავებით, ქართველი ქალები მტკიცე ქრისტიანები არიან და არასდროს ხდებიან მაპმადიანები, იმ დროს, როცა თვით მეუჯებიც კი იღებენ ისლამს. ქართველები გამოირჩევან უდიდესი ნიჭით სამხედრო სფეროში, ფიზიკური წრობითა და ხასიათის სიმტკიცით.



გახტანგ VI-ის განუცხადი შემსრბოლი ქართველი სახელმწიფო მემორანული ნიჭით



პახტანგ VI-ის  
წელი.

სახლმწიფო  
დროშა მეფე  
პახტანგ VI-ის  
ერთაში

იმჯდროულად, ისინი ცუდი მეურნები არიან და არა მხოლოდ სრულიად არ ქერქებათ ვაჭრობა, არმქედ მას დიდი ზიზღით უყურებენ... თავიანთი ახლობლებისადმი გულითად მზრუნველობას იჩენენ... განსხვებით აზიელი არასტოკრატიისგან, რომელიც ქალაქად ცხოვრებას ეტანება, ქართველ ფეოდალთა უმეტესობა ცხოვრობს მამაპაპეულ სოფლებში, რათა მათი საბრძოლო შემართება არ წახდეს ქალაქერი ფუფუნებით. ქართველი ყველაზე დიდ სიძლიდრედ მიიჩნევს ჯიშიან ბედაურს, მწვარს, შევარდენსა და კარგ საბრძოლო იარაღს. ისინი მცირე-

დით ქმაყოფილდებან, ხანგრძლივად ინახავენ მარხვას და გაჭირვებასაც იოლად იტანენ... ყოველვე ამას რომ ერთვოლეს განათლება, მაშინ ქართველები მსოფლიოს მოწინავე ერების გვერდით დადგებოდნენ“.

კრუშინსკი გვამცნობს, რომ სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებულ დაღესტნელთა სამაგალითოდ დასჯა შაპინშაპმა დააგალა ვახტანგ VI-ს, რომელიც სათანადო სამშადისის შემდეგ, 1720 წელს 40-ათას კაციანი ჯარით სალაშქროდ გაეშურა. იგი დიდი მონდომებით აპირებდა დამსჯელი ექსპედიციის მიზნების აღსრულებასა და დაღესტნელთა საკითხის საბოლოოდ გადაჭრას, ვინაიდნ მათი გახშირებული თარუშის ანუ „ლეგანობისგან“ ქართველი მოსახლეობაც დიდად შეწუხებული იყო.

ამ ექსპედიციას ხელი შეუმაღლეს სპარსება ვეზირებმა ჰაქიმ ფაშამ და მოლნა ფაშამ, რომლებმაც შაპინშაპს ჩააგონეს, რომ ეს ლაშქრობა სპარსეთისთვის საზიანო შედეგს გამოიღებდა. მათი რწმუნებით, დაღესტნელთა ალაგმის შემდევ მათ ქვეყანას ქართველები დაეპატრონებოდნენ, უშაალოდ დაუმეტობლდებოდნენ რუსეთს და მასთან კუშირს განამტკიცებდნენ, რასაც შესაძლოა მოპყოლოდა მათ მიერ მთელი სპარსეთის დაპყრობაც. შაპინშაპმა ვეზირებს დაუკარა და ვახტანგისა და სრულიად საქართველოსთვის საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო.

ორასწოანი პაუზის შეძლება, ვახტანგ VI-ზე თბილისის ზარაფხანაში განაახლა ქართულწარწერიანი მონეტების მოჭრა, რომლებზეც გამოსახა ხომალდი — სიმბოლო პროგრესისა და ვრომისსაზე სწრაფვისა.



სალაშქროდ შემართულ ვახტანგ VI-ს შაპინშაპის ელჩები ეახლენენ და შემდევი შინაარსის ფირმანი გადასცეს: „ოუ საბრძოლველად წასასვლელად ცხენზე ამხედრდი, დაუკოვნებლივ ჩამოქვეითდი, თუ უკაე დაეწიე ბრძოლის ველიდან გაქცეულ ღეკებს, შეჩერდი, თუ მათ შესამუსავად უკაე იშმივლე მახვილი, ქარქაშში ჩააგე!“

კრუშინსკი გაუუწებს, რომ ვახტანგი იძულებული გახდა ამ ბრძანებას დამორჩილებოდა, მაგრამ ლაშქრობის ჩაშლით გამწარებულმა, სპარსი ელჩების წინაშე, ხმალშემართულმა დაითვიცა, რომ ამიერიდან, შაპინშაპისა და სპარსეთის დასაცავად აღარასდროს იშმივლებდა მახვილს.

ინგლისელი ისტორიკოსი იონას ჰანვეი 1753 წელს, ლონდონში გამოცემულ თავის ოთხტომიან ნაშრომში „სპარსეთის რევოლუცია“ ასევე აღნიშნავს, რომ მეცე „ვახტანგს შეეძლო დაღესტნელთა გასრესა“, მაგრამ იგი შაპინშაპისაგან წინააღმდეგობას წაწყდა და იძულებული გახდა, ლაშქრობა შევწყვიტა.

კრუშინსკი მოგვითხრობს, როცა სპარსეთის ჩრდილოეთიდან შეესივნენ დაღესტნელები, ხოლო აღმოსავლეთიდან — ავღანელები, განსაცდელში ჩავარდნილი შაპინშაპი სასოწარკვეთილი სოხოვდა და ხმარებას ვახტანგს, რომელიც თავისი ყოფილი მბრძანებლის უბედურებას სრულიად გულგრილად შექვდა და მის დასახმარებლად არაფერი იღონა.

1722 წლის მარტში, სპარსეთში შეჭრილ ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა ვახტანგ VI-ის მმა როსტომი, რომელიც შაპინშაპის პირად გვარდიას სარდლობდა. შაპინშაპმა თავისი პირადი გვარდიის სარდლად დანიშნა ქართლის ტახტის მემკვიდრე, უფლისწული ბაქარ ვახტანგის ქ. რომელიც სპარსეთში დაიბარა. ბაქარმა შაპინშაპის დასახმარებლად ოთხიათას გაციანი ლაშქარი შეკრიბა, მაგრამ სპარსეთში წასვლა უფლისწულს მშობლებმა გადააფიქტებინეს.

ყოველივე ამის გამო, პოლონელი მისიონერი მიუთითებდა, რომ სპარსეთის სახელმწიფოში მომხდარ ყველა უბედურების უმთავრეს მიზეზად იქცნენ სწორედ შაპინშაპზე გამწყრალი ქართველები, კერძოდ, მეცე ვახტანგ VI, რომელმაც რუსეთის იმპერატორთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეკრა და ბა-



#### ვახტანგ VI-ის პირადი გერბი

ქარის დახმარებით, სასტიკად დასაჯა ურჩი ფეოდალები, რომლებიც სპარსეთზე იყვნენ ორიენტირებული.

ავღანელთა მიერ სპარსეთის სამეფო ტახტიდან ჩამოგდებული ჰუსეინ I-ის ვაჟმა, შაპინშაპობის პრეტენდენტმა თაპმასპ II-მ „დალატისთვის“ ვახტანგი დასაჯა, ქართლი ჩამოართვა და უბორა გამაპმადიანებულ კახთბატონ კონსტანტინე II-ს ანუ მაპმად ფულისანს, რომელმაც 1723 წლის მაისის დასაწყისში, კახელთა ჯარითა და ლეკთა დაქირავებული ლაშქრით თბილისი აიღო.

კრუშინსკის ცნობით, იმ ურთულეს ვითარებაში ვახტანგს უდალატა მრავალმა ფეოდალმა, რომლებიც მაპმად ფული-ხანმა სპარსეთის მოსყიდა. ამის გამო ვახტანგი იძულებული გახდა, თვალცრუმლიანს დაეტოვებინა დედაქალაქი და ოჯახთან ერთად გადასულიყო ჯერ გორში, ხოლო შემდეგ რუსეთში გახიზნულიყო.

საბოლოოდ, ქართლი ხელთ იგდო ოსმალთა ჯარმა, რომელმაც 10 ივნისს თბილისიც დაიკავა. აღგილობრივ მოქალაქეთა დაშინების მიზნით, ოსმალებმა დედაქალაქში შეიტყვანეს ქართველთა მოჭრილი თავებით დატვირთული კამებშებმული ურმები და შემზარავი ძეგლი აღმართეს...

როგორც ვხედავთ, კრუშინსკის თხზულება-

## პაგრატოვანი ხელაფიზაციი

პუსეინ I სასახლის კარისკაცების გარემოცვაში.  
საკარსული მინიატურა, 1721 წელი  
(ბრიტანეთის მუზეუმი, ლონდონი)

ში დაცული ზოგიერთი ცნობა გახტანგ VI-ის მეფობის პერიოდის შესახებ უნიკალურია, ვინაიდან ანალოგიური ინფორმაცია იმდროინ-დელ ქართულ წყაროებში არ შემოგრძენია.

სულხან-საბა თრბელიანი აღნიშნავდა, რომ როცა ევროპაში მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნებული, სამღვდელოებში დაუნდობლად გაკიცხა კათოლიკურ სარწიუნოებაზე გადასვლის გამო, ეს ამბავი „გახტანგ მეფეს სმენიდა, დიდად სწერენდა და ყოველ-ნი დაეტუქსა“.

მიუხედავად თავისი მეფობის ტრაგიკული დასასრულისა, გახტანგ VI და მისი პირდაპირი შოთამომგლობა ქრისტიანი, ტრადიციულად, საფიცრად ჰყავდათ გამხდარი. ეს ბუნებრივიცაა, თუ გაფითვებისწინებთ საზოგადოების უდიდეს პატივისცემას ბაგრატიონ ხელმწიფეთა შორის ინტელექტით გამორჩეული ამ მეფისადმი, რომელიც თავისი ქპოქის საქართველოში ყველაზე განათლებულ პიროვნებას წარმოადგენდა. ამის გამო მისი გონიუნიმელი აკტორისტები საქართველოში არასდროს გახუნებულა.

გახტანგ VI-ის მოღვაწეობას ასე აფასებდა ახპატის მონასტრის წინამდღლობი მინას გარდაპეტ ფერვაზიანი: „უფალმა გამოუღვია ჩენის ქრისტიანებს მწყემსი კეთილი და მძლე ქართველი გალი, რომელმაც თავისი კეთილგონიერებითა და ნიჭით შეკრიბა დარჩენილი და გაფანტული სომქი ერი, გაამაგრა და მეურვეობა გაუწია... ქართულ-სომხური სამხედრო კაჯშირის იდეა შესანიშნავ მოვლენას წარმოადგენდა“.

მას შემდეგ, რაც გახტანგ VI რუსეთს გადაიხვენა, დევთის ანაბარა დარჩენილი ქართლის არასტოკრატიის საერთო გულისტყვილს გამოხატვდა შამშე ქსნის ერისთავი, რომელიც წერილში თავის სათაყვანებელ მეფეს კვერუბოდა: „შენი ვინძებ ამ ქვეყანას რომ იყოს, გება ღმერთმან შენც მოგიმართოს ხელი და იმასაც. ორეულ თუ შენი შვილიც ამ ქვეყანას არ არის, შენთვისაც დავიკარგებით და შენის შვილისთვისაც. ნუ გვიზამ, ბაქარ დააბრუნე, სულ ნუ დააგდებთ ამ ქვეყანას. არ გიჯობთ, დამიჯერე, არც სამჯობინარი არის. თუ შენი შვილი ამ ქვეყანას არის, გინდა რუსეთსაც და სხვას ქვეყანასაც უფრო ძალიანობაც გამოგიჩნდება...“



დება... მამეც ეგ თქვენი შვილი, ამ სოფელსაც მე მთხოვე და იმ სოფელსაც. შენც გიჯობს მაგის აქ ყოფნა და ჩვენცა. ეს დაგვიჯერეთ, სჯობს. ღმერთის მაღლმა და შენი პურმარილის მაღლმა, დამიჯერეთ. თუ არადა, თურმე, საქართველოშე შვილისშვილისადმი ხელ-აღებული ბრძანდებით“.

მიუხედავად იმისა, რომ დაგით გურამიშვილი თავის „დავითიანში“ არ მოერიდა გახტანგ VI-ის პოლიტიკის კრიტიკას, მისი გარდაცვალებით შეძრწუნებული მოსთქვამდა:




„ვაი, რა ბოძი წაიქცა,  
სახლ-კარი თაქ დაგვექცაო!  
ღხინი, შეება და სიამე  
სულ ჭირად გარდაგვექცაო...  
მეფე მოგვიკვდა, ვიქენით  
ჩვენ მწარედ ოხერ-ტიალი!  
მით დაგვიბნელდა საწუთროს  
შუქთა ბრწყინვა და ჰყრტიალი;  
მოგვწედა წელ-გული, შევქენით  
ვით უმხროდ ჩიტმან ფრტიალი,  
დავიწყეთ, ვითა წიწილთა,  
უკრუხობითა წერტიალი.“

მეფე გახტანგის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ როგორც მის სიცოცხლეში, ასევე მოგვიანებითაც.

აკაკი წერეთელი ვახტანგს სამართლიანად იხსნიებდა „სჯულმდებელ მეფედ“ და აღნიშნავდა, რომ იგი „დიდი, შესანიშნავი ისტორიული პირი, კაცი ბრძენი და განვითარებული მწიგნობარი“.

დიდი პოეტის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ ქართულობა დაადასტურა მეცნიერული რუსთველოლოგის ფუძემდებელმა ვახტანგ



გვერდი თბილისის სტამბაში დაგეჭდილი წენიდან,  
საღაც აღნიშვნლია ვახტანგ VI-ის ტიტული

VI-მ, „რომელმაც ზედმიწევნით იცოდა სპარ-  
სული მწერლობა... მან სცადა სოფისტურად  
დაემტკიცებინა, რომ პოემა რელიგიური მიზ-  
ნითაა დაწერილი და არა მარტო მთლიანად,  
არამედ მისი ცალკეული ნაწილებიც უნდა აღ-  
ვექვათ სასულიერო მნიშვნელობით, როგორც  
უმაღლესი აღვერობა. ამასთან, ვახტანგი შე-  
ეცადა, თავისი დასკვნები წმინდა სახარები-  
დან მოყვანილი სიტყვებით გაემყარებინა“.

ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, ვახტანგ  
VI-ის მეფობის ეპოქა „სწორედ გასაოცარი  
ხანა იყო!.. ასეთი დაუდალავი, მედგარი მუ-  
შაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართუ-  
ლება პქნება და ფართო და ღრმა ნიადაგი  
ეკერა, უფლებას გვაძლევს ქართველი მწერ-  
ლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა და-  
გრძევათ სახელად. თითქმის ყველა იმდროინ-  
დელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრის-  
კენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის  
შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნა-  
მუშევარი და ნაპირნახულევი შეეკრიბათ, შე-  
ესწავლათ და ჩამომავლობისთვის დამთავრე-  
ბული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა  
გადაეცათ. იმ დიდი საქმის მოთავედ და სუ-

ლის ჩამდგმელად — დიდებული, დაუკიწყარი  
ვახტანგი იყო“.

ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „ვახტანგის  
მოღვაწეობა ჯერ ჯანიშნობის, შემდეგ მსა მე-  
ფობის დროს მრავალთეროვანი და მეტად ში-  
ნარსიანი იყო. ქართლის საზოგადოებრივი თუ  
სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთი მხა-  
რე არ დარჩენილა, რომელსაც ვახტანგი არ შე-  
ხებოდეს... კანონთა წიგნი ვახტანგმა ქართლის-  
თვის შეადგინა, მაგრამ ის ბუნებრივად გაგრ-  
ცელდა და მთელს ფეოდალურ საქართველოში  
მოქმედ სამართლის წიგნად იქცა... ამავე ხანას  
ეკუთვნის მისი მეორე საკანონმდებლო ძეგლი  
— დასტურლამალი, რომელიც სახელმწიფოს  
ძირითადი კანონის მაგიერი რამ იყო... ქართლი  
ვახტანგის დროს ეკონომიკურად კიდევ უფრო  
დაწინაურდა... ამ სამეურნეო წინსვლის შესა-  
ბამისა იყო ცხოველი საქმიანობა კულტურის  
დარგში... მას მხარს უჭირდა კულტურულ მოღ-  
ვეთა მთელი დასი... ვახტანგიც მთელი ამ სა-  
მეცნიერო-სალიტერატურო მუშაობის მარტო  
რაქტიკული და იდეური ორგანიზატორი კი არ  
იყო, არამედ გვერდში ედგა ამ მოღვაწებს, რო-  
გორც ლიტერატორ-რედაქტორი, ისტორიკო-  
სი, პოეტი და მთარგმენტი“.

ინგლისელი ქართველოლოგი დევიდ მარ-  
შალ ლენგი მიიჩნევდა, რომ ავდანელთა მიერ  
სპარსეთის დამარცხება განაპირობა ვახტანგ  
VI-მ, რომელიც შენებულად არ დაქმარა თა-  
ვის კოფილ სიუზერენ შაპიშმაპს.

გიორგი პაიჭაძე მართებულად შენიშნავდა:  
„გვიანებულად სანის საქართველოს ის-  
ტორიაში განსაკუთრებით გამოირჩება ვახტანგ  
VI-ის კოლორიტული ფიგურა. საშმიბლოს სა-  
კეთოლდებოდ მან ტიტანური შრომა გასწია.  
ვახტანგის ინიციატივითა და უშუალო მონა-  
წილეობით ქართლის ცხოვრების ყველა სუე-  
როში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ღო-  
ნისძიებები, რის შედეგადაც ქვეყნა საგრძნობ-  
ლად დაწინაურდა, ხოლო ქართველ სინაძღვი-  
ლეში მოხდა ისეთი ძრვები, რაც ქვეყნის სო-  
ციალურ-ეკონომიკური და კულტურული გან-  
ვითარების შემდგომი ეტაპისთვის სათანადო  
ნიადაგს ამზადებდა. ამდენად, ვახტანგის მოღ-  
ვეთანი საქართველოს პროგრესული განვითა-  
რების საქმეს ემსახურებოდა და ამიტომაც,  
ქართველი ერის ისტორიაში მან დირსეული  
ადგილი დაიკავა... პროგრესული სახელმწიფო  
საქმიანობით და ქვეყნის კულტურულ განვი-

თარებაში უდიდესი წვლილის შეტანით გახტან-  
გმა ჰქონდა მარტინი გამოჩენილი საზოგადო მოღ-  
ვწის სახელი მოიპოვა და ქართველი ხალხის  
მარადიული პატივისცემა დაიმსახურა“.

მანანა ქიქოძის ობიექტური დასკვნით,  
XVIII საუკუნის პირველ ნახტანგში „გახტანგ  
VI ბაგრატიონთა შორის ყველაზე მოწინავე  
პიროვნება იყო, ენციკლოპედიური განათლე-  
ბით აღჭურვილი და მრავალმხრივი მეცნიე-  
რული ნიჭით დაჯილდოებულიც“.

რაულ ჩაგუნვამ, რომელმაც მონოგრაფი-  
ულად შეისწავლა გახტანგ მეფის საბუნების-  
მეტყველო მოღვწეობა, კალიფიციურად და-  
ასკვა: „ხანგრძლივი უძრაობის შემდგომ,  
XVIII საუკუნის დასაწყისში, საქართველოში  
დაიწყო საბუნების მეტყველო-სამეცნიერო  
ცოდნის აღორძინების პროცესი და ამ საქმის  
უუძმებლად მეფე გახტანგ VI მოგვევლინა“.

ქართლის სახელოვანი მეფის უკვდაფი ხა-  
ტება რელიეფურად აისახა ქართულ ლიტე-  
რატურაშიც.

1920 წელს, გახტეში „ნაციონალისტი“ (№20)  
გამოქვეყნებულ წერილში „გახტანგ მექქსე“,  
ჯერ კიდვ ჭაბუკი გორგი ლეონიძე წერდა:  
„რამდენი განწირულება და დაცემა ხელმწი-  
ფის დიდებაში! ყველაზე ქართულ ეპოქაში ის მო-  
ვიდა, როგორც დაგვიანებული პარუნ-ალ-რა-  
შიდი. „ქილილ“ და დამნას“ მთარგმნელი და  
„დასტურლამას“ ბრძენი დამწერი იძულებულია  
შები ატრიალოს და წვრილთვადა რეინა ჩაიც-  
ვას. ძალაუნებურად გინდა აქ დაიჯერო ინდუს-  
თა მითი „აფატარა“-ტიპებისა და ხასიათების  
გაცხადებაზე, რომელსაც იგონებს სენ-ვიქტო-  
რიც, დასარწმუნებლად, რომ გახტანგ VI თით-  
ქოს რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსია,  
რომელიც XVIII საუკუნის ცისკარშე გაება სა-  
ქართველოში, რასაკვირველია, უფრო მცირე  
გამოცხადებით და უფრო ვიწრიო წრეში, თუმცა  
იმავე სიწმინდის განკაცებით...“

გახტანგმა პირველმა უარყო აღმოსავლე-  
თი და საშინელი წყურვილით ეძებდა ევრო-  
პის ორიენტაციას. ბოლოს დაადგა კიდეც მას  
(რუსეთით). თუმცა მის პირველ მსხვერპლად  
შეიქმნა თვითონ, თავის ოჯახით. მან უპირვე-  
ლესმა განიცადა ის ცეცხლები და გრიგალე-  
ბი, რომლებმიც მერე ჩაიწვა ირაკლი II... მან  
გააკეთა, რამდენიც შეეძლო. ის იყო წმინდა  
მოწამე საქართველოსთვის, თუმცა წინამდ-  
ვრობდა იმ საუკუნეს, რომელსაც არ ეკუთვ-

ნოდა... საომარ კარვებში სწერდა წიგნებს,  
რომელიც გვხიბლავნები დინჯი ისტატობით  
და მჭრელი ჭკუით... სიკვდილმა უსწრო მას  
შორეულ ასტრახანს. საქართველო არ იყო მი-  
სი დირსი... ამ დროს, ის დაიწვა საქართვე-  
ლოთი, როგორც არავინ და საქართველომ  
მოაშოთ იგი...“

ძველი ელინი ისტორიკოსი აღბათ იტყო-  
და მის სიკვდილზე: „ნე სტირით მას, აღმერ-  
თეთ იგი. ის მდერთებმა დაუთმეს ადამიანებს,  
ახლა კი ისევ ღმერთებს დაუძრუნდა!“

1941 წელს ლადო ასათანხა შექმნა თავი-  
სი მორიგი, მშვენიერი ლექსი „იგნე ჯავახიშ-  
ვილისადმი“: ვიზიქრობთ, სიმპტომატურია,  
რომ მარადისობაში გარდასული დიდი ქართ-  
ველი მეცნიერი, მეფე გახტანგ VI-ის ქვეშე-  
რდომ ფეოდალთა პირდაპირი შთამომავალი  
— იგნე ჯავახიშვილი, გმორჩეული დახვე-  
წილი გარეუნბითა და დარბაისლური ქცევით,  
ჭაბუქმა პოეტმა თვით ამ გვირგვინოსანს შე-  
ადარა. ეს ლექსი ასეთი სტროფით იწყება და  
თავდება:

„როცა წარსულის სიღრმისკენ  
ეტრატით ხელში  
შებრუნდებოდი და შუქს პუენდი,  
როგორც მთვარე,  
მაგონდებოდა მე მშვენება  
გახტანგ მეგების,  
სამეფო კერთხით სამეუჯო  
ტახტზე მჯდომარე“.

#### თაო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
თხუ-ის პროფესორი



ლადო  
ასათანხა

დიდი  
ქართველი

ისტორიკოსი

თანა

ჯავახიშვილი

VI-ს შეადარა



პარიზის კონგრესი კერსალის სასახლეში, 1856 წ. ედუარდ ლუი დუმეფი

## საქართველო საჯარო კუნძული

ჩვენი ქვეყნის ისტორიული ტერიტორიის გადანაწილება  
დიდ იმპერიებს შორის (1700-1921)

(გაგრძელება. დასწერის ის. „ისტორიანი“ №2-4)

ოთხი საუკუნის განმავლობაში, 1514 წლიდან (ირან-ოსმალეთის ომების დაწყებიდან) 1914 წლამდე (პირველ მსოფლიო ომამდე), სამწუხაროდ, საქართველოსთვის გარე სამყაროს ირანი, ოსმალეთი და რუსეთი წარმოადგენდა. ვერობის სახლმწიფოები სამხრეთ კავკასიის (ამიერკავკასიის) საქმეში ვერ ერეოდნენ. საქართველოსა და ქართველობის ბეჭი ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირებაში წყდებოდა.



## 15. რუსეთ-საფრანგეთ-ინგლის-ოსმალეთ-სარდინიის 1856 წლის 18 (30) მარტის საზაფო ხელშეკრულება (პარიზის ტრაქტატი)

XIX საუკუნის შუა ხანებისთვის უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო რუსეთის იმპერიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების (ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის) ბრძოლამ, დასუსტებული ოსმალეთის ვეროპული და აზიური სამფლობელოების გადანაწილებისა და ბოსფორ-დარდანელის სრუტებზე კონტროლის დამყარებისთვის. გამრვავდა საკუთრივ რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა. 1853 წელს რუსეთისა და ოსმალეთს მორის ომი დაიწყო. იგი ისტორიაში ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) სახელწოდებითა ცნობილი. 1854 წელს უკვე პრაქტიკულად დამარცხებული ოსმალეთის მხარეს მშენი საფრანგეთი, ინგლისი და სარდინიის სამეფო ჩაეჭნენ. ომი სამფლონტზე — ბალკანეთში, ყირიმის ნახევარკუნძულსა და სამხრეთ კავკასიაში მიმდინარეობდა. რუსეთის არმია დამარცხდა ბალკანეთისა და ყირიმში (1855 წელს მოკვშირებმა სევასტოპოლი აიღეს). წარმატება მან მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში მოიპოვა. 1853 წელს რუსეთის არმიამ ოსმალები დამარცხა ახალციხესთან, 1854 წელს — მდინარე ჩილოეზე. 1855 წელს ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს აფხაზეთი და სამეგრელო. 1855 წლის ნოემბერში რუსეთის არმიამ ყარსის ციხესიმაგრე აიღო. წარმატებებმა კავკასიაში რუსეთის ვერ უშეველა. დამარცხებული რუსეთის იმპერია სამარცხინო ზავს დათანხმდა.

საზაფო ხელშეკრულება (ტრაქტატი) რუ-

სეთის, საფრანგეთს, ინგლისს, ოსმალეთსა და სარდინიის სამეფოს შორის დაიდო პარიზში, 1856 წლის 18 (30) მარტს.

პარიზის საზაფო ხელშეკრულების (ტრაქტატის) მესამე მუხლის ძალით რუსეთს ოსმალეთისთვის უნდა დაებრუნებინა ყარსი და ასევე ომის დროს დაკავებული ოსმალეთის სხვა ტერიტორიები. მოკვშირები დამარცხებულ რუსეთს უბრუნებდნენ მომის დროს დაკავებულ ქალაქებსა და ნაესადგურებს: სევასტოპოლის, ბალაკლავას, კამიშს, ვეპატორიას, ქერჩს, ენიკალეს, კინბურნსა და სხვ.

## 16. რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) წინასწარი საზაფო ხელშეკრულება (სან-სტეფანოს ზავი)

1856 წლის 18 (30) მარტის პარიზის ტრაქტატის პირობებს რუსეთის იმპერია ვერ ეგუებოდა. 1877 წელს რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ რუსანისთვის ხელსაყრელი დრო დადგა და ოსმალეთის ომი გამოიუცხადა. საომარი მოქმედებები დაიწყო ორ ფრონტზე — ბალკანეთსა და კავკასიაში. ორივე ფრონტზე რუსეთმა დიდ წარმატებებს მიაღწია. 1877 წლის ნოემბერში რუსებმა ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ პლევნა აიღეს, ბალკანეთის მთები გადალახეს და 1878 წლის 8 იანვარს ადრიანოპოლი დაიკავეს. კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიამ ასევე ვერ გაუძლო რუსების შეტევას. 1878 წლის 18 ნოემბერს რუსებმა ყარსი აიღეს. აჭარაში შავი ზღვის სანაპიროს გასწორივ დაწყებული შე-

„სევასტოპოლის დაცვა“ (1854-1855 წწ.). ფრანც რუბოს პანორამის ფრაგმენტი





გრიფის რეზეტის ბრძოლა პლუვნასთან. ნიკოლაი დმიტრიევ-ორუნბერგი, 1885 წ.

ტევა წარმატებით ვერ განვითარდა, რადგან რუსებმა ციხისმირი ვერ დაიკავეს. ომი ისე დასრულდა, რომ ბათუმში ისევ ოსმალთა გარნიზონი იდგა.

1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) სტამბოლთან ახლოს, დაბა სან-სტეფანოში რუსეთ-სა და ოსმალების შორის დაიდო პრელიმინარული (წინასწარი) საზაფო ხელშეკრულება. მან შევება მოუტანა ბალკანეთის ხალხებს. ოსმალეთის წინააღმდეგ შებრძოლმა ჩერნოვორიის სამთავრომ დამოუკიდებლობა მიიღო. დამოუკიდებლობა მოიპოვა სერბიის სამთავრომაც. დამოუკიდებელი გახდა რუმინეთი. ბულგარეთმა მიიღო თვითმმართველობა. მართალია, ოსმალეთისთვის მას ხარები უნდა ქარადა, მაგრამ ბულგარეთის მთავრობა ქრისტიანული იქნებოდა.

სან-სტეფანოს საზაფო ხელშეკრულების მე-19 მუხლი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას ქებოდა. ამ მუხლის მიხედვით, ოსმალეთს რუსეთისთვის, ომის დროს დაკავშული ტერიტორიების უკან დაბრუნების სანაცვლოდ, ფული უნდა გადაქადა. განისაზღვრა თანხის რაოდენობაც. სულ, ომის დროს მიუვნებული ზარალის ანაზღაურებისა და ტერიტორიების უკან დაბრუნების საფასურად, ოსმალეთს რუსეთისთვის 1,41 მლნ რუბლი უნდა გადაქადა.

იმ ტერიტორიათა შორის, რომელიც რუ-

სეთს დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ ოსმალეთისთვის უნდა დაებრუნებინა, იყო: არდაგანი (არტაანი), ყარსი, ბათუმი, ბაიზეთი და ტერიტორია სოლანლუდამდე. საზაფო ხელშეკრულების იმავე მე-19 მუხლში დაწვრილებით იყო აღწერილი ზემოთ ხეგებული ტერიტორიის საზღვრები. თუ ოსმალეთი რუსეთს დადგენილ თანხას არ გადაუხდიდა, საზღვარი რუსეთსა და ოსმალეთს შორის ასე განისაზღვრებოდა: არდაგანი (არტაანი), ყარსი, ბათუმი და ბაიზეთი რჩებოდა რუსეთის შემადგენლობაში. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე და გასდევდა მდინარეების, ხოფსა და ჭოროხის წყალგამყოფების, შემდეგ მიუყვებოდა მთებს, ისე რომ სასაზღვრო ხაზი ართვინის სამხრეთით გადიოდა და ასე გრძელდებოდა მდინარე ჭოროხამდე (ხოფების ალატის და ბეშაგეტის მახლობლად). აქედან სასაზღვრო ხაზი მიუყვებოდა მდინარეების — თორთომისა და ჭოროხის წყალგამყოფი მთების თხემს, გადიოდა სივრი-დაღის გადასასვლელზე, საიდანაც უხვევდა სამხრეთით და მიდიოდა ზივინამდე. ზივინის გზიდან სასაზღვრო ხაზი უხვევდა დასჯლეთით, გადიოდა სოფელ არდოსტა და ხორასანზე, საიდანაც დაეშვებოდა სამხრეთით სოლანლუდის მთებამდე, შემდეგ გასდევდა ალი-დაღის მთებს და სამხრეთიდან შემოუკ-

ლიდა ბაიაზეთს. მე-19 მუხლი ცალკე არ ადგენდა არტყანის, ყარსის, ბათუმის, ბაიაზეთისა და სოლანწლუდამდე ტერიტორიის ფასს. ბალკანეთსა და კავკასიაში ოსმალეთისთვის დასაბრუნებელი ტერიტორიების საერთო ფასი განისაზღვრა 1,1 მლნ რუბლით.

**17. რუსეთ-ინგლისის 1878 წლის 18 (30) მაისის შეთანხმება სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე (ლონდონის შეთანხმება)**

რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება დიდი დარტყმა იყო დასავლეთ ვროპის ქვეყნებისთვის და პირველ რიგში ინგლისისთვის. ხელშეკრულებით განმტკიცდა რუსეთის პოზიციები ბალკანეთში. წარმატებები მოიპოვა რუსეთმა კავკასიაშიც.

ინგლისის ინიციატივით ევროპის ქვეყნებმა მიაღწიეს იმას, რომ რუსეთი საერთოევროპული კონგრესის მოწვევაზე დაითხმება. მას უნდა გადაესინჯა რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობები.

სანამ კონგრესი შეიკრიბებოდა, ინგლისის ინიციატივით, ლონდონში დაიდო რუსეთ-ინგლისის საიდუმლო შეთანხმება სან-სტეფანოს

სან-სტეფანოს ზაფის ხელმოწერა, 1878 წლის 3 მარტი

საზავო ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე, 1878 წლის 18 (30) მაისს. შეთანხმება საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო დაცული.

ლონდონის შეთანხმების მე-11 მუხლში აღნიშნული იყო: ინგლისი თანახმა იყო, რუსეთის მიეღო ბათუმი და შეენარჩუნებინა სომხეთის დაპყრიობილი ტერიტორია, მაგრამ შემდგომში ისმალეთის ტერიტორიის სარჯზე აზიაში რუსეთის ტერიტორია არ უნდა გაზრდილიყო.

**18. რუსეთ-გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-საფრანგეთ-ინგლის-იტალია-ოსმალეთის 1878 წლის 1 (13) ივლისის ხელშეკრულება (ბერლინის ტრაქტატი)**

რუსეთ-ოსმალეთის 1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება, მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, 1878 წლის ფინის-ივლისში გადაისინჯა გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გამართულ კონგრესზე. კონგრესის მუშაობაში შეიდი ქვეყანა მონაწილეობდა: რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი, გერმანია, იტალია და ოსმალეთი. ბერლინის კონგრესის დასკვნით, აქტს – ტრაქტატს (ხელშეკრულებას) 1878 წლის 13 ივლისს მოწერა ხელი.

ბერლინის ტრაქტატმა მნიშვნელოვნად შეზღუდა ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი





ბათუმი, XIX ს.

ბალკანეთის ხალხების მონაპოვარი — გადასინჯა სან-სტეფანოს საზაფო ხელშეკრულების პირობები.

ბერლინის ტრაქტატი შექმო საქართველოს ისტორიულ ტერიტორიასაც. ტრაქტატის 58-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ოსმალეთი რუსეთს უთმობდა არდაგანს (არტაანს), ყარსა და ბათუმს (ბორტიოსურო), ასევე მოულ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობდა რუსეთ-ოსმალეთის ქედზე საზღვარსა და სან-სტეფანოს საზაფო ხელშეკრულებით დადგენილ ახალ საზღვარს შორის.

58-ე მუხლში დაწერილებით იყო აღწერილი რუსეთ-ოსმალეთის ახალი საზღვარი. იგი ძირითადად ემთხვეოდა სან-სტეფანოს საზაფო ხელშეკრულებით დადგენილ სასაზღვრო ხაზს. 59-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი ბათუმის ბორტო-ფრანკიო (თავისუფალ ნუსადგურად) გამოცხადებას დათანხმდა უმეტესად კომერციული მოსაზრებებით.

მე-60 მუხლით, სან-სტეფანოს საზაფო ხელშეკრულებით ოსმალეთის მიერ რუსეთის ველის გადაცემული ალაშეკრტის ველი და ბაიაზეთი ოსმალეთს უბრუნდებოდა.

**19. რუსეთ-ოსმალეთის 1879 წლის 27 იანვრის (8 თებერვლის) საზაფო ხელშეკრულება (სტამბოლის ხელშეკრულება)**

1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) რუსეთ-ოსმალეთის სან-სტეფანოს საზაფო ხელ-

შეკრულებამ და 1878 წლის 13 ფეbruarის ბერლინის ტრაქტატმა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა საბოლოოდ მაინც ვერ მოაგვარა.

1879 წლის 27 იანვარს (8 თებერვალს) სტამბოლში რუსეთ-ოსმალეთის საზაფო ხელშეკრულებას მოწერა ხელი.

სტამბოლის საზაფო ხელშეკრულების მეორე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ბერლინის ტრაქტატმა, რომელსაც შვიდმა სახელმწიფომ მოწერა ხელი, გააუქმა ან შეცვალა სან-სტეფანოს საზაფო ხელშეკრულების მუხლება. მესამე მუხლი კი გვაუწევებდა, რომ სან-სტეფანოს საზაფო ხელშეკრულების იმ მუხლების შინაარსი, რომელიც არც გაუუქმებდა და არც შეუცვლია ბერლინის ტრაქტატს, საბოლოოდ გახისაზღვრულობდა რუსეთ-ოსმალეთის სტამბოლის საზაფო ხელშეკრულებით. მესუთ მუხლით, იმ თანხის რაოდენობა, რომელიც ოსმალეთს უნდა გადაეხადა რუსეთის თვის, არ უნდა ყოფილიყო 26,75 მილიონ ფრანკზე მეტი.

რუსეთ-ოსმალეთის 1879 წლის 27 იანვრის (8 თებერვლის) სტამბოლის საზაფო ხელშეკრულებამ ძალაში დატოვა ბერლინის ტრაქტატით განსაზღვრული რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში.

### ვასთანგ გურული

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი  
(დასასრული მოძღვვონ ნომერში)

# სადრო ახალგაზის უცნობი მოგორიშა

რუსთაველის თეატრი  
და საბჭოთა ამხანაგები

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა  
და ქორეოგრაფიის სახელმწიფო  
მუზეუმში მეორე წელიწადია  
რეანიმინტარიზაცია მიმდინარეობს. ის  
მიზნად ისახავს არა მარტო სამუზეუმო  
ქონების სრულად შეჯერებას, არამედ აქ  
დაცული უნიკალური, ზოგჯერ დავთარში  
გაუტარებელი და აქედან გამომდინარე,  
უცნობი ან ძვირი წყებული ღოკუმენტების  
გამომზეურებას. ამჯერად მეოთხელს  
სანდრო ახმეტელის დღვმდე  
გამოუქვენებელ მოგონებას ვთქაზობთ  
დიდი რეჟისორი თავად აღწერს როგორც  
იოსებ ქტალინთან გატარებული ერმობის  
წლებს, ისევე მასთან შეხვედრას.  
პუბლიკაციას თან ერთვის მუზეუმში  
დაცული სანდრო ახმეტელის ნაკლებად  
ცნობილი ან გამოუქვენებელი  
ფოტოები.



1930 წლის 30 ოქტომბერი იდგა.

მცირე თეატრში რუსთაველის ქართველი  
თეატრის გასტროლები დასასრულს უახლოვ-  
დებოდა, ბოლოჯერ გადიოდა „ლამარა“.

მე სუმბათაშვილ-იუჟნის ყოფილ საგრი-  
მიორიში ვიჯევი და ბოლო განკარგულებას  
ვიძლეოდი თეატრის შინ — საქართველოში  
დასაბრუნებლად.

ამ დროს კი დარბაზში ატმოსფერო სულ  
უფრო იძაბებოდა, ზვავით მოდიოდა აპლო-  
დისმენტების ზღვა. მოსკოველი მაყურებელი,  
ახალი, პროლეტარი მაყურებელი, რომელიც  
ქართველ მსახიობთა კოლექტივის ტემპერა-  
მენტს დაუტყვევებინა, ენთუზიაზმით ესალმე-  
ბოდა ყოველ აქტის.

გადაჭვილ დარბაზში საყურადღებო მოვ-  
ლებები ვითარდებოდა.

პოეტი გალტერინი სკამხე ავარდნილიყო,  
დაუდალავად უკრავდა ტაშს და თან მაყურე-  
ბელთა მასას უყვიროდა:

— ტაშით მიესალმე მოსკოვო, ტაშით!

დაიწყო „ლამარას“ მეოთხე აქტი, პირვე-  
ში, ტრაგიზმით გაედენთოლი. რუსთაველის თე-  
ატრის მსახიობებს არასოდეს მანამდე არ უთა-  
მაშიათ ასეთი ვნებითა და დინამიკით.

სისხლის აღება... სცენაზე მოკლული ხევ-  
სურის მამა შემოღის (არტისტი აკაკი ხორა-  
ვა), გულისშემძვრული მოთქმითა და უსასტი-  
კესი შეურისიძების მოთხოვნით! ამ დროს სცე-  
ნაზე სიტუაცია მკვეთრად იცვლება!

მე ჯერ არაფერი ვიცოდი, ბუნდოვნად რა-  
დაც მესმოდა, უფრო ვგრძნობდი, რომ სცენა-  
ზე რაღაც ხდებოდა! ჩემი სპექტაკლის მძიმე,  
ტრაგიკულ რიტმი უცაბედად რაღაც მხია-  
რული მღელვარება შემოჭრა. რეჟისორის გუ-  
მანით მაშინვე მიეზღდი, რომ გარდატეხა მოხ-  
და, რომ რიტმი ჩაიშალა, ტრაგიზმი დაირღვა.  
ამით აღშფოთებული წამოვხტი და შევძახე.

— რა ხდება!? რა ხდება სცენაზე!?  
მაგრამ ის, რაც ხდებოდა სცენაზე, უფრო



სანდრო აზეუქელი საბჭოთა ლიდერთა გარემოცემაში

დიდი მასშტაბით მიმდინარეობდა დარბაზში. ყველა თავი ერთ მხარეს მიტრიალებულიყო, იქაურობას აღელვებულმა ჩოჩქოლმა გადაურბინა.

— სტალინი! სტალინი!

დარექციის ღოუაში თუთო ზიფთანში გამოწყობილი ფიგურა გამოჩნდა. საერთო მღელვარებამ მეც ამიყოლია.

მსოფლიოს პროლეტარიატის ლიდერი ჩვენთანაა, თუატრში! ჩვენს ნამუშევარს უყურებს!

სიმართლე ითქვას — „ლამარას“ მეოთხე აქტი, რომელიც მე ძალიას მიყვარს ტრაგიკული რიტმის გამო, აბსოლუტურად ჩაიშალა დარბაზში მომხდარი მოვლენის მიზეზით.

რომელ ტრაგედიასა და გლოგაზეა ლაპარაკი, როცა მსახიობთა სახებზე ბედნიერ აღტკინებას ხედავ, რაც შექმნა რიტმს — ის პიესისთვის მხიარული ელფერის შექნით აბსოლუტურად შეუსაბამო გახდა.

დირექციის კაბინეტში დამიძახეს, იქითკნ მიმავალმა უკევ ვიცოდი, რომ ამხანავი სტალინი, ამხანაგების — სერგო ორჯონიკიძისა და კიროვის თანხლებით მოვიდა.

თუმცა იმწამს ნაცნობი სახელი სერგო მი-

რონოვიჩისა ჯერ კიდევ არ იწვევდა თვალნათელ, ხელშესახებ მოგონებებს. არადა ისინი მე მქონდა — მათზე ცოტა მოგვიანებით ვისუბრუბ.

გაიღო კარი, შესახვედრად მოაბიჯებს სტალინი, მოვთოკე მღელვარება და გაფიქრება მოვასწარი: როგორ მივმართო მას? კობა! ძეელებურად?! თუ სტალინი, როგორც ეძახის მთელი მსოფლიო?! თუმცა უბრალო მისალმებამ და შეხვედრამ უმალ დამაშვიდა. საუბარი მაშინვე მეგობრულად წარიმართა, ყურადღებინა მოკითხვითა და მოგონებებით.

სტალინი აღარ მენახა ბავშვობის შემდგომ... ჯერ კიდევ ყმაწვილი იოსებ ბესარიონივიჩ ჯუღაშვილი მე გავიცანი ჩემი ბიძაშვილის სახლში, სადაც ის ცხოვრობდა, სუფრას უჯდა და ოჯახის ახლობლად ითვლებოდა.

ჩემი ბიძაშვილები მისი მეგობრები იყვნენ, ერთად კენწლაობდნენ, ჭიდაობდნენ, თამაშობდნენ და მეც, მათი შემყურე, ამ ორომტრიალის მონაწილე ვხდებოდი.

იოსები ჩემთვის განსაკუთრებული ხიბლის მატარებელი იყო, ბავშვებს ეს სწვევიათ უფროსი მეგობრებისადმი. თუმცა მე ის მხიბლავდა,

რომ ამდენს მუშაობდა და ამასთანავე პოულობდა დროს, ელაზღანდარავა და ეჭიდავა ჩვენთან.

პირველად გავიგონე მისგან, რომ თურმე მეფის ლანძღვა შეიძლება. მასთვეს, ამ ამბავმა მაშინ იმდენად მომწესხა, რომ გაოცებისგან სული შემქუთა. პირველად გავიგონე მისგან სიტყვები „რევოლუცია“ და „იატაკქეშეთი“. შეხვედრებმა ამ ძლიერი ნებისყოფის ახალგაზრდასთან ჩემს წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

და აი, ახლა ქართული თუატრის რეჟისორი, ბელადის წინაშე ვდგავარ და საკუთარი სამუშაოს ანგარიშს ვაბარებ.

დარბაზში ჩვიძეტჯერ (მგონი გაუგონარი ამბავია სახელგანთქმული მცირე თუატრის ჭარმაგი ტრადიციების ისტორიაში) აიწია ფარდა, გამოსამშვიდობებელ ოფაციათა ქარიშხალი წუთით არ დაოკუპულა.

— ეს რა არის, ასე ადრე რომ მისტუმრებ სახლში? — გამჭუმრა ამხანაგი სტალინი.

— როგორ! ნუთუ უკვე სპექტაკლი დამთავრდა? — გაისმა ჩემს ზურგს უკან ამხანაგ კიროვის ხმა.

ფილიპე მახარაძე და სანდრო ახმეტელი

შშვიდი, პირდაპირი და უჩვეულო, დაუზინებული შხერით მიყურებდა ის სახეში და ამ დროს გამახსენდა, სად და როდის მენახა ეს რეჟისორული შხერა.

მენშვეიკური საქართველო. ტიფლისი....

ამხანაგი კიროვი ჩამოვიდა, როგორც საბჭოთა რუსეთის სრულუფლებასი წარმომადგენელი. მენშვეიკურმა ორგანიზება გაუწიეს რაღაც მტრულად განწყობილ დემონსტრაციას.

ბრძო პასკევიჩის ქუჩაზე საბჭოთა მისიის შენობასთან მივიდა. აქ იყვნენ ნაციონალისტები, მენშვეიკური, მოტყუებული მუშები და უბრალო, ცნობისმოვარე ხულიგნები. მენშვეიკურ აგიტატორთა შეგონებებით დამუხტული დემონსტრაცია საშიშად გრუხუნებდა. ისმოდა ყვირილი, მუქარა. ტროტუარებზე ქუჩდებოდნენ შემთხვევებით გამვლელები, რომელთა შორისაც მეც ვიყავი.

აიგანზე გამოიდა კიროვი.

იმწამსვე ათობით ხელი და ხელჯოხი პარმში აღიმართა, გაისმა სტვენი, დრიალი.

მეგონა, იმწამის საბჭოთა მისიის შენობაში არც ერთი საღი მინა არ დარჩებოდა, მე-





აქაგი ხორავა,  
სანდრო ახმეტელი,  
დ. ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე.  
1930-იანი წლები

გონა ისიც, რომ ეს ადამიანი ცოცხალი ვერ  
გააღწევდა.

კიროვმა ლაპარაკი დაიწყო....

იგი ლაპარაკობდა არაჩვეულებრივი უბრა-  
ლოებითა და სიძლიერით, რამაც ქუჩის ხუ-  
ლიგნები დაადუშა.... ლაპარაკობდა საქართ-  
ველოზე, ქარებანაზე, რომელმაც ამდენი  
ბრწყინვალე რევოლუციონერი მოაგლინა. სა-  
კუთარი თავი დამპყრობთაგან მრავალგზის  
ტანჯული ქართველი ერის მეგობრად გამო-  
აცხადა. ბოლოს კი იკითხა, ვისთვის იყო ეს  
ქვები მომზადებული? ნუოუ საქართველო ქვებს  
დაუშენს პროლეტარიატს, რომელიც შიმ-  
შილსა და სიცივეში, დამონბილ კონკეში გა-  
მოხვეული, თოვლისა და ბლოკადაში მომწყვ-  
დეული მედგრად ცდილობს სიცოცხლისა და  
არსებობის უფლების მოპოვებას.

ქვებით შეიარაღებული ათასობით ხელი  
დაეშვა, დემონსტრაცია გაიყურსა, შეკრიბი-  
ლებმა დაშლა იწყეს.

აი, ასეთი უცნაური გახლდათ ამხანაგი კი-  
როვის სიტყვების მოქმედების ძალა მტრულად  
განწყობილი მასის მისამართითაც კი.

იგი კიდევ ერთხელ საქველმოქმედო ბან-  
კეტზე ვიხილა. მენტვიკური საქართველო მენ-  
შვიკურ სომხეთით ომს აწარმოებდა. ბანკე-  
ტი ამ დანაშაულებრივი ომის „ფრონტის გმი-  
რების“ დასახმარებლად და მათთვის თანხის  
შესაგროვებლად ეწყობოდა.

იქ იყო კიროვი მოპატიუებული, როგორც  
საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმო-  
მადგენელი. აქ ის სულ სხვანაირად გამოიყუ-  
რებოდა, ჩაკეტილი, მოკრძალებული, რომე-  
ლიც გულში იცინის.

უცებ მომეჩვნა, რომ პროვინციული მასკარადის მონაწილე ვიყავი. მოლაზღანდარავე ბრძოს მხოლოდ ერთი ღირსეული ადამიანი ადევნებდა თვალეურს და ეს ერთადერთი კიროვი იყო....

რა არის, ასე ადრე რომ დამთავრდა სპექტაკლი? — დაუინებით იმეორებდა სერგეი მისაილოვის და მოგონებებიდან ნაწყვეტ-ნაწყეტ მაფხატლებდა.

ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ კიროვის ლაპარაკის ტონიდან მივხვდი: მათ ძალიან დასწყდათ გული იმაზე, რომ „ლამარას“ მხოლოდ ბოლო მომენტი „გამოიჭირეს“.

„ხვალ!?! ხვალ ხომ თეატრი მიემგზავრება!?!“ ამ კითხვას კითხვა მივაყოლე და დავინტერესდი, ხომ არ სურდათ სტუმრებს კიდევ ერთხელ მთელი სპექტაკლის განმეორება? ამხანაგმა სტალინმა, მისოვის ჩვეული შერუნველი ტონით იკითხა, ხომ არ იქნებოდა ეს მსახიობთა წინაშე უხერხული, რომელნიც ალბათ მთელი საღამოს განმავლობაში უსაშეელოდ დაიღალნენ. ამ დროს ამხანაგმა კიროვმა, რომელსაც ძალიან უნდო-



რუსთაველის თეატრის დასი: კორე მარჯანიშვილი, ვ. სიმონიშვილი, ალექსანდრუ აზეტული, დ. ჩხეიძე, მახეიძე ქორელი, ა. გველესიანი, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, დოდო ანთაძე. 1923





სანდრო ახმეტელი ახალგაზრდობისას



და სპექტაკლის ნახვა, ხმამაღლა გაიცინა და შესძახა:

— ისინი არ დაიღლებოდნენ, ისინი ხომ ქართველები და თანაც ჩვენიანები არიან!

მე სწრაფად გამოვედი სცენაზე, სამწუხარო სიურპრიზი — ყველა დეკორაცია დამზღვიდი დამზღვდა.

მაგრამ როცა ჩემს ჯვეულს მიუბრუნდი და მოვუყევი ამხანაგების სტალინის, კიროვისა და ორჯონიშვილის სურვილზე სპექტაკლის სრული ვერსიის ნახვასთან დაკავშირებით, — მსახიობებმა გრიმებში, მუშებმა, მცრი თუატრის მთელმა პერსონალმა აღტკინებული ენთუზიაზმით, უვილ-ხივილითა და სიცილით მომენტალურად დაიწყეს დეკორაციების აწყობა.

და აგერ, ერთი საღამოს პირზე „ლამარას“ მოქმედება ხელმძღვანელ დაიწყო — რიტმს უკვე აღარაფერი აფერზებდა. მე საფსებით შშვიდად ვიყვაი.

სპექტაკლის მიმდინარეობის დროს ამხანაგი სტალინი ამხანაგ კიროვს, რომელიც მის გვერდით იჯდა, ახსნა-განმარტებებს აძლევ-



და. ის მოკლედ უხსნიდა, რა არის ხევსურეთი, როგორა ხევსურთა ჩვეულებანი.

ანტრაქტის დროს ამხანაგები ალბომებს ათვალიერებდნენ. ამ დროს ამხანაგმა სტალინმა „ქარების ქალაქის“ ფოტო დაანახა და აღნიშნა, რომ კირშონის (იგულისხმება საბჭოთა დრამატურგი ვლადიმირ კირშონი და მისი 1931 წელს განხორციელებული პიესა „ქარების ქალაქი“) პიესაში 26-ვე ბაქოლი კომისრის გასვლა დახვრეტაზე იმ სახით, როგორითაც დღეს ჩვენს თეატრშია მოცემული, ლაქაა ჩვენთვის. ამდენად, საკეთი გამართლებულია „აქტორის ჩანაფიქრის დარღვევა“, — ეს მე კირშონს თავადაც ვურჩიე, მაგრამ არ მოინდომა.

— რას იზამ, უილიამ შექსპირია! — გაი-სუმრა ამხანაგმა სტალინმა.

ამხანაგმა კიროვმა კი ამ დროს დაწვრილებით გამომკითხა.

— სპექტაკლი პარტიის ყრილობას თუ აჩვენეთ? როგორ, ყრილობას თქვენი თამაში არ უხილავს? როგორ, ყრილობისთვის არ გითამაშათ! ყრილობას აუცილებლად მივცემთ საშუალებას, იხილოს რუსთაველის თეატრი,

კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი ქართველ მსახიობთან ერთად (მეორე რიგში მარჯვნიდან მეტვიდე — კოტე მარჯანიშვილი; მეოთხე რიგში მარჯვნიდან მეზუეთ — სანდრო ახმეტელი)

ჩვენ სპექტაკლს დიდ თეატრში გადავიტანთ! როგორ, თქვენ მიიჩნევთ, რომ უფრო შესაფერისი „ანზორია“? მაში, კარგი, ეგრე იყოს, ვაჩვენოთ „ანზორი!“! და ის უკვე ორგანიზებას უწევდა, სათანადო დროს არჩევდა და სპექტაკლის ჩვენების დღესაც კი გეგმავდა. ამდენად, ჩვენი საშმობლოში დაბრუნების დრო ულაპარაკოდ გადაიღო. ნუთუ შეიძლებოდა კამათი ამხანაგ კიროვთან.

მან მისთვის ჩვეული პირდაპირობით მითხრა:

— აი, ეს სიმღერა მუ-3 აქტში. მახსოუს, ის ტიაფლისში მოვისმინე. თქვენ წარმოგიდგენიათ, როგორ მიხარია ქართული თეატრის აღორძინება? მენშევიკების დროს ხომ არაა-ირი ჟუშმარიტი ერთვნული თეატრი არ არსებობდა. კარგად მახსოუს! არათერიც არ იყო...

ყრილობისთვის გამართული სპექტაკლი „ანზორი“!.. გადაჭედილი დარბაზი! მოელი საბჭოეთიდან შეკრებილი პარტიის წევრები გარინდული აღვენებენ თვალყურს იმ დინა-

XX სუკუნის  
20-აანი  
წლების  
ფოტო



## ხელოვნება და პოლიტიკა

მიკას, რომელიც ჯავშანმატარებლის დაღესტანში ქმედებას მოჰყება.

ამხანაგი სტალინი და ამხანაგი კიროვი ლოებში არიან. პირველად ვხედავ, რომ ამხანაგი კიროვი ოდნავ ღელავს.

— იცი, — უცებ გამოქმაურა, — ეს, ეს... ეშმაქა დალაზვროს, ეს სიგივეა, რომლის გამოც შხად ვარ, სცენაზე ავიჭრა და პირდაპირ ბრძოლაში ჩავება! ერთ ადგილას ვერ ვწერდები და ყველაფერი ეს როგორი ახლო და ნაცნობია. „ანზორი“ — ასე მგონია, ჩემი ცხოვრუბიდან ერთ-ერთ ფურცელს ვკითხულობ!..

მან მიიწვია თეატრი ლენინგრადშიც, გეგ-მებს აწყობდა, ამხანაგ სტალინიან აპეკლირებდა კიდეც. თუმცა მომიწია მეთქვა, რომ ჯერ უკრაინაში ვგვემოვდი ჩასვლას.

მხოლოდ 1933 წელს მოასერხა რუსთაველის თეატრმა გასტროლებით ლენინგრადში ჩასვლა. ამხანაგი კიროვი მაშინ ქალაქში არ იყო.

ჩენ დავიწყეთ გასტროლები. ლენინის ქალაქში ქართული თეატრის წარმატება უსაზღვრო იყო, ვიტყვი მოკლედ — 98 ათას მაყურებელს უმასპინძლელეთ. ლენინგრადის პრესის გამოხმაურება ენთუზიაზმით იყო აღსავსე.

ერთხელ ტელეფონის ზარმა დარეკა და ამხანაგ კიროვის ხმა გაისამა.

წარმატებები მომილოცა, იყითხა, რამე ხომ არ გვჭირდებოდა, ისიც დასძინა, რომ ნებისმიერ წვრილმანზე შევეძლო მისოვის მიგვემართა. მისი ტონიდან — თამამად ვიტყვი — მამობრივ სითბოს ვგრძნობდი. ის რუსთაველის თეატრს თავის შვილობილად აღიქვამდა. მოგვიანებით შეხვედრის დროს ეს განწყობა უფრო აშკარად ვიგრძები.

„ჩვენთან, ლენინგრადში ყველა მეუნება, რომ რუსთაველის თეატრი — ეს დიდი თეატრია“, — ამბობდა ამხანაგი კიროვი დაუფარავი სიამაყით, — „მე კი ვპასუხობ, ნეტა გენახათ, რა იყო ტითვლისში საბჭოთა წესწყობილების დამყარებამდე, ერთი მიკნავლებული ოპერა... პროვინციული, უღიმდამო დასიოთ... ხელოვნება არ იყო! არ იყო ხელოვნება! მე ძალიან გახარებული ვარ, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებამ ასეთი სრულფასოვანი, აყვავებული ხელოუნება წარმოშევა!“

მისი წენარი, ძლიერი სახე ღრმა კმაყოფილებით იყო გაჟღენთილი!

მოგონება რუსულიდან თარგმნა  
გიორგი კალანდიამ




# გაირონი და ქართველი გოგონა

„მოვიდა დიადი და მძლავრი  
გენიოსი, მგზნებარე პოეტი. მის  
ბგერებში გაისძი კაცობრიობის  
მაშინდელი სევდა და ოწმენის ყოფლად  
უძმედო დაკარგვა საკუთარ დანიშ-  
ნულებასა და იდეალებში. ეს იყო  
ახალი და ადრე არგაგონილი მუხა  
შერისხიებისა და ნაღველისა, წყვი-  
ლისა და სასოწროეულისა. ბაირონიზ-  
მის სული მოვდო თითქოს მთელ  
კაცობრიობას და ისიც ერთიანად  
გამოეხმაურა მას.“

ფიოდორ დოსტოევსკი

გიორგი გოგებაშვილი  
ბაირონი და მისი  
ავტოგრაფი



შერნალ „ისტორიანის“ სტუმარია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
თარგმანმცოდნეობის სრული პროფესორი, საქართველოს ბაირონის საზოგადოების  
პრეზიდენტი, მრავალი საერთაშორისო ასოციაციის საპატიო თუ ნამდვილი წევრი, მათ  
შორის თარგმანისა და ბაირონის ასოციაციების დირექტორთა საბჭოს წევრი, თბილისის  
ბაირონის სკოლის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, საერთაშორისო ელჩის ორდენის  
კავალერი, ათხე მეტი წიგნისა და მონოგრაფიის და ახმე მეტი პუბლიკაციის ავტორი,  
ცნობილი ანგლისტი და მთარგმენტი ინესა მერაბიშვილი.

— დავიწყოთ ყველაზე მთავარიდან — რა აკავშირებდა ბაირონს საქართველოსთან?

— 19-20 წლის ბაირონმა პოემა გამოსცა, რომლის დასასრულსაც ამბობს: „მინდა, ვეწ-  
ვიო სილამაზის მშობლიურ მხარეს, / სად კავ-  
კასიონს, კლდით შემოსილს, / პირქუშს, მრის-  
ხანეს, / გვირგვინად ადგას დიდებული თეთრი  
მყინვარი“ (ეს ჩემი თარგმანია). XIX საუკუ-  
ნის წიგნებში კომენტირებულია, რომ სილა-  
მაზის მშობლიური მხარე — საქართველოა...  
ბაირონი „დონ-ჟუანში“ ქართველ ქალს გა-  
მოსახავს, როგორც სილამაზის ეტალონს...  
პოემა „გიაურში“ ქართველი ქალის კოსტი-  
უმში გამოსახავს ვინმე ლეილას... მიაჩნია,  
რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე ლამაზი მხა-  
რე საქართველოა და ყველაზე ლამაზი ქალი  
ქართველი ქალია. სამწუხაროდ, რუსულ თარ-

გმანებში ეს შინაარსი არასწორადა ასახუ-  
ლი... ბაირონი ამბობს, — დონ-ჟუანი ქალის  
კოსტიუმში ისეთი ლამაზი იყო, რომ ქართ-  
ველ ქალს თუ შეადარებდიო; რუსულ თარგ-  
მანში კი წერია, — ისეთი ლამაზი იყო, ქართ-  
ველი ქალიც კი შეედრებოდაო...

— იმ დროს საქართველო რამდენად იც-  
ნობდა ბაირონს?

— პირველი ცნობები საქართველოში XIX  
საუკუნის ოცან წლებში (ბაირონის სიცოცხ-  
ლის პერიოდში) აღვესანდრე გრიბოედოვა  
და რუს პოეტს ვილგელმ კიუხელბეკერს შე-  
მოაქვთ. ისინი გადმოსახლეს, როგორც ურ-  
ჩი და არასანდო ახალგაზრდა ინტელექტუა-  
ლები. შემთხვევით არ არის, რომ ბაირონზე  
პირველი ცნობების შემომტანი გრიბოედოვა, ა  
პოემა „ვაი ჭკუსაგან“ მინიმოდელია იმისა,



**ლორდი ბაირონი ალბანურ სამოსში**

რაც ბაირონმა თავის სამობალოში განიცადა. გრიბოედოვი არის პირველი გზაშეკლევი ბაირონისა საქართველოში... როგორც ჩანს, ალექსანდრე ჭავჭავაძე მისი წყალობით მოექცა ბაირონის გავლენის ქვეშ. ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩა“ ბაირონის „ებრაული მელოდიების“ შთაგონებით არის შექმნილი.

ალექსანდრე ჭავჭავაძე სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში. ბაირონს თავიანთ ნაწარმოებებში მოიხსენიებენ გიორგი ერისთავი, ორბელიანები თუ სხვები. შეთქმულება რომ დამარცხდა, რვა წლის განმავლობაში აკრძალული იყო ბაირონის წიგნის საქართველოში გამოცემა, მაგრამ სალონიდან სალონში ბაირონის იღებდი თამაშად მოგზაურობდა... ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში“ თერგს ბაირონს ადარებს და მყინვარს — გოეთე... ვინ იყო გალაკტიონის მერი? — ეს არ არის მხოლოდ მერი შერვაშიძე. მერი დიდი ლიტერატურული სახეა, რომელიც გალაკტიონმა შექმნა ბაირონის კავლაგავალ... ბაირონის მერი რესეტში შემოიდა, როგორც

ლიტერატურული სახე და თავის ნაწარმოებში მერის სახე შექმნეს ლერმონტოვმა, პუშკინმა, ბლოკმა...

— არის შემონახული სხვა მტკიცებულებები ბაირონსა და საქართველოზე?

— სრულიად უცნობ მასალას მივაკვლიერ კვლევისთვის მჭირდებოდა ის ლიტერატურა, რომელიც ბაირონის გარდაცვალებისთანავე შეიქმნა და ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკას მოვართო... ბაირონი 1824 წელს გარდაცვალა, 1825 წელს მისი ცხოვრების ამსახველი სამტომეული გამოვიდა. ის უცურადდებოდ დარჩა, რადგან ბაირონის მეგობარამა თომას მურმა ხუთი-ექვსი წლის შემდეგ ბაირონის ბიოგრაფიის ორტომეული გამოსცა, ბაირონი მისივე წერილებით აალაპარაკა და ამან ძალიან დიდი ეფექტი მოახდინა (თომას მურს ბაირონის 158 წერილი ჰქონდა). არასოდეს მჯეროდა თომას მურის სიმართლის, რადგან ბაირონის მემუარების დაწვაში მონაწილეობდა. ბაირონმა კი მემუარები სწორედ მას ანდო და გადასცა... ტყუილად არ მქონდა ეჭვი — ახლახან ერთ-ერთი წერილი იძოვებს და აღმოჩნდა, რომ თომას მური მათ ცვლილია, რათა საკუთარი თავი უკეთ წარმოეჩინა... მოკლედ, სამტომეული, რომელიც ზღვა მასალას მოიცავს, უმართობულოდ იყო ჩაძირული.

მესამე ტომში მოთხოვნილია ვრცელი ამბავი, რომ 22 წლის ბაირონი, მცირე აზიაში მოგზაურობისას მონათა ბაზარზე გასაყიდად გამოყვნილ 13 წლის ქართველ გოგონას გადაეყარა. ბაირონმა ქართული არ იცოდა და იმ გოგონამ ინგლისური, მაგრამ იმ დროს გაურცელებული იყო ვაჭართა და მოგზაურთა ენა ლინგგა ფრანკა. ქართველი ამ ენას დაუუბლებოდა, რადგან მესამედ იყო გასაყიდად გამოყვანილი. ბავშვის ასაკმა და გარეგნობამ ბაირონი შექმა. დონ-კონტის მანერებითა და აზროვნებით ცნობილი პოეტი ადამიანს გასაჭირში ვერ დატოვებდა. იქვე გამოისყიდა გოგონა და აღუთქვა, რომ საქართველოში დააბრუნებდა. შეძლევ, ვისაც ანდო ეს გოგონა, ჩანს, რომ მან უდალატა და პოეტმა გოგონას კვალი დაკარგა. წელიწად-ნახვარს ეძებდა მას ბაირონი, იპოვა, მაგრამ გოგონას ჯანმრთელობა შერევული ჰქონდა. შეხვედრას მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია, გოგონა ტიროდა და ეკლზე ქვეოდა. მან არ იცოდა, ვინ იყო ბაირონი. პოეტი კვლავ დაპირ-

და სამშობლოში დაბრუნებას, გოგონა საიმედო ხელში დატოვა და მოგზაურობა განაგრძო. გოგონა კუნძულ კრეტაზე წაუყვანიათ სამკურნალოდ და პაერის გამოსაცვლელად, მაგრამ მისმა ჯანმრთელობამ ვეღარ გაუძლო და დაიღუპა. როცა ბაიროიმა ეს ამბავი შეიტყო, ძალიან მძიმედ განიცადა...

გადავამოწმეთ და ყველაფერი ემთხვევა, რაც წიგნშია აღწერილი. — იყო თუ არა ბაიროი ტროას ალექსანდრიაში? — იყო, და ამ მონაცემებით, 1810 წლის 12 აპრილს ქართველ გოგონას შეხვდა. 1811 წლის ოქტომბერში ბაიროი წერს მეგობარს — დაზაფრული ვარ, დამეღუპა კიდვე ერთი (იმ დროს ბაიროის დედა და ოთხი მეგობარი დაეღუპა), აზრი არ აქვს ვინაობის თქმას, იმიტომ რომ აქაური არ არისო... იმავე დღეს ბაიროი წერს ლექსს თირზასადმი და შემდგე მოულ ციკლს თირზას უძღვნის... ქართველი გოგონას სახელი არ ვიციო, მაგრამ თირზა ებრაული სახელია და „მწუხარება“ ნიშნავს. შესაძლოა ბეერათმი-

ბაძვა იყო და ცისო ერქვა იმ გოგონას, შესაძლოა, პირობითად უწიდა ეს სახელი. როგორც გალაკტიონის მერი რჩება მრავლი წლის განმავლობაში იღუმალ საკითხად ქართულ ფილოლოგიაში, ასე რჩება თირზა... 200 წელი ემებენ, ვინაა პროტოტიპი...

ბაიროი ერთი ხელით მემუარებს წერდა და მეორე ხელით „დონ-ჟუანს“. მემუარები იყო მისი ნამდვილი ცხოვრების ამსახველი და „დონ-ჟუანი“ — ლიტერატურული ბიოგრაფია. მემუარები განადგურდა, მაგრამ „დონ-ჟუანი“ ხომ გადარჩა?! „დონ ჟუანში“ მერვიდან მეთერთმეტე სიმღერამდე ლეილას ამბავა აღწერილი, რომელიც ძალიან ჰგავს ამ ამბავს და ქართველი გოგოს ბედს. შეიძლება ითქვას, იმავე ამბავს მოგვითხრობს, რაც კიდვე ერთი დამადასტურებელი საბუთია. კრეტაზე ქართველი გოგონას საფლავი ქალაქის გაფართოებისას გაუნადგურებიათ. საფლავს ვეღარ ვპოულობთ, თორებ მეტი გვეცოდინებოდა, რადგან ამბავი თურმე, ძალიან მოკლედ,

**ბაიროინის თაყვანის მცემლები აღექსანდრ დიუმა, ვიქტორ პაუგო, ნიკოლო პაგანინი, ურუ სანდი, ჯოაკინო როსინი, ფერნც ლისტი (ჯოზეფ დანკაუშერი, „ლისტი ფორტეპიანოსთან“, 1840)**





ბრიტანეთის ელჩი დევიდ მორანი და ინგა მერაბიშვილი. უკან, ექრანზე პროეციულდა ბაირონის პორტრეტი

სახლი საუთველში  
(ნოტინგჰემირი), სადაც ბაირონი  
რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა  
და მემორიალური დაფა



საფლავის ქვაზე იყო ამოტვიფრული. როგორც ჩანს, ბაირონი დაღუპულ ქართველ ქალს მისტირის — „მაგრამ რა არის სიყვარული თუნდაც ათასის, მასთან, რომელიც მკვდარს გეკუთხნის და არ გვიწყებს“. ჩანს, თავისთვის ვერ ეპატიებინა, რომ მიატოვა.

— **ბაირონის ნათესავებსაც დაუახლოებით?**

— ბაირონის შესწავლას რომ მოყვევი, არა მარტო წამყვან ბაირონოლოგებს, არამედ ბაირონის შთამომავლებსაც დავუმეჯობრდი. ჯონ ლიტონი ლორდ ბაირონის პირდაპირი შთამომავალია. მას ერთადერთი კანონიერი ქალიშვილი ჰყავდა — ადა, ცნობილი მათებატიკოსი, მან აღწერა გამომთვლელი მანქანა, რომლის პროექტი ჩარლზ ბეიბიჯონის შექმნა, შეადგინა მსოფლიოში პირველი პროგრამა ამ მანქანისთვის. ადას მეუღლე გრაფი ლავლეისი იყო. მათ სამი შვილი ჰყავდათ. ადას შვილთან — ჯონთან ვემეობრობ... ბაირონის ვაჟი არ ჰყავდა და რომ გარდაიცვალა, ლორდის ტიტული ბიძაშვილზე გადავიდა, რომელიც მეშვიდე ლორდი გახდა. დღეს გვყავს მე-13 ლორდი ბაირონი.

— **ბრიტანეთში გალაკტიონ ტაბიძის სადამო აღნიშნეთ.**

— გალაკტიონს მოიხსენიებდნენ, როგორც ქართველ ბაირონის. მისი ლექსები ვთარგმნე და გამოცემა გალაკტიონის 120 წლისთავს დავამთხვიერ. ქალაქის ერთ-ერთ

სასახლეში, კენიგ ჰაუზში დიდი საღამო მოეწყო, სადაც ბაირონის ნათესავები მოვიწვიე. ასევე ესწრებოდნენ სხვა არისტოკრატები, პოეტები, დაბლომატები, პარლამენტარები. ჯორჯ კენიგი დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მდგვანი იყო და ბაირონი მას განსაკუთრებით აფასებდა... კენიგ ჰაუზში მართავდა ტეტჩერი შეხვედრებს.

— ბაირონის სკოლის სალონში კიდია ორი პორტრეტი — გალაკტიონის მერი და ბაირონის მერი...

— ათი წლის რომ გახდა ბაირონი, მისი წინაპარი მხეუთე ლორდი გარდაცვლილი იყო და ეს წოდება ბაირონზე გადავიდა... მათ გვარს მემკვიდრეობით ნიუსტედის სააბატო გადაეცა. XII საუკუნის სასახლე ცუდ დღეში იყო და რეკონსტრუქციას საჭიროებდა. ბაირონის დედამ იქვე ახლოს სამსართულიანი, ახალაშენებული სახლი იქირავა. ყველაზე მეტი დრო, რაც ინგლისში უცხოვრია ბაირონს, სწორედ იმ სახლში აქვს გატარებული. დიდი სასახლე რომ ჩაიბარეს, მომიჯნავე მამული სხვა ოჯახს ეკუთვნოდა. მათთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, რადგან ერთ-ერთის წინაპარის მერის წინაპარი მოუკლავს... ოჯახის ადვოკატს ბაირონი რომ წაუყვანია და ის მამული უწევნებია, იქ პატარა გოგონა იყო თურმე, 12 წლის მერი. ბაირონი მაშინ მხოლოდ ათი წლის იყო. ოჯახის ადვოკატს უთქვამს — ბაირონ, აი ვინ უნდა შეირთო ცოლად, გააფართოებთ მამულებს და ბედნიერად იცხოვობთო... ბაირონი 15 წლის რომ გახდა, მართლაც შეუყვარდა 17 წლის მერი. მერი ზემოღან უყურებდა, რადგან ბაირონი უმცროსი იყო, თან კოჭლი და შესუქანი... შემდეგ 19 წლის მერი სხვაზე გათხოვდა და ექვსი შვილი ეყოლა. ერთხელ მერიმ ბაირონი თავისთან დაპატიჟა და ამ შეხვედრის შედეგად დარჩა ლექსი — „ბედნიერი ხარ“. მერის ბაირონი ლექსს ლექსზე უძღვნიდა, ქალმაც ვერ გაუძლო, ჩაჯდა ეტლში, ხუთი შვილი ჩაისვა, მექექს ძიძას დაუტოვა და ბაირონს დაედევნა იმ განზრახვით, რომ ცოლად გაცყოლოდა. ბაირონმა ეს ამბავი რომ შეიტყო, გაოგნდა. ის სხვა კაცს ოჯახს არ დაუნგრევდა. განერიდა მერის და სოფელში წავიდა. მერი სოფელშიც გაედევნა, მაგრამ შიკრიება ჩაასწრო და ბაირონი ისევ ლონდონში დაბრუნდა. ამდენს ვერ გაუძლო მერიმ და დაფადდა... ბაირონი „დონ-ჟუანშიც“ ახსენებს



გრაფი ჯონ ლიტონი სიტუვით გამოსვლისას



რობინი, მე-13 ლორდი ბაირონი

მერის. პოეტი რომ გახდე, ან უბედური უნდა იყო, ან შეევარებული და მე ორთვე ვარო, — ამბობდა ბაირონი.

— რა ხდება სამსართულიან შენობაში, სა-დაც ბაირონმა ეველაზე მეტი დრო გაატარა?

— ერთ-ერთმა ბაირონით დაინტერესებულმა პირმა (ცნობილმა იურისტმა) ეს შე-ნობა შეიძინა დაახლოებით 30 წლის წინ და ჩვენი საზოგადოების წევრი გახდა. იგი ამ-ჯერად ბაირონის საერთაშორისო საზოგა-დოების აღმასრულებელი დირექტორია. სახლი მთლიანად ისე მოაწყო, როგორც ბა-ირონის საცხოვრებელი. ძალიან ბევრ ნივთს ჯერ კიდევ იძენს... მახსოვს, მითხრა, აქ რომ ვცხოვრობ, ასე მგრინა, ბაირონთან ერთად ვცხოვრობო. მე კი ვუპასუხე, ამ სახლში რომ მოვდივარ, მეც მგრინა, რომ ბაირონ-თან სტუმრად მოვდივარ-მეტქი. ათასწლეუ-ლის კონფერენცია რომ იყო (სადაც მოხსე-ნება წარვადგინე), ასკაციანი მიღება-სადი-ლი გამართა. დიდ დარბაზში მსახიობები შეგვეგებნენ — კოსტიუმირებული მისის ბა-ირონი, რომელსაც გვერდით თავად ლორდ

ბაირონი ედგა... ბაირონი გაგვიძლვა თავის სამუშაო კაბინეტში და რამდენიმე ლექსი წაგვიკითხა. მსახიობი ძალიან კარგად იყო მომზადებული და შესანიშნავად იცოდა ბა-ირონის ბიოგრაფია.

იტალიაში მყოფ ბაირონს საბერძნეთმა მოუხმო დასახმარებლად. ქვეყანა ოსმალე-თის უდელქვეშ გმინავდა. ბაირონი ჩავიდა სა-ბერძნეთს და მისი სიცოცხლე ელადის გან-თავისუფლებას შექრინა. გარდაცვალებამდე სამიოდე თვით ადრე ბაირონს 36 წელი შე-უსრულდა. იმხანად ის პატარა ქალაქ მისო-ლუნგში მდეოფებოდა. ბერძენმა სულიოტებ-მა (მთიელების ძევლი ტომი ეპირის პროინ-ციაში) მას უმაღურობით გული ატკინეს. მი-უხედავად ამისა, ბაირონმა იცოდა, რომ ის საბერძნეთის მომავალს გადაარჩენდა. დაბა-დების დღეს მან უკანასკნელი ლექსი დაწე-რა: „დღეს შემისრულდა 36 წელი“. დღეს ეს ლექსი შეგვიძლია ასე წავიკითხოთ: „დღეს შემისრულდა 225 წელი“, რადგან პოეტები არ კვლებიან...

**ესაუბრა მანანა გაბრიჭიძე**


ნიუსტედის სააბატო, ბაირონების მამული



აირჩივ შესაფერისი იარაღი. ისროლი ზუსტად  
გააგთობეს შენი შაშხანის სიზუსტე  
ისწავლი თოვისთვის საფანტის შერჩევა

სუპერ!

ფასი  
29.95 ლარი



# ԱՐԵՎԱՑՈՒՅՑ ՏԵՂՄԱՆԱԿԱՐԱՎԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ნიმუში სახლში მიღებით ფასნაგაზის გარეშე თელ: 0(32) 238 26 73, 0(32) 238 26 74 [www.elva.ge](http://www.elva.ge)

# 1892 წლის ნიკოლოს მავლელობა



## როგორ დაითანხმეს ტუსაღები მპვლელობაზე ეპთხების ციხში (პატიმრის მონათხოვბი)

1801 წელს საქართველოს სამეფოს მოსახლეობის შემდეგ, რუსეთის მთავრობა ცდილობდა, ქართული ეკლესიაც მოესპონ. ბევრისგან განსხვავებით, ქართული ეკლესიას მესვეურნი ნათლად ხედავდნენ, რა მიზნები ამოძრავებდათ რუსებს და თავიდანვე ცდილობდნენ, ქართული სახლმწიფოებრიობა დაუცვათ და მისი რღვევა არ დაუშვათ ეკლესია იყო ქართული ენის, ლიტერატურის, აზროვნებისა და კულტურის დამცველი და შემნახველი. ქართული ეკლესიას დევნა რუსეთის ბატონობის მთელ პერიოდში გრძელდებოდა. „ეს ის დრო იყო (საუკუნის მეორე ნახევარი. — ი. მ.), როდესაც ტფილიას არც ერთ ქართულ ეკლესიაში ქართულ ლოცვა-წირვას ვეღარ გაიონებდით ეს ის დრო იყო, როდესაც შავრაზმელ ძრვდელს ვოსტორუოვს და მის დაქაშებს შედგენილი პქონდათ გვემა მოულ საქართველოს სოფლებში გადაეჭდოთ ქართულ ენაზე დათისმსახურება და ქართული საეკლესიო ენის მაგიერ შემოერთ სლავური ენა“, — წერდა იაკობ მანსვეტაშვილი მოგონებებში.



თავდრიღობის პირველ რიგში, მარცხნიდან მეორუ — კაზკაბის მთავრმართებელი გრიგორი გოლიცინი, მესამე — საქართველოს გვარული ნიკონი

უმოწყვალოდ სცემეს შენობაში, პუშკინის სკვერში; სასულიერო პირებმა ტრამვაის ვაგონებს შეაფარუს თავი, მაგრამ კაზკაბის მათრახი და კონდახი მათ იქაც დაქრია. სასტიკად სცემეს სამღვდელოების 60-ზე მეტ წარმომადგენელს. ამ ველური აქტის გამო ქალაქის თვითმმართველობამ პროტესტის ნიშნად სხდომა დახურა. დეკუტატმა მ. ხრამელოვა კი შემდეგი სიტყვები წარმოოთქვა: „საქართველოს ცხოვრებაში იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც მტრები თვით ეპისკოპოსებსაც ჰყოიდნ მტკვარში, მაგრამ ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც გამწვავებული ბრძოლა სწარმოებდა ისლამსა და ქრისტიანობას შორის... განა აქ ისლამი ებრძვის ქრისტიანობის წარმომადგენელთ? განა აქ ადგილი აქვს ორი რელიგიის ბრძოლას? არა, აქ სულ სხვა პირობებია... აქ თავიდან ფეხამდე შეარაღებული ხალხი მუხანათურად ესხმის თავს ქართველ სამღვდელოებას... ენა გიღუმდება და ვერ პოულობ შესაფერის სიტყვებს, რომ გამოსთქვა ის აღშფოთება, რომელსაც გრძნობს მთელი მხარე ამ ბარბაროსული სიმხეცის გამო“.

1908 წლის 28 მაისს ანტიქარიული საქმიანობით განთქმული გვარულის ნიკონი სასინოდო კანტორის შენობაში მოკლეს. ....როცა მისი მეუფება ექსარხოსი შევიდა კანტორის შესაბალში, ზედიშედ გაისხა რამდენიმე რევოლუციის სროლის ხმა, ხოლო ამის შემდეგ გმოგარდა ორი „ტუზემეცია“ და მიეფარენ სომხის ბაზრისეცნ... გვაძის გასინჯვის შექდევე გამოირკვა, რომ არქიეპისკოპოზ ნიკონისათვის ესროლათ ორ ბოროტ გამზრახველს ორი მხრიდან და მოერტყმიათ მეუფისათვის სამი ტყვია, განსულებულის გვაშმი ნახეს ტყვიები მაუზერის და ბრაუნინგის სისტემის რევოლვერებიდან. სამი ტყვია მეორე მხარეზე გასულა, გაუკარგავს გული, ფილტვები და სხვა შინაგანი ორგანოები, ერთი ტყვია მოხვედრია კისერში, დანარჩენები კი სხეულის სხვადასხვა ნაწილებში“, — წერდა გაზეთი „ნაპერწკალი“. ამ დანაშაულს ფედერალისტებს აბრალებდნენ, ისინი კი კატეგორიულად უარყოფდნენ ნიკონის მკვლელობასთან რამე კავშირს. სოციალისტუფედრალისტთა ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ლაპ-

ქართული სამღვდელოება XX საუკუნის დასაწყისში აქტიურად ჩაება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. ამ მოძრაობის წევრები იყვნენ მომავალი კათოლიკოს-პატრიარქები: კირიონი, ლეონიდე, ამბროსი და სხვები. რასაკვირველია, ქართველი ავტოკეფალისტების ამ მოძრაობას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია დიდი უკამაყოფილებითა და აღმტოთებით შეხვდა. 1905 წლის ივნისში სასულიერო სემინარიაში გამართული ქართული სამღვდელოების ყრილობა საქართველოს მაშინდელი გვარულისის, ბრძანებით სასტიკად დაარბიეს კაზკაბმა. სამდღვდელოების წოდება ხელშეუხებლობას გულისხმობდა, მაგრამ კაზკაბმა ძღვდლები



ეგზარქოსი ნიკონი



გიორგი ლასხიშვილი

წიშვილი ფიქრობდა, რომ ეს ტერაქტი დაგეგმილი და მოწყობილი იყო ქართული სამღვდელოების წრეებში. ეს იყო რუსეთის უმაღლეს ცენტრალურ სასულიერო მთავრობასა და ქართველ სამღვდელოებას შორის მწვავე დაპირისპირების შედეგი. ამ დაპირისპირებაზე ისიც მეტყველებს, რომ როცა ეგზარქოსი ნიკონი თბილისში ჩამოიდა, მის დასახვედრად ქართველი სამღვდელოებიდან მხოლოდ გორის ეპისკოპოსი პეტრე მცვიდა, რომელმაც მისასალმებელ სიტყვაში ისურვა, კარგი იქნება, თუ ახალდანიშნული გეზარქოსი თავადე იზრუნებს საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისთვის, რაზეც ნიკონმა უარი განაცხადა. ქართველმა სამღვდელოებამ თავის მხრივ მას ბოიკოტი გამოიუცხადა.

იქამდე კი იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდებმ სინოდისგან წინადაღებაც კი მიიღო, რათა „გადაეცენოს სამსახურიდან მღვდელი გორგამე. ქართველი სამღვდელოების სახელით სინოდში ტელეგრამის გაგზავნისთვის, რომელშიც აცნობებდა, რომ ახლა დანიშნული ექსარხოსი ნიკონი საქართველოში არ მოგიდეს“.

ნიკონის მოკვლის გამო ბევრი ქართველი ავტოკეფალისტი, მათ შორის, ეპისკოპოსი კირიონი დასაჯეს.

საისტორიო არქივში დაცულია დოკუმენტები, ქალაქ ნიკოლაევის საკატორლო ციხის ტუსაღის, ვეირილის ხაზინის ერთ-ერთი მძარცველის, არსენ ქარსიძის მონათხრობი, საიდანაც ვიგებთ, რომ 1905 წელს თბილისის გუბერნიაში შექმნა ავტოკეფალისტების პარტია, რომელიც მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიიდან გამოყოფას. მას შემდეგ კი, რაც კაზაკებმა სასულიერო სემინარიაში ქართული სამღვდელოების კრება დაარბიეს, გადაწყდა ეგზარქოს ნიკონის მოკვლა. დაიწყეს კილერის ძებნა. ამასობაში ავტოკეფალისტებმა ეჭვი მიიტანეს ერთ სასულიერო პირზე, გვარად გურგენიძეზე, რომ ის პოლიციასთან იყო შეკრული და შეეძლო გაეცა, ამიტომ მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. ეს გადაწყვეტილება გურგენიძემ გაიგო და შეთქმულებს სოხოვა, არ მოეკლათ, სამაგიროდ, ყველაფერს გავაკეთებო. მაშინ მას ეგზარქოსის მოკვლა ან კიდევ მკვლელის გამოძებნა შესთავაზეს. გურგენიძე დათანხმდა. მან სასულიერო სემინარიის ყოფილ მოწაფეს, იმჟამად ანარქის-



მეტების ციხე

ტების პარტიის წევრს ეფიმ კუჩუკს საქმის ვითარება გააცნო, ისიც დათანხმდა და დამსმარედ ზაქრო ტურიიანცი წამოიყენა. ამ საქმისთვის მათ 500 მანეთი მოითხოვეს. მანამდე კუჩუკი სასჯელის მოლოდინში მეტების ციხეში იჯდა საღვურ კარააზში საფოსტო მატარებლის ძარცვის მცდელობის გამო (1907 წელს პარტიის დაგალებით უნდა მომხდარიყო თავდასხმა მატარებელზე, რომელსაც მილიონი მანეთი გადაპქინდა, მაგრამ არშემდგარი მძარცველები გასცეს და ტერორისტული ჯგუფის თითქმის ყველა წევრი დააპატიმრეს). კუჩუკი ციხეში ბანქოს თამაშობდა, მუდმივად აგებდა, ფულს კი პატიმარ ალექსი ქართველიშვილისგან სესხულობდა. კუჩუკი ჰპირლებოდა, რომ როგორც კი გათავისუფლდებოდა, გალს დაუბრუნებდა. ბუნდოვანია, როდის შესთავაზეს კუჩუკს ეს საქმე — ციხეში, თუ როცა გათავისუფლდა. ყოველ შემთხვევაში, ქარსიძის თქმით, ქართველიშვილმა იცოდა ეგზარქოსის მკვლელობის გეგმის შესახებ.

1908 წლის 11 მაისს მეტების ციხიდან ტუსაღების დიდი ჯგუფი გაიქცა.

ნიკონის მოკვლის გამო დასაჯეს ბევრი ქართველი აუტოკეფალისტი, მათ შორის, ეპისკოპოსი კირიონი





მთავარმართებულ გრიგორი გოლიცინს თავს კოჯრის გზაზე დაესხნენ, როცა მეუღლესთან ერთად ბოტანიკური ბაზიდან ბრუნდებოდა

გაზრი „ცხოვრების სარკე“ ატყობინებდა მყითხველს გაქცევის ამბავს, რომელთა შორის ზაქრო ტურიკიანციც იყო: „მეტების ციხის კარებიდან მისულა ვიღაც უცნობი და ფანჯარაზე დაუკავუნებია. მეკარე გნატე პალჩიკოჩიმა ფანჯარა გააღო, უცნობმა სოხოვა, გამოერთმა ტუსაღ მაისურაძისთვის ცარიელი კალათი, რომლითაც მან მაისურაძეს რამდენიმე წნის წინათ სურსათი მიუტანა და მისთვის გადაეცა. პალჩიკოჩიმა ტუსაღ მაისურაძეს დაუძახა, და როდესაც ეს უკანასკნელი კარებთან მიყიდა, ამ დროს საიდანდაც რამდენიმე სროლის ხმა გაისმა. უცემ წაქცა სამი ტყვიით მძიმეთ დაჭრილი კარისკაცი... ამ დროს ზედიზედ ორმა ყუმბარამ იფეთქა, კალათის მომტანმა უცნობმა მაუზერის რევოლუციონ სასიკვდილოთ დაჭრა კარისკაცი ჰეტრუ დუქმასი და კედლის გარეთ მდგომი გარადაფო. ამგვარათ, გაიწინდეს თუ არა გზა, ტუსაღები მიაწყდენ კარს, ძალით გააღეს და მიიმალნენ“.

გაქცევის შემდეგ, 28 მაისს, ნიკონი ზემოთ აღნიშნულმა პირებმა მოკლეს, ხოლო მეორე დღეს, 29 მაისს მძარცველები (იმერლიშვილი, ტურიკიანცი და სხვები) თავს დაესხნენ თბი-

ლისის საბაჟოს. მძარცველებმა მოკლეს საბაჟოს მძართველი და კიდევ სამი კაცი. ....მოათვეს თუ არა თავისი საქმე, მძარცველები სხვადასხვა მხარეს გაიქცენ. ორი მათგანი იქვე მოკლეს დროზე მოსულმა დარაჯებმა. მესამე გაიქცა გოგოლის ქუჩით ავჭალის ქუჩისკნ, სადაც ის ჯარისკაცებმა მოკლეს“, — წერდა და გაზეთ „ნაცერწყალი“. მოკლულ მძარცველთა შორის ნიკონის ერთ-ერთი მკვლელი ზაქრო ტურიკიანციც იყო (ოხრანების ცნობით, თავდამსხმელებმა სალაროდან 30.179 მანეთი გაიტაცეს. გამოიძიების მასალებიდან ირკვევა, რომ მძარცველებს თავისი კაცი ჰყავდათ საბაჟოში, მცველი მათავშვილი. თურმე ფულის გაყოფის დროს ერთ-ერთმა მძარცველმა ჩუმად 5 ათასი მანეთი მიითვისა, რისთვისაც სიკვდილი გადაუწყვიტეს, მაგრამ მას მომავალმა სიძემ უშველა: თანამოსაქმეებს შექვეწა და ქურდი შეიწყალეს. გადარჩენილმა მძარცველებმა ამ ფულით რესტორანი „პარიზი“ გახსნეს.

ვერსიას, რომ ეგზარქოს ტურიკიანცისა და კუჩუკის მოკლულია, ამყარებს კიდევ ერთი დეტალი. გაქცეული ქართველი შვილი დაიჭირეს და ისევ მეტებში დააბრუნეს, სადაც ეგზარქოს მოკლის ამბავი გაიგო: ერთხელ მას ამანათი შეუგზავნეს — ჩაი, შაქარი და „ჩუსტი-ფქბაცმელი“, რომლის ქუსლში 25 მანეთი და პატარა ბარათი იდო კუჩუკისგნ ასეთი ტექსტით: „ჩვენ ის გავაკეთეთ, რასაც გეუბნებოდი“, ანუ ნიკონი მოვალით (ეგზარქოს მკლელობას გაგრძელებაც ჰქონდა). ნიკონის საქმის გამომძიებელს კათოლიკეთა ქუჩის კუთხეში ვიღაც უცნობმა სამჯერ ზედიზედ მაუზერიდნ ესროლა. გამომძიებელი თვეში დაიჭრა, ხოლო მეტლე მარცხნა ხელში. თავდამსხმელი მიიმალა).

მეფის მთავრობა არც სხვა ერების ეკლესიებს ინდობდა. 1903 წლის 12 ივნისს, მთავრობის განკარგულებით, ხომხურ ეკლესიას ჩამოერთვა ქონება და ხაზინას გადაეცა (ცნობისთვის: 1869 წლს ალექსანდრე II-ის ბრძანებით აღმოსავლეთ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ჩამოერთვა აღვილ-მამულები, 106 ათასი ჰეტარი ტყე, სახხვა-საფესი მაწები და სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა). იქამდე კი დაკეტეს ხომხური სკოლები, ხომხური წიგნების გამოცემლობა. ხომხების მისამართითაც იგოვე გაკეთდა, რაც კეთდებოდა

წლების განმავლობაში ქართველობის წინააღმდეგ. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა სომხური მოსახლეობის გამოსვლები რესეფის მთელ იმპერიაში, მოხდა შეტაკებები კაზაკებსა და სომხებს შორის, მათ შორის საქართველოს ქალაქებშიც. 1903 წლის 14 სექტემბერს, კოჯორის გზაზე, როცა მთავარმართებელი გრიგორი გოლიცინი და მისი მეუღლე ბოტანიკური ბაღიდან ბრუნდებოდნენ, სომხური პარტიის „დაშნაკციურუნის“ (მემოკლებით დაშნაკები) წევრები მათ თავს დატანენ და გოლიცინი თავსა და ხელში ხანჯლებით დაჭრუს. მთავარმართებელი თურმე გაფრთხილებული იყო მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ და ამიტომ ჯვარის ატარებდა. გოლიცინის არ აპატიეს, რაც მან სომხების მისამართით ჩაიდინა: 1901 წელს მან გამოსცა ცირკულარი, რომლის მიხედვითაც, თურქეთიდან დღინილი ყველა სომქი უკან, თურქეთში უნდა დაბრუნებულიყო. ამასთან ერთად მან გამოთქვა აზრი, რომ კავკასიის მუზეუმში უნდა შეინახონ სომქი ქალისა და მამაკაცის თითო ფიტული მომავალი თაობების ჭკუის სასწავლებლად. საინტერესოა ამ თავდასხმის შემდგომი დეტალები: ერთი საათის შემდგება კაზაკებმა თავდასხმები ცოცხლად შეიძყრეს და მიუხედავდ თხოვნა-მუდარისა, იქვე დახოცეს. აღსანიშნავია, რომ კაზაკებს შალითებში ოთვების მაგიერ ჯოხები ჰქონდათ. იმ ხანებში გახშირებული თავდასხმებისა და იარაღის წართმევის გამო, გამოიცა ბრძანება, რის საფუძველზეც, ვისაც იარაღი დაეკარგებოდა, სამსახურიდან დაითხოვდნენ. ამიტომაც „კაზოის“ მეთაური შევიდად რომ ყოფილიყო, იარაღს ბოჭლომის ქვეშ ინახავდა. როცა თავდასხმის შესახებ ცნობა მოვიდა, კაზაკებს უბრალოდ დრო არ ჰქონდათ, რათა იარაღი აეღოთ და ამიტომაც დამნაშავთა დასაჭრად ჯოხების ამარა მოუწიათ გასვლაშ.

სომხების აღშფოთების მთავარი მიზეზი მაიც ის იყო, რომ საეკლესიო ქონების ჩამორთმევით დაშნაკებს ხელიდან ეცლებოდათ შემოსახლი, რომლის დიდ ნაწილს ისინი, თურქეთში მოღვაწე თავიანთ თანამემამულებს აწვდიდნენ. 1897 წელს გაზეო „კავკაზის“ რედაქტორი ველიჩკო წერდა, რომ ის ტერორისტული ქმედებები, რასაც ჩადიოდნენ სომხები, ხორციელდება ეჩმიაძინის უშუალო ხელმძღვანელობით. გარეგნულად ეჩმიაძინი — ეკლესიაა, სინამდვილეში კი სომხების ნახევრად

ფარული ნაციონალური შენობის თავისებური ფორმა, რომლის მთავარ მიზანს შეადგენს სომხური ავტონომიური სამეფოს შექმნა რუსული ტერიტორიის საზღვრებშიო.

აღსანიშნავია, რომ დაშნაკები ტერორითა და ექსპროკრიაციებით ფულის შოგნის საუკეთესო საშუალებას ზედავდნენ. ისინი მსოფლიოში მიმოფანტულ მდიდარ სომხებს ფულს სძალავდნენ, ხოლო ვინც ეურჩებოდათ, უბრალოდ კლავდიენ. სომხებთან დაკავშირებით დაძაბულობა რომ მოქსნა, ნიკოლოზ II-მ 1905 წელს გააუქმა ზემოთ ნახსენები კანონი, სომხურ ეკლესიას დაუბრუნდა მოული ქიონება და ის მოგება, რაც ამ თრ წელიწადში მას დააკლდა. საფიქრებელია, სომხებმა მაგრად „იმუშავეს“.

## ირაკლი მახარაძე

რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ კონფისკაციის კანონი გააუქმა. სომხურ ეკლესიას დაუბრუნდა ქიონება და დანაკარგვიც აუნაზღაურდა



# ქართველი მსახიობების პირველი წარმოდგანა ყარსში

უნიკალური ფოტოა დაცული  
საქართველოს თეატრის, მუსიკის,  
კინოსა და ქორეოგრაფიის  
სახელმწიფო მუზეუმში. მინაწერის  
მიხედვით ეს ფოტო 1901 წლის 25  
იანვარს ქალაქ ყარსშია  
გადაღებული. აქევე საგანგებოდაა  
მითითებული, რომ აღბეჭდილი  
პირები „ქართული წარმოდგენის“  
მოხატვილები არიან.

თანამედროვე თეატრების ჩრდილო-აღ-  
მოსავლეთში მდებარე ყარსის პროეიციის  
დედაქალაქი 1878-1917 წლებში რუსეთის  
იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. აქ  
საქამიად მრავალრიცხოვანი ქართული  
მოსახლეობა იყო, რასაც ცხადყოფს მუ-  
ზეუმში დაცული ყარსის ქართველობის  
არაერთი წერილი ქართული დრამატუ-  
ლი საზოგადოების წევრუბისადმი. ფოტო-  
ზე მეორე რიგში ცენტრში სახელგანთქ-  
მული მსახიობი გასო აბაშიძეა წარმოდ-  
გენილი, მის მარჯვნივ მისი მეუღლე, ასევე  
მსახიობი მარიამ საფაროვა, მარცხნივ კი  
ქალიშვილი, საქართველოს სახალხო არ-  
ტისტი ტასო აბაშიძე ზის. ამ უკანასკნე-  
ლის მარჯვნივ ეუემია მესხი მოჩანს. ფო-  
ტოზე მეორე მხარეს გაკეთებული მინაწე-  
რის მიხედვით, აქ ქაიხოსრო გიორგის ძე  
ჯავახიშვილი და გიორგი დავითის ძე თა-  
ზიშვილი უნდა იღენებ. მათი იდენტიფი-  
კაცია ვერ მოხერხდა, თუმცა თაზიშვილის  
ბიოგრაფიას მუზეუმის არქივში მიუკვლი-  
ეთ. ეს უკანასკნელი 1924 წელს გარდაცვ-  
ლილა. 1910 წელს ქალაქ გორში დრამა-  
ტული წრე ჩამოუყალიბებია, 1917-1923  
წლებში კი ზუბალაშვილის სახალხო სახ-  
ლიან არსებული დრამატული თეატრის  
მსახიობი ყოფილა.





Т. Кабер. 25 Августа 1901 г.  
Публичный библиотека).

ფოტოზე დატანილი ორენოვანი წარწერა: ქ. ყარსი, 25 თებერვალი 1901 წ. პირველი ქართული წარმოდგენა

ფოტო მოგვაწოდა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და  
ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა

# პოლონეთის სამხრეთამერიკული ოცნებების სასაფლაო

I და II მსოფლიო ომებს შორის არსებულ პოლონეთის ძეორუ რესუბლიკას პრეტენზია ჰქონდა, გაეკონტროლებინა ოკანისგარდა (განსაკუთრებით, ლათინურ ამერიკაში) ტერიტორიები. ამ გზით მას სურდა მოქმედებინა ნედლეულის წყაროები, საქონლის გასაღების ბაზარი და თანაც, საერთაშორისო არენაზე თავი ძლიერ სახლმწიფოდ წარმოებინა. 1930-1939 წლებში აქტიურად საქმიანობდა ზღვებისა და კოლონიების ღიგა. იგი წარმართავდა პროპაგანდას, აწყობდა დემონსტრაციებს, უშეგვის უურნალ „ზღვას“, ახალი მიწების ასათვისებლად პოლონელები ჩაჰყავდა უცხო ქვეყნებში და სხვ. ამ ღიგის ძალის ხმელეთის შედევად, მხოლოდ არგენტინაში 20 ათას პოლონელზე მეტი ჩასახლდა. არგენტინაში პოლონელები XIX საუკუნეშიც სახლდებოდნენ, მაგრამ მაშინ ამას სტიქიური ხასიათი ჰქონდა.

პოლონურმა „კარტა ცენტრმა“ 2011 წელს გამოაქვენა ემიგრანტ პოლონელთა წერილები, რომელებიც მათ არგენტინაში ჩასახლებას აღწერს. „კარტა“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც პოლონეთისა და ალმოსავლეთ კვრიპის ისტორიას უწევს პოპულარიზებას და შესაბამის დოკუმენტებზე მუშაობს. ლათინურ ამერიკაში პოლონელთა ჩასახლება 1939 წლამდე ანუ II მსოფლიო ომის დაწყებამდე გრძელდებოდა. ამის შემდეგ გადასახლება დასრულდა, მეტიც, ამერიკაში ჩასახლებულ პოლონელებთა კოველეგარი კონტაქტი შეწყდა.

სტეფან ვიზნევსკის წერილიდან:

„მამაჩემმა საიდანღაც შეიტყო, რომ არ გენტინაში გადასახლება შეიძლებოდა და რომ იქ ნაყოფიერი მიწები და სამოთხეში ცხოვრება გველოდა. მან გაყიდა, რის გაყიდვაც შეიძლებოდა, თავი მოუყარა 1.000



ზღვებისა და კოლონიების ღიგის უურნალ „ზღვას“ (Morze) 1935 წლის ოქტომბრის ნომერი

ზღლოტს და ამ ფულით არგენტინაში, მდინარე პარანას პირას 20 ჰექტარი მიწა შეიძინა. მაშინ 9 წლის ვიყავი. მამამ აიღო ხერხი, ცელი, ნამგალი, ჩაქუჩი, დედამ ერთი მუჭა შშობლიური მიწა შეახვია ხელსახოცში და მრავალ ჩვენსირ დატაკონ ერთად, შორეული არგენტინის გზას დაბადექით. ჩაედით ბუენოს-ა-ირეაში, შემდეგ მატარებლით პროგინცია მისინესის დედაქალაქ პრისადასისკენ გაწიეთ, საიდანაც პატარა გემით ჯუნგლების სიღრმისკენ დავიძარით. ჩვენი მოგზაურობა უსასრულოდ გაგრძელდა, ვიდრე ბოლოს გემი არ გაჩერდა და ერთ ხალხმრავალ ბანაკში არ დაგვაბინავს. მალე ჩვენი ნაკვეთიც გვაჩვენეს, რომელიც მამამ ჯერ კიდევ პოლონეთში იყიდა. ერთმა არგენტინელმა ჯუნგლებამდე მიგვიყვანა, 20 ჰექტარი მოგვიზომა და ეს თქვენიაო, — გვითხრა“.

1929 წლის მარტის პოლონეთის სენატის დადგენილებიდან:

1. სენატი ავალებს მთავრობას, მეტი შერუნველობით მოეკიდოს ლათინურ ამერიკაში ჩასახლებულ პოლონელთა საქმეს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს არგენტინაში ჩასულ ჩვენს თანამებამულებას.

2. სენატი ავალებს მთავრობას, კიდევ უფრო გააქტიუროს მუშაობა პოლონეთისთვის კოლონიების მოძიების მიმართულებით.

პოლონეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მიაჩნდა, რომ კოლონიათა მაშინდელმა სხვა მფლობელებმა ეს ადგილები მხოლოდ დაპყრობის გზით როდი ჩაიგდეს ხელთ. ამ მზნით აქტიურად მოქმედებდა სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკაც, რაც საბოლოო ჯამში მათ ამ ტერიტორიების დაუფლების საშუალებას აძლევდა.

პოლონეთის მთავრობის კოლონიურ პოლიტიკას გაგებით ეკიდებოდა ფართო საზოგადოება, მაგრამ მათ მაინც მიაჩნდათ, რომ ქვეყანაში სხვა პრობლემების გადაჭრა გაცილებით საშუალო საქმე იყო. კერძოდ, უფრო მნიშვნელოვანი ჩანდა უწიგნურობის აღმოფხვრა, სოფლის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების გა-

უმჯობესება, დაჭაობებული ადგილების ამოშრობა და სხვ.

ხელისუფლების საემიგრაციო პოლიტიკა-სადმი საზოგადოების მხრიდან გამოჩენილ არცუ დიდ ენთუზიაზმს ხელს უწყობდა ისიც, რომ შესაბამისი ორგანიზაციის მუშაობის მიუხედავად, პოლონელთა გადასახლება ხშირად მაინც სტიქიურად, დაუგეგმავად ხდებოდა. ემიგრანტები თავიანთ ქმედებებს ამყარებდნენ იმ ნაცნობთა მიერ მოწოდებულ ცნობებზე, რომლებსაც უკვე დაეტოვებინათ ქვეყანა და ახალ გარემოში მეტად მძიმე ვითარებაში აღმოჩენილიყვნენ. ეს იწვევდა მათ უკმაყოფილებას, აპათას და ისინი ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ.

მაგალითად, არგენტინაში ჩასულმა კოგალსკებმა, რომელთა ოჯახიც ოთხი ზრდასრული ადამიანისა და სამი მოზარდისგან შედგებოდა, მთელი თავისი დანაზოგი მგზავრობაში დახარჯეს და სამუშაოს რამდენიმეკვირიანი ამაო ძებნის შემდეგ, პოლონეთის საკონსულოს მიადგნენ დახმარების თხოვნით საკონსულოს ყველა გაჭრაზეულის დახმარება არ შეეძლო. ამიტომ მიგრანტები ამ სამსახურს ისე უყურებდნენ, როგორც პოლიციურ

ბუნოს-აირესის რკინიგზის სადგური, 1930 წ.





პოლონების მართვის და მუნიციპალური განვითარების მიზანის გაღმა

დაწესებულებას, რომელსაც მხოლოდ დოკუ-  
მენტების გაცემა ხელშითება, და არა რეა-  
ლური დახმარება. გარდა იმისა, რომ საკონ-  
სულოს ყველა გაჭირვებულისთვის დახმარე-  
ბის ხელის გაწვდენა არ შექმლო, მის თანამშ-  
რომლებს არც გამოცდილება ჰქონდათ და  
არც ნათელი წარმოდგენა, როგორ ცხოვრობ-  
დნენ ემზარნტები ახალ პირობებში.

სწორედ ამგვარი განწყობილების გამოძახილია არგენტინაში გამომავალი პოლონური გაზეთის სტრიქონები: „თანამემამულენო, დარჩით პოლონეთში, იმ მიწაზე, რომელიც თქვენს პაპებსა და პაპის პაპებს დაუმუშავებიათ, თქვენ გუზტრდიხართ. დარჩით და ისაზრდოეთ მაგ მიწაზე მოწეული პურით, რომელიც მართალია შავია, მაგრამ გამრივლია“.

რა მწარე აღმოჩნდა არგებინაში ჩასახ-  
ლებულ პოლონელთა ბედი, კარგად ჩანს ზე-  
მოქსენებული სტეფან ვაშნევსკის წერილის  
სხვა ორაგმნტიდან:

„მთელი ჩევანი ოჯაზი ჯუნგლებს გძირკვაც-  
დით, რომლებიც პოლონურ ტყეებს როდი ჰყავს.  
დღისთ რასაც ამოვძირკვადით, დამით ყლორ-  
ტებს ისხამდა. ასეთ კლიმატს – სიცქეს, სი-  
ნესტეს, შხამიან მწერებს, ქვეწარმავლებს, ადა-  
მიანზე მონადირე მხეცებს ძნელდა თუ წარმო-  
იდგნს კაცი. თუკი ნამდვილად არსებობს ჯო-  
ჯოხეთი, ჩევნ აქ მისი მნახველები გაზხდით ბევ-  
რი იხოცებოდა, ბევრმაც სასოწარკვეთილმა მი-  
ატოვა აქაურობა. მაგრამ მამაჩემბა, ჯიუტმა  
პოლონელმა გლეხმა გადაწყვიტა, ამ ყველაფ-  
რისთვის ბოლომდე გაეძლო. ის ხომ უკვე 20  
პეტტარის მფლობელი გახდა, რაზეც პოლო-  
ნეთში ოწენებაც კი არ შეძლო“.

მძიმე მდგომარეობის ამსახველი სხვა წერილის ფრაგმენტი:

„მოვინასულე ფიზიკურად და მორალურად  
მოტეხილი ჩემი თანამემამულე. ქოხში იწვა  
ადამიანი, რომლისგანაც მხოლოდ ძვალი და  
ტყვაი დარჩენილიყო. თუმცა ის ერთ დროს  
შეძლებულ კოლონისტად ითვლებოდა. მას და-  
უფიქრუბლად გაყიდა კუთვნილი მიწა, რად-  
გან ქალაქში აპირებდა საცხოვრებლად გადას-  
ვლას. თალღითებმა მოატყუეს და ცარიელზე  
დასვეს. ამ ნერვიულობას ცოლი გადაჰყა. თა-  
ვიდაც მეტისმეტი ჯაფისგან გამოიყოჩა და სა-

იგუასუს  
ჩანჩქერების  
კასკადი  
მისიონერის  
პროვინციაში



ბოლოოდ, მძიმედ დაგადადა. დღეს ის წევს, გან-  
ძრევის თავიც არ აქვს და უკიდურეს სიღარი-  
ბეში სიკვდილს ელოდება.

სიამოგნებით დალევდა სულს, მაგრამ თავისი ხეთი შვილის ბედი აფექტურებს. ბავშვები ჯერ არას სულწლოვნი არიან და მამის სიკვდილის შემდეგ თავის დამოუკიდებლად რჩენა გაუჭირდებათ ნათესავებიც, რომელთაც შეეძლოთ მათვის დახმარების აღმოჩენა, პოლონეთში, კრაკოვში დარჩენა, ხოლო არგენტინაში არსებული საზოგადოება „პოლონია“ ჯერ არ მოძლიერებულა.

შეგავსი დღამატული შემთხვევა აქ ჩში-  
რად გვხვდება. აյ მხოლოდ ძლიერ აღამიანს  
შეუძლია გადარჩენა, ძლიერებსა და ღრმად  
მორწმუნებს. დანარჩენები ბუზებივით იხო-  
ცებაან“.


ამიტომ იყო, რომ ლიგა დაკვირვებით არ-  
ჩევდა ემიგრაციაში გასაზაფნ კანდიდატებს  
და ერიდებოდა იქ ისეთების გაგზავნას, რო-  
მელთაც სოფლად ცხოვრების გამოცდილება  
არ ჰქონდათ.

რატომ ირჩევდნენ პოლონელები არგენტინაში დასახლებას? ჯერ ერთი იმიტომ, რომ იქ იყო შედარებით თავისუფალი და იაფა მიწები, მისაღები კლიმატი; ამასთან, ჩასასახლებლად შერჩეული პროცესი ციტიბი ადმინისტრაციაში დასახლებას მოახდენდა.



ემიგრანტების ოჯახი არგენტინაში. პოლონური  
სარეკლამო ბროშურა, 1939 წ.





მოახალშენების კოლონია განდაში ჩასვლა

განდის მცხოვრებელი მიწის ნაკვეთებს ტყისგან  
ასუფთავდება, მდინარე პარანას ნაპირებზე



მაღლე ემიგრანტებმა თვალსაჩინო სამეურნეო წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად, დასახლება ვანდაში შექმნეს აგრარული საწარმო, გახსნეს მაღაზიები, სადაც საბაზრო და არასპეციალურ ფასებში შეიძლებოდა საქონლის ყიდვა. ამ ადგილებში მიწების აზომებში, გზებისა და ხილების მშენებლობაში, ადმინისტრაციულ საქმიანობაში პოლონელებს შემცვლელი არ ჰყავდათ. სხვა ქვეყნების წარმომადგენლები მათ კონგურენციას ვერ უწევდნენ. შეიქმნა საცდელი სადგურიც, სადაც ყოველ ემიგრანტს შეეძლო მიეღო ინფორმაცია და რჩევა-დარიგება, საკუთარი მურნეობის უკეთ გასაძლოლად.

ყოველ ჩასახლებულ ოჯახს საკუთრებად ეძლეოდა 20-25 ჰექტარი მიწის ნაკვეთი; აქედან 1,5 ჰა გაწმენდილ-დამუშავებული, ნახევრი ჰექტარი — დაუყისილი; მასალები სახლის ასაშენებლად; 20 ჰექტარის ღირებულების ხელ-საწყო-იარაღი; სამი გოჭი და ხუთი ქათამი; მოკლედ, ვისაც მუშაობა არ ეზარებოდა და გული ერჩოდა, ახალ სამყაროში ცხოვრების მოწყობა შეეძლო.

არგენტინასა და საერთოდ, ლათინურ ამერიკაში (პარაგვაი, ბრაზილია და ა.შ.) პოლონელთა ორგანიზებული ჩასახლებისთვის ხელის შესაწყობად, ამ ტერიტორიებზე გზების, ხილების მშენებლობებისთვის და სხვ., პოლონელთა ხელისუფლებამ სახელმწიფო აგრარულ ბანკს მათი დახმარება დაავალა. 1936 წელს შეიქმნა გადასახლებულთა საერთაშორისო სააგენტო საზოგადოება.

მრავალი პოლონელი ლათინურ ამერიკაში მხოლოდ უკეთეს საცხოვრებელი პირობების არ წასულა. მათ აშინებდათ ახალი ომის დაწყების საშიშროება, რომლის შესახებაც ხმებ იდ დროს უკვე ვრცელდებოდა.

აი, რას წერს ამის თაობაზე დასახლება განდის ერთ-ერთი მკვიდრი: „მოსალოდნელი ომის შესახებ გავრცელებული ხმები სასოწარკვეთაში აგდებდა მათ, ვისაც უკვე შევნიათ წინანდელი ომის საშინელებები. აძითომ მამაჩემმა, ბიძაჩემმა ცოლითა და შვილებით გადაწყვიტეს, ამერიკაში წასულიყვნენ, სადაც მშვიდობა და კეთილდღეობა სუფევდა.

დედაჩემის მშობლები პოლონეთიდან განდაში 1938 წელს ჩამოვიდნენ. ბებიაჩემს განსაკუთრებით გაუჭირდა აქ ცხოვრება, რადგან მის შვილებს მდინარე პარანას ნაპირზე კო-



პოლონეთი ემიგრანტები და მისიონერის გუბერნატორ ლარშეს ოჯახის წევრები. კოლონია განდა, 1938 წ.

ღოვები ქბენდნენ. პაპაჩემმა ტანსაცმლით სავსე დიდი ხურჯინი ჩამოიტანა, მხარზე გადაკიდებული, რადგან ადგილზე მსგავსი არაფერი იშოვებოდა.

ჩენ იმ ჯუნგლების პირას დაგასახლდით, რომელიც დასამუშავებლად უნდა გაგვეწინდა. სახლი ორსართულიანი იყო, პალმის ფოთლებით გადახურული, პირველ სართულზე სამზარეულოთი.

ეგრი პერიოდი ისე გაგვიჭირდა, რომ მამაკაცები ბავშვებით ტიროლენი. საკმარისი ფული რომ გვქონდა, უკან, პოლონეთში დაბრუნდებოდით. მნელი იყო გაუკალ ჯუნგლებში მუშაობა, სადაც მებენარისებან მოსვენება არ გვქონდა. მართალია, მათი შიშით რამდენიმე ხელი ტანსაცმელი გვეცვა, მაგრამ მაინც მწარეობდნენ.

ბავშვები მშობლებთან ერთად მუშაობდნენ, ხერხავდნენ ხელს, აშალაშინებდნენ ფიცრებს. აქ ყელა ხელით, პრიმიტიული იარაღის გამოყენებით აშენებდა სახლს. საკვები ძალიან დარიბული გვქონდა, ხორცი იშვიათობა იყო.

ისეთ მწირ მოსახალს ვიღებდით, არსებობა გვიჭირდა. ვსეამდით უშაქრო ყავას, რომელსაც სოიოს ხელით დაფქული მარცვლებისგან გამზადებდით. აქაური მამაკაცები ზოგჯერ ხმამაღლა ფიქრობდნენ. ძირითადად იმა-

ზე, რომ ერთ ომს გამოერიდნენ და მეორეში აღმოჩნდნენ“.

სხვა წერილის ფრაგმენტი:

„იქიდან, რასაც სამშობლოში გვპირდებოდნენ, არაფერი შესრულებულა. აგრარულმა ბანკმა საცეცები ობობასვით გაშალა და ვაიმ ემიგრანტს, ვინც მის ქსელში მოექცეოდა.

ბატონი ელჩი ვარშავაში ტკბილად გველაპარავებოდა, ათას რამეს გვპირდებოდა. აქაც გვესტურა, მაგრამ მხოლოდ ერთი ლამით და ბეზებმა არ შემჭამონო, უკან მოუხედავად გაიქცა. მას შემდევ აღარ გავხსენებივართ.

პოლონეთში 170 ზლოტი გადავისადეთ, რათა ჩენს ჩამოსვლამდე ჰექტარ-ნახევარი მოქნათ და დაეთუსათ, მაგრამ აქ ჩამოსულებს მხოლოდ გაუგალი ტყე დაგვხვდა“.

ისმის კითხვა: ნახა რამე სარგებელი პოლონეთმა ამ კოლონიური პროგრამიდან?! საეჭვოა. ივნისში კრაკოვში მთარგმნელთა კონგრესზე გახლდით მიწვეული, იქ პოლონური წარმოშობის არგენტინელ ქალბატონს ვესაუბრე და დავინტერესდი: თავს უფრო არგენტინელად გრძნობთ თუ პოლონელად-მეთქი? რა თქმა უნდა, არგენტინელადო, – მომიგოდა და დასძინა, – სიცოცხლეში მხოლოდ ორჯერ ენახე პოლონური ისზმარი, არგენტინული კი ყოველღამე მესიზმრებაო...  
მთაშადა ამბობის გრიშკაშვილმა



# ორგანიზაცია „თეოტრი ვარდი“

სტუდენტური  
ინიაზადებუგობა  
ნაცისტურ  
გერმანიაში

ალექსანდერ შმორელი, სოფი და პან შოლები

ქართველ საზოგადოებას ზედაპირული ინფორმაცია აქვს ნაცისტურ გერმანიაში არსებული წინააღმდეგობის მოძრაობის შესახებ. უმეტესობას უნახავს ფილმები სამხედრო წინააღმდეგობის ამსახველ ფაქტებსა და პერსონებზე, რომლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენერლია გრაფი კლაუს შენკ ფონ შტაუფენბერგი და მის მიერ წარუმატებლად განხორციელებული თავდასხმა პიტლერზე 1944 წლის 20 ფელის აღმოსავლეთ პრუსიის სამხედრო შტაბ-ბინა „ვოლფშანცეში“ („მგლის ბუნაგში“).

გერმანულ საზოგადოებაში, განსაკუთრებული განვითარებით კი მის ტრადიციულ-ბურგერულ ნაწილში, 1933 წლის შემდგა მუდმივად არსებობდა შინაგანი წინააღმდეგობა პიტლერის დიქტატორული და ანტიპუმანური რეჟიმისადმი. თუმცა გესტაპოსა და SS-ის (ნაცისტების შეარაღებული ფორმინგების) ტოტალური კონტროლის პირობებში, ამ წინააღმდეგობისთვის ორგანიზებული სახის მიცემა ურთიერთების პრობლემას წარმოადგენდა. ჩვენ ვლაპარაკობთ ეპოქზე, როცა 1933-1936 წლებში, სამი წლის განმავლობაში, ქვეყანაში ისეთი ტოტალური კონტროლის მექანიზმები შეიქმნა, როგორებიც იყო Hitlerjugend-ი (HJ) და Bund Deutscher

Mädels-ი (BDM), რომლებშიც მთელი გერმანიის ახალგაზრდობის 90%-ზე მეტმა მოიყარა თავი. ახალგაზრდების იდეოლოგიური დამუშავება ისეთივე ინტენსივობით მიმდინარეობდა, როგორც საბჭოთა კავშირის ბანაკებში.

ასეთი რეჟიმის პირობებშიც კი ნაცისტურ გერმანიაში არსებობდა ორგანიზებული წინააღმდეგობის ცენტრი, რომელიც „თეოტრი ვარდის“ სახელწოდებითა ცნობილი და რომლის სულის ჩამდგმელები მიუნხენის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები — პანს შოლი და ალექსანდერ შმორელი იყვნენ. „თეოტრი ვარდის“ საქმიანობა ემსახურებოდა გერმანელი ხალხის, განსაკუთრებით კი ახალ-



გაზრდობის გამოფხიზლებას ნაცისტური პრო-პაგნძის გაყლენისგან. 1942 წლის ონის-ოვლისში შოლმა და შმორელმა დაბეჭდეს და გაავრცელეს ოთხი მოწოდების ფურცელი გერმანული საზოგადოებისადმი, სადაც ისინი ქრისტიანული მორალისა და ჰუმანისტური ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე, გმობდნენ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის საქმიანობას. ამ ოთხი მოწოდების ტექსტები გამსჭვალულია ჰუმანისტური ეთიკით, დამახასიათებელი პათეტიკური ენითა და ლოგიკით. აეტორები საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ხშირად იყენებენ ამონარიდებს გერმანელ კლასიკოსთა, მაგალითად, გოეთესა და შილერის ნაწარმოებებიდან.

მოგვიანებით, პათეტიკა პრაგმატულმა სტილმა ჩანაცვლა და „ოუთრი ვარდის“ ბოლო ორ, ანუ მეხუთე და მეექსე მოწოდების ფურცლებში უკვე ვხედებით ერთმნიშვნელოვნად პოლიტიკური შინაარსის ტექსტებს, მიმართულს ჰიტლერისა და ზოგადად, ნაცისტური ტირანის წინააღმდეგ. ახალგაზრდების

რადიკალიზაციაზე განსაკუთრებული გაფლენა იქონია სამსახურში გაწვევამ 1942 წლის ზაფხულში აღმოსავლეთის ფრონტზე, სადაც მათ საკუთარი თვალით იხილეს ომის საშინელებანი და გერმანელთა მიერ ებრაელთა წინაშე ჩადენილი დანაშაული. სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, ნოემბერში, შოლმა და შმორელს შეუერთდნენ შოლის 21 წლის და სოფი და მეგობრები — კრისტოფ პრობსტი და ვილი გრაფი, რომლებმაც მანამდევ იცოდნენ „ოუთრი ვარდის“ საქმიანობის შესახებ. 1942 წლის დეკემბერში სტუდენტების მენტორმა, ფილოსოფიის პროფესორმა კურტ ჰუბერმა, რომელიც ლაიბნიცის შესახებ კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტში, ასევე შეიტყო საიდუმლო ორგანიზაციის არსებობისა და საქმიანობის შესახებ და თავადაც შეუერთდა მას.

„ოუთრი ვარდის“ ბოლო ორი, მეხუთე და მეექსე მოწოდების ფურცლები განსაკუთრებით საინტერესოა შინაარსობრივი თვალსაზრისით. მათ შექმნაში უშუალო მონაწილეობა



ჰიტლერიუგენდის ერთ-ერთ საზეიმო ღონისძიებაზე

မဝიလေ ကျော်မြဲ ဒုပ္ပံ့ရမာ၊ မခိုးတွေ ဖျှော်ဖြေလှို့၊  
ရေစီလိုင်း စာတော်ရှင်၊ „မိမ်မာရာတွေ ပွဲခြေလာ ဂျာမာ-  
နော်လှိုင်းသမီး“ စာ ရေစီလိုင်း၊ 1943 წြေား အနောက်-  
၅၀၁။ ဒါ အနေ မြော်ပိုင်းသာ နှင့် အကျိုးသာ ပြောရေး၏

ში გავრცელდა, „თუთოი ვარდის“ წევრები წინასაწარმეტყველებზე, რომ გერმანიისთვის ომი მხოლოდ საზარელი შედეგებით შეიძლება დას-  
მირობის შესახებ მხატვრული ფილმიც გადაიღოს



რულდეს, რომ პიტლერს ომის მხოლოდ გაწელა შეუძლია და არა მისი მოგება. სტუდენტები აფრთხილებენ გერმანულ საზოგადოებას, რომ თუ არ სურთ მთელი მსოფლიოს მიერ მოძულებულ ერად იქცნენ, უნდა გაემიჯონ ნაცისტების საქმიანობას, ვიდრე დაგვიახებული არ არის. მოწოდებაში ლაპარაკია გერმანიის სამომავლო მოწყობაშეც. „ოთრი ვარდი“ მიიჩნევდა, რომ ომის შემდგომ გერმანიაში ბოლო უნდა მოღებოდა პრუსიული მილიტარიზმის დომინაციას და გერმანია ფედერალისტურ პრინციპებზე უნდა დაუუძნებულიყო, რაც გამართლდა კიდეც.

მეზუოე მოწოდებას, 1943 წლის თებერვალში, მოჰყვა მეექვსე, რომელიც სტუდენტებისადმი მიმართვას წარმოადგენს. მოწოდებაში ლაპარაკია სტალინგრადის ტრაგედიაზე, დილეტანტიზმის პრობლემაზე გერმანიის უმაღლეს ეშელონებში, თავისუფლებისა და ლირსების არარსებობაზე ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის პირობებში. „ოთრი ვარდი“ მიიჩნევდა, რომ ისევე როგორც ბერეზინა გახდა 1813 წელს ნაპოლეონის დიქტატურის დასასრულის დასაწყისი, სტალინგრადი გახდება ევროპის ნაციზმისგან გაწმენდის საწინდარი.

აღსანიშნავად, რომ ტოტალიტარული რე-

„ოთრი ვარდისადმი“ მიძღვნილი ექსპოზიცია



„ოთრი ვარდისადმი“ მიძღვნილი საფოსტო მარკა

ჟიმის პირობებში სტუდენტებმა მოწოდების 15000-მდე ეგზემპლარი დაბეჭდეს. მათი გაცრცელება უდიდეს შრომასა და სიფრთხილესთან იყო დაკავშირებული. ფურცლები ვრცელდებოდა არა მხოლოდ მიუნხენში, არამედ ვენაში, შტუტგარტსა და ლინცში. ბუნებრივია, „ოთრი ვარდის“ მოწოდებათა გაურცელება გესტაპოსთვისაც მაღვე გახდა ცნობილი და 1943 წლის თებერვალში შეიქმნა სპეციალური დანაყოფი, რომელსაც ფურცლების წარმომავლობის საკითხი უნდა დაედინა.

1943 წლის 18 თებერვალს, მიუნხენის უნივერსიტეტში მოწოდების ფურცლების დაყრისას უნივერსიტეტის ზედამხედველმა შენიშნა პანს და სოფი შოლები, რომლებიც პოლიცი-





აღვენანდერ შმორელი წმინდანად შერაცხეს

სოფთ და პანს შოლების საფლავი



ამ მაშინვე დააპატიმრა. გამოძიებამ დაადგინა „თეთრი ვარდის“ სხვა წევრთა ვინაობაც. პანს შოლების აღმოჩინების კრისტოფ პრობსტის ხელწერილი წარწერით „პიტლერი და მისი რეჟიმი უნდა დაეცეს, ამით გერმანია გადარჩება“. 20 თებერვალს პრობსტი ინსპერუქში დააკავეს. 22 თებერვალს სახალხო სასამართლომ, რომელიც ნაცისტების ანგარიშსწორების იარაღს წარმოადგენდა, როლანდ ფრაისლერის თავმჯდომარეობით, სიკვდილი მიუსავა სამიერ დაკავებულს. დაქმა შოლებსა (21 და 24 წლის) და პრობსტს (23 წლის) იმავე დღეს თავები მოჰკვეთეს. რამდენიმე დღის შემდეგ დააპატიმრეს ორგანიზაციის დანარჩენი წევრებიც, რომელთა სასამართლო 1943 წლის 19 აპრილს გაიმართა. პროფესორ კურტ ჰუბერს, ვილი გრაფსა და ალექსანდრე შმორელს სიკვდილი მიუსავეს, ორგანიზაციის თანამოაზრებად მიჩნეულ დაახლოებით ათ პირს კი — ციხე. ჰუბერსა (49 წლის) და შმორელს (25 წლის) 13 ივლისს მოჰკვეთეს თავი, ვილი გრაფს (25 წლის) — 12 ოქტომბერს.

„თეთრი ვარდი“ სახეცვლილი ფორმით არსებობას განაგრძობდა პამბურგში. 1942 წელს მედიცინის სტუდენტებმა, შოლისა და შმორელის მეგობარმა გოგონამ ტრაუტე ლაფრენცმა მიუნხენიდან მესამე მოწოდება წაიღო პამბურგში და სკოლის მეგობარ პანც კუხარსკისთან ერთად გაავრცელა. ესტუარ მათ კვალზე 1944 წლს გავიდა, 1945 წლის 17 აპრილს კუხარსკი დაიჭირეს. სახალხო სასამართლომ მას სიკვდილი მიუსავა, თუმცა, აღსრულებამდე, ტრანსპორტირებისას, ინგლისელებმა გერმანელებზე შეტევა მოწყვეს და კუხარსკიმ გაქცევა მახერხა. მან 2000 წლამდე იცოცხლა. ტრაუტე ლაფრენცი დღესაც ცოცხალია.

აღსანიშვნია, რომ „თეთრი ვარდის“ საქმიანობა უკალოდ ომის დროსაც არ დარჩენილა. 1943 წლის ოგნისში ცნობილმა გერმანელმა მწერალმა თომას მანმა BBC-ის ეთერში ისაუბრა გერმანიაში არსებული სტუდენტური ორგანიზაციის ტრაგიკული ბედის შესახებ, იმავე წლის დეკემბერში კი ბრიტანულმა ბომბდაშენებმა „თეთრი ვარდის“ მეექსე მოწოდების ფურცელი ჩამოყარეს გერმანიის ციდან მოსახლეობის ინფორმირების მიზნით.

**გიორგი ასტაშავა,**

**ისტორიის მაგისტრი**

ARBEIT MACHT FREI

# აუშვიცის საკონცენტრაციო პანიკი

აუშვიციში შემსელებულებს ხედებოდათ წარწერა Arbeit Macht Frei — შრომა ათვისუფლებს(!)

ნაციისტური გერმანიის ჩადენილ სამინელებათა ერთ-ერთი ყველაზე თავაღსაჩინო მაგალითია პოლონეთის სამხრეთით, ქალაქ ოსვენციის მიძღვნაში ტერიტორიაზე მეორე შეიცვლით ომის დროს განლაგებული უდიდესი საკონცენტრაციო ბანაკი. ის 1940-1945 წლებში მოქმედდება და ისტორიაში აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის სახლით შევიდა. მრავალი ებრაელი, ბოშა, საბჭოთა ტყვე, იეჰოვას მოწმე და პოლონერი ინტელიგენციისა და წინააღმდეგობის მოძრაობის დიდი ნაწილი დაემშვიდობა სიცოცხლეს აუშვიცში. შიმშილით, მუშაობითა თუ წარმეტი დაღუპულთა რაოდენობა დღემდე არ არის დაზუსტებული, თუმცა ცხადია, რომ ლაპარაკია მიღიონობით მსხვერპლზე.

აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის უზარ-მაზარი კომპლექსი 48 ბანაკსგან შედგებოდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შემდეგი სამი: აუშვიცი I; აუშვიცი II — ბირეუნაუ და აუშვიცი III — მონოვიცი.

## აუშვიცი I

აუშვიცი I წარმოადგენდა საკონცენტრაციო ბანაკთა ქსელის აღმინისტრაციულ ცენტრს, სადაც დაახლოებით 70 ათასმდე ადამიანი დაიღუპა, ძირითადად, ეთნიკური პოლონელები და საბჭოთა სამსედრო ტყვები. ამ ბანაკის ტერიტორიაზე, გერმანელების ოკუპაციამდე ჯერ აჭარისული, ხოლო მოგვიანებით პოლონური სამსედრო ყაზარისები იყო განთავსებული.

მომავალი საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიას პირველად ყურადღება გერმანული SS-ის (ნაციისტების შეიარაღებული ფორმირების) ობერფიურერმა არპად ვიგანდმა მიაქცია, რომელმაც ასევე SS-ის წევრს, სილეზიის პოლიციის უფროს ერის ვონ დემ ბახ-

ზელვესკის მომავალი აუშვიცი I-ის ტერიტორია შესთავაზა სილეზიელი პატიმრებისთვის, რომლებიც სილეზიის ციხებში ფიზიკურად აღარ ეტეოდნენ.

საკონცენტრაციო ბანაკად აღნიშნული ადგილის მოწყობა დაკავშირებულია საკონცენტრაციო ბანაკია ინსპექციის თავმჯდომარის, რიხარდ გლიუკისის სახელთან. მან ადგილის დასათვალიერებლად SS-ის წარმომადგენელი ვალტერ ეისთელდი გაგზავნა, რომლის მოხსენების შემდეგ, გლიუკმა 1940 წლის 21 თებერვალს აუშვა SS-ის რაიხსფოურერ პაინრის პიმლერს, რომ საკონცენტრაციო ბანაკის მოსაწყობად ადგილი შესაფერისი იყო. აუშვიცი I-ის უფროსად და სტანდარტუნიფიურერად დაინიშნა რუდოლფ ჰიმლერი, რომელსაც თანაშემწეობას უწვდა და SS-ის ობერფიურერი იოზეფ კრიმერი.

ბანაკის მოსაწყობ ადგილად ოსვენციის არჩევის შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობა დაახლოებით 40 კვებ ტერიტორიიდან გაასახლეს. პირველი პატიმრები აუშვიც I-ში პო-



ერთ გონ  
დემ პას-  
ზელვები



რიხარდ  
გლოუცი



(მარცხნიდან)  
რიხარდ ბარი,  
იოზეფ მენგელი,  
იოზეფ კრამერი,  
რუდოლფ პიოსი

ლონეთის ქალაქ ტარნოვიდან ჩამოიყვანეს 1940 წლის 14 ივნისს. 728 პოლონელს შორის ოცი ებრაელი იყო. პატიმართა რიცხვი საკონცენტრაციო ბანაკში ძალიან სწრაფად იზრდებოდა პოლონეური ინტელიგენციას, დასიდენტებისა თუ იატაკებებშა წინააღმდეგობის წარმომადგენელთა ხარჯზე.

პატიმართა სხვადასხვა კატეგორია ერთმანეთისგან სამოსშე დატანილი მონიშვნით განირჩეოდა. ყველაზე ცუდად გერმანელები ებრაელებსა და საბჭოთა ტყველებს ეპყრობოდნენ. ყველა პატიმარი გალდებული იყო, ყოველდღე ემუშავა ბანაკში მოწყობილ სამხედრო საწარმოებში, გარდა კვირა დღისა, როცა ყურადღება ძირითადად დასუფთავებას ეთმობოდა. მიმებ სამუშაო მოვალეობები, კვებისა და ჰიგიენის საშინელი მდგომარეობა პატიმრებში მაღალ სიკვდილიანობას განაპირობებდა.

აუშვიცის მე-11 ბლოკი წარმოადგენდა „ციხეს ციხეში“ — სადაც სხვადასხვა წესისა და განრიგის დამრღვევთ ათვესებდნენ. ზოგიერთი პატიმარი იძულებული იყო, მთელი დამე გაეტარებინა „სადგომ საკნებში“, რომელშიც ოთხ პატიმარის ათვესებდნენ. კამერის ზომებიდან გამომდინარე, მთელი დამის განმავლობაში მათ მხოლოდ დგომა შეეძლოთ. დღისით კი ისინი ვალდებული იყვნენ, სხვებთან ერთად ემუშავთ აუშვიცის მიწისქვეშა საკნებს, „შმშილის ოთახებში“ მოხევდრილ პატიმრებს საკვებისა და სასმლის გარეშე ტოვებდნენ.

მიწისქვეშა საკნებში იყო ე.წ. „პნელი ითა-

ხებიც“, რომელთაც მხოლოდ ერთი, ძალიან პატარა ფანჯარა ჰქონდა, რაც ოთახში უანგბადის ნაკლებობასა და პატიმრის გაგუდვას იწვევდა. ზოგჯერ SS-ის წარმომადგენლები ოთახში პატიმარს სანთულს უნთებდნენ, რათა ისედაც მცირე უანგბადი უფრო მაღე ამოწურულიყო.

1941 წლის 3 სექტემბერს აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის ხელმძღვანელობამ ექსპერიმენტის განხორციელება გადაწყვიტა ციპლონ B-ს, მომაკვდინებელი გაზის გამოყენებით ექსპერიმენტი მოწვევით 600 საბჭოთა და 250 პოლონელ პატიმარზე მე-11 ბლოკის ერთ-ერთ მიწისქვემა საკანი. ამ ექსპერიმენტმა საფუძველი დაუდო ციკლონ B-ს გამოყენებას საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრების მიმართ მხოლოდ აუშვიცი I-ში გაზის კამერზემა 1941-1942 წლებში 60 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწია.

## აუშვიცი II — ბირკანაუ

აუშვიცი II საკონცენტრაციო ბანაკის შენებლობა 1941 წლის ოქტომბერში დაიწყო აუშვიცი I-ის ანუ ცენტრის გადაგეხის შესამსუბუქებლად. მეორე ბანაკი გაცილებით დიდი იყო, პირველზე და მის ჭიშკარშიც მეტა ტყვემ გაიარა. აუშვიცი II — ბირკანაუ პაინრის პიმლერის გეგმით მოწვევი, რომელიც „ებრაელთა საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას“ ითვალისწინებდა.

პირველი გაზის საკანი ბირკანაუში იყო ე.წ.

„პატარა წითელი სახლი“ — წითელი აგურით ნაშენები კოტეჯი, რომელიც 1942 წლის მარტიდან მოქმედებდა. მეორე აგურის კოტეჯი — „პატარა თეთრი სახლი“ რამდენიმე კვირის შემდეგ „ამუშავდა“.

1943 წლის დასწყისში საკონცენტრაციო ბანაკის ხელმძღვანელობა გადაწყვიტა აუშვიცი II-ის გაზის კამერებით „აღჭურვა“ და იმავე წლის ივნისისთვის ესეც შეასრულა. ამ დროით სათვის აუშვიცი II-ის საკონცენტრაციო ბანაკში მოქმედებდა II, III, IV და V კრემატორიუმები, მორგები და გაზის კამერები. კველაფერი მზად იყო დამდეგი სისხლის წვიმებისთვის...

## აუშვიცი III — მონოვიცი

მონოვიცი (მონოვიცი-ბუნა; აუშვიცი III) წარმოადგინდა აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს. მისი სახელი მომდინარეობდა პოლონეურ ქალაქ მონოვიცედან, რომლის მახლობლადაც 1942 წლის ოქტომბერში ეს ბანაკი მოწვეო.

განსხვავებით წინა „ორი აუშვიცისგან“, მონოვიცის ბანაკს უფრო მკვეთრად გამოხატული მონური შორისი ფუნქცია ჰქონდა. ბანაკი 12 ათასამდე პატიმარს იტვედა, რომელთა შორის უმეტესობას ებრაელები წარმოადგნდნენ. იყვნენ ასევე არაებრაული წარმოშობის „დამნაშვენა“ და პოლიტიკური პატიმრები.

პატიმრების მუშაობა უწევდათ სხვადასხვა ქიმიურ საწარმოში, რაც მათი სიცოცხლისთ-

ბირკანაუში ხალხით საგე მორიგი ემულონება შედის. 1944 წლის მაისი





აუშვიციში ჩამოსულები რეგისტრაციასა და განაწილებას ელოდებიან

ვის სახითაო იყო. პატიმართა სიცოცხლის ხანგრძლივობა მათი სამუშაოს მიხედვით განისაზღვრულოდა, რაც თვით პატიმრის „კატეგორიაზე“ იყო დამოკიდებული. მაგალითად, ებრაელები ბანაკში მოხვდორის შემდეგ სამი-დან ოთხ თვეში ცოცხლობდნენ.

### ბორათა ბანაკი

პაინტის პიმლერის 1942 წლის დეკემბრის განკარგულებით, საკონცენტრაციო ბანაკებში ბოშები უნდა განწევებინათ მათვისის განცალკევებით მოიძებნა ადგილი აუშვიცი II — ბირკნაუში: „ბორათა საოჯახო ბანაკი“ (Zigeuner Familienlager). ბორათა პირველი ნაკადის ჩასვლის დროისთვის (1943 წლის 26 ოქტომბერგალს) ის ჯერ კიდევ შენდებოდა. სულ აუშვიციში 21 ათასამდე ბოშა მოათვასეს.

ბირკნაუში ბორათა პირველი ხაკადის ჩამოვანისას, მათ უმეტესობას ტიფის ვირუსი აღმოაჩნდა. ბანაკის ხელმძღვანელობამ პრობლემა მარტივდ „გადაწყვიტა“ — ინფიცირებულ ბოშებს გაზის კამერით „უმკურნალა“.

გაზის კამერაში დაღუპულ ბოშებს შორის იყო ცხრა წლის ჰოლანდიელი გოგო-

ნა, ანა მარია (სეტელა) შტეინბაზი, რომელიც 1994 წლამდე ებრაელად მიიჩნეოდა, თუმცა შემდგომ დადგინდა მისი ბოშური წარმომვლობა.

1945 წლს, როცა ბოშათა საკონცენტრაციო ბანაკებს, ისევე როგორც ზოგადად გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებს, მოკავშირეთა მხრიდან საფრთხე დაემუქრა, SS-ის გადაწყვეტილებით 2 897 ბოშა სასწრაფოდ გაიგზავნა გაზის კამერებში...

### სისტემა

არსებობდა კიდევ 45 ბანაკი, რომლებიც მთლიანობაში საკონცენტრაციო ბანაკების ერთ დიდ სისტემას ქმნიდა. ეს ბანაკები ათობით კილომეტრით იყო დაშორებული სამი მთავარი ბანაკისგან. პატიმართა რაოდენობა ამ ბანაკებში რამდენიმე ათეული კაციდან ათასეულებამდე მერყეობდა.

სამი მთავარი ბანაკის გარდა, სიდიდით გამოირჩეოდა შემდეგი ბანაკები: ტრუებინია, ბლეხამერი და ალთპამერი. ქალთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან აღსანიშნავია: ბუდი, პლაუი, უაბრუე, გლაივიცი I, II, III და ლიხტენვერდენი.

საკონცენტრაციო ბანაკები იყოფოდა რამდენიმე კატეგორიად: ძირითადი (Aussenlager), დამხმარე (Nebenlager) და შრომითი (Arbeitslager) ბანაკები.

## სალმძვანელობა

ნაცისტური გერმანიის პოლიტიკაში აუშვიცის დიდი მნიშვნელობის გამო, ამ ბანაკს დიდი გულისყურით აკონტროლდნენ SS-ის სხვადასხვა ინსტანციის წარმომადგენლები. საკონცენტრაციო ბანაკის არსებობის განმავლობაში, ხელმძღვანელ ინსტანციებში 7 ათასამდე კაცი იყო დასაქმებული.

მართველობის ცენტრალური ინსტანცია იყო „SS-ის ეკონომიკის მთავარი ოფისი“.

აუშვიციში იყო ოფიცრებით დაკომპლექტებული გერმანული გესტაპოს დიდი ოფისი. ბანაკის ტერიტორიაზე ასევე განლაგებული იყო სამედიცინო პერსონალი ედუარდ ვირტის ხელმძღვანელობით.

საკონცენტრაციო ბანაკის შიდა შეართველობას წარმოადგენდნენ სამი მთავარი ბანაკის (აუშვიცი I, II, III) გამგებლებად დანიშნული ლაგერფურურები, რომელთა შემდგვ

აუშვიციში ბანაკი მავთულხლართების ორმაგი მწრივით იყო დაცული

რანგით დაბლა მოდიოდა რაპორტულერის თანამდებობა. ისინი ხელმძღვანელობდნენ ბლოკებიურებებს, რომელნიც პატიმართა ცალკეულ კატეგორიებს უშუალოდ მეთვალყურეობდნენ.

SS-ის წარმომადგენლებს ბანაკის ხელმძღვნელობაში დახმარებას უწევდნენ თავად პატიმრები. მათი ნაწილი, რომელიც თავად გერმანელებს ჰყავდათ სხვა პატიმრებისგან გამორჩეული და რომელთაც კაპოებს უწოდებდნენ, პასუხს ავებდნენ წესრიგზე ბანაკის განსაზღვრულ უბნებზე. არსებობდა პატიმართა ზონდერჯგუფები, რომელთა ფუნქცია იყო ახალგამოყვნილი პატიმრების გაზის კამერებისთვის „მოშხადება“. ისინი პატიმრებს ტანსაცმლისა და სხვადასხვა ნივთის დატოვებაში „ქმარებოდნენ“. ზონდერჯგუფები პატიმრებს ოქროს კბილებსაც კი აცლიდნენ და აღნობდნენ. მიუხედავდ ამგვარი დახმარებისა, გერმანელები ზონდერჯგუფების წარმომადგენლებს პერიოდულად ხოცავდნენ, ისევე როგორც სხვა პატიმრებს.

გაზის კამერაში მოხვედრის შემდეგ პატიმრებზე SS-ის ცალკე კონტიგენტი „ზრუნავდა“,





აუშვიცის კრემატორიუმში მიღლიონობით ადამიანის ცხედარი დაიფერფლა

რომელსაც „პიგიენის დივიზია“ ერქვა. მისი ფუნქცია იყო, კამერაში გაზის შევენისა და პატიმრების დახოცვის შემდეგ, კამერის გაზისგან დაცლა. „პიგიენის დივიზია“ აუშვიცის სამედიცინო პერსონალს ექვემდებარებოდა, რომელიც მომაკვდინებელი გაზის გაცემას განკარგავდა.

აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკს ჰყავდა ასევე გარე უსაფრთხოებისთვის გამოყოფილი ნაწილი, ე.წ. „დაცვის ბატალიონი“.

### ცხოვრება ბანაკში

ბანაკში ცხოვრების შესახებ ჩვენამდე პატიმართა ჩანაწერებმა მოაღწია. მათ მიხედვით შესაძლებელი ხდება პატიმართა ერთი რიგითი დღის განრიგის აღდგენა.

სამუშაო დღე პატიმრებისთვის დილის 3 საათზე (ზოგჯერ 3:30-ზე) იწყებოდა ხმა-მაღალი და ხანგრძლივი განგმის ხმით, რომელიც მთელ ბანაკს ედებოდა. საინტერესოა, რომ პატიმრებს 30 წუთს აძლევდნენ დი-



ადამიანებზე  
ექსპერი-  
მენტების  
დაღვგას  
ნაცისტები  
დიდ  
გურადღაბას  
აქცევდნენ —  
ნაცისტი  
ექიმების  
საოპერაციო  
ოთახი

ლის პიგიენური პროცედურებისთვის. ამის შემდეგ ისინი ხუთკაციან მწკრივებად ქწყობოდნენ. ბანაკის ცალკეულ განცოფილებათა ხელმძღვანელები მორიგ საშინელ დილას „იწყებდნენ“ ზოგიერთს სცემდნენ, ზოგჯერ — კველასაც. შემდეგ პატიმრებს აიძულებდნენ, მუხლომყრით ჩამჯდართ და ხელებაწეულთ რამდენიმე სათო გაეტარებინათ. ჩანაწერების მიხედვით, ასე გრძელდებოდა დილას 7 საათამდე, როცა SS-ის ოფიცრები პატიმრებს აღრიცხავდნენ დაღუპულთა რაოდენობის დასადგენად. მათი რიცხვი ხუთს ან ექვს, ზოგჯერ კი ათსაც შეადგენდა. ამის შემდეგ პატიმრებს საუზმის მიღების უფლება ეძლეოდათ.


ნასაუზმებს პატიმრები, ბანაკის უნიფორმებში, საცვლების გარეშე და ძალიან მოუხერხებელი და უხეში ფქნსაცმლით სამუშაო აღგილებისკენ მიემართებოდნენ. საინტერესოა, რომ სამუშაოდ მიმავალ პატიმრებს ორკესტრის მუსიკით აცილებდნენ, ამაზე ბანაკის ხელმძღვანელობა „კარგად ზრუნავდა“. სამუშაო დღის ხანგრძლივობა ზაფხულში 12 საათი, ხოლო ზამთარში შედარებით ნაკლები იყო. დასვენების საშუალება პატიმრებს არ ჰქონდათ. უკიდურეს შემთხვევაში, თუკი რომელიმე შეუძლოდ გახდებოდა და მცირე წნით დასვენება დასჭირდებოდა, ბანაკის ხელმძღვანელობა სხვა პატიმარს გამოყოფდა, რომელიც დროს უნიშნავდა „კოლეგას“, სანამ ეს უკანასკნელი სულს მოიბრუნებდა.

სამუშაოს დასრულების შემდეგ, ბანაკში საღამოს განგაში გაისმოდა და კიდვე ერთხელ იწყებოდა პატიმართა აღრიცხვა. თუკი ნუსხას ვინებე აკლდა, სხვები მწყობრში უნდა მდგარიყვნენ, სანამ პატიმრის გაუჩინარების მიხეზი გაირკვეოდა. ამას ზოგჯერ რამდენიმე საათი სჭირდებოდა. შემდეგ იწყებოდა პატიმართა დასჯა, რაც დღის განმავლობაში პატიმართა საქციელის მიხედვით ხდებოდა. დასჯის შემდეგ პატიმრებს უფლება ეძლეოდათ, პურისა და წყლის განსაზღვრული რაოდენობა მიეღოთ.

პატიმრებს გრძელ რიგებად ეძინათ, ერთმანეთთან იმდენად ახლოს, რომ ხშირად ერთმანეთსაც კი აწვნენ. ხდებოდა ქურდობაც, ამიტომ ბევრ პატიმარს საკუთარ ფქნსაცმელსა და ტანსაცმელზე ჩაბლაუჭებულს ეძინა.



გაზის კამერუბში შეუვანამდე პატიმრებს, სხვა ნივუბთან ერთად, ფქნსაცმელებსაც ართმულდნენ



აუშცივის ჯალათუბი ბავშვებსაც არ ინდობდნენ



### სამედიცინო მესამრიმეთა ინსტიტუტი

გერმანელი ექიმები სხვადასხვა ექსპერი-  
მენტს დგამდნენ პატიმრებზე, ასხივებდნენ მათ  
რენტგენის სხივებით, სტერილიზაციის მიზნით  
პატიმარი ქალების სხეულში ქიმიური ნივთი-  
ერებები შეჰქავდათ.

აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში ყვე-  
ლაზე ცნობილი ექიმი იყო იოზეფ მენგელე,  
რომელსაც „სიკვდილის ანგელოზს“ ეძახდ-  
ნენ. იგი სამედიცინო ცდებს აწყობდა პატიმ-  
რებზე. განსაკუთრებით დაინტერესებული იყო  
ტყუპებით, მომაკვდინებელი ნივთიერების  
შეყვანის შემდეგ ტყუპებს კვეთდა და სხეუ-  
ლებს სწავლობდა. მენგელე ჯუჯებითაც ინ-

ტერესდებოდა და ტყუპების მსგავსად, მათაც  
უსწრაფებდა სიცოცხლეს და შემდეგ გვამებს  
იკვლევდა.

გერმანელთა სამედიცინო საშინელებათა-  
გან აღსანიშნავია 1943 წელს მოწყობილი  
„ჩონჩხების კოლექცია“, რომელიც აუშვიცის  
საკონცენტრაციო ბანაკის 115 პატიმრისგან  
„შეგროვდა“. მათ შორის უმეტესობა ებრაე-  
ლი იყო. ჩონჩხები სტრასბურგის ანატომიის  
ინსტიტუტში უნდა გაეგზავნათ, რომელიც  
გერმანელთა მიერ ოკუპირებული საფრანგე-  
თის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამ საქმეს  
ხელმძღვანელობდა ორი გერმანელი ექიმი —  
რუდოლფ ბრანდტი და ვოლფრამ სიგერსი.



ტუიფის ეპიდემიის გამო, 115 ადამიანი კარან-ტინში მოათვასეს და „ჩონჩხების კოლექციისთვის“ მოაშვადეს. ვოლფრამ სივერსის ერთ-ერთი წერილიდან ვიგებთ: „სულ 115 ადა-მიანი შეირჩა — 79 ებრაელი მამაკაცი, 30 ებრაელი ქალი, ორი პოლონელი და ოთხი აზიური წარმოშობის პატიმარი“. რა თქმა უნდა, ეს ექსპერიმენტი სანქცირებული იყო როგორც რედოლოფ ჰიოსის, ასევე ჰაინრიხ პიმლერის მიერ.

„ჩონჩხების კოლექციაში“ დაღუპულ პატი-  
მართა სია გამოწვენებულია გერმანელი ის-  
ტორიკოსის ჰანს იოაკიმ ლენგის წიგნში, „ნომ-  
რების სახელითი“.

„ଶ୍ରୀଜ୍ଞାନିଲୀଙ୍କ ପ୍ରଦେଶରେ“ ମୋତ୍ତ ରା ମେଟ୍ରୋରେଟମ୍ବେ  
ଦୂରପ୍ରକଳ୍ପିତ ଶେରିବିଳିରେ ମେଟ୍ରୋରେଟମ୍ବେ ଅଜ ତିଏଲ୍‌ଗ୍ରେନ୍‌ଗ୍ରେନ୍‌ଡମ୍ବ  
ଯାତାଯାତରେ ଆମାଦାନି ଦାଖିରାଇଲୁବୁ, ଅ ଏହାଦେଇରେବାନ  
ଦ୍ୱାରାକ୍ଷରଣକୁ ପରିଚାରିତ ପରିବହନ ବାନାଇବା ସ୍ଵଭାବିକରେବାନ  
ପରିବହନକୁ ପରିବହନ କରିବାକୁ ପରିବହନ କରିବାକୁ  
ଅମ୍ବାରେଟମ୍ବେ ପରିବହନ କରିବାକୁ ପରିବହନ କରିବାକୁ

1942 წლის 6 დეკემბერს „სიკვდილის კერძობის“  
დახმრიტეს წმინდა გრიგოლ ფერაძე. ის გესტაპო  
იმავე წლის მაისში დააპატიმრა და აუშვიციში  
გაგზავნა. გადმოკუმით, არქიმანდრიტი გრიგოლი  
მრავალშევილიანი ეძრაველი პატიმრის ნაცვლად  
გაყიდა სასიკვდილოდ

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

1945 წლის დასაწყისიდან გერმანელთა  
მდგომარეობა ფრონტებზე მეტად არასახარ-  
ბიელო გახდა. მოკავშირეები პოლონეთის ტე-  
რიტორიაზე შევიდნენ და 27 იანვარს ქალაქი  
ოსვენციმი, აუშვიცის საკონცენტრაციო ბა-  
ნაკი გაათავისუფლეს. ეს თარიღი მიჩნეულია  
პოლონების მსხვერპლთა ხსოვნის დღედ.

ომის შემდგა აუტებიცი I საგადამყოფოდ გა-  
დაკეთდა, რომელშიც რეაბილიტაციის ჯურს ს  
გადორნება მოკავშირეთა მიერ გათვალისწიფლე-  
ბული ბანაკის პატიმრები. 1947 წლამდე ამ ტე-  
რიტორიას საბჭოთა ჩქინი და.

აუშვიცი III-ის (მონოგიცის) ტერიტორია  
პოლონეთის სახელმწიფოს გადაეცა და მოგ-  
ვიანებით რეგიონის ქიმიური მრეწველობის  
კენტრად გადაჭრდა.

აუშვიცი 1-ის ტერიტორიაზე გესტაპოს  
შენობა მოკაშტირებდა განაღურეს და მის  
ადგილას სახრიბობელები აღმართეს. აქ გერ-  
მანელი სამხედრო დამნაშავენი, მათ შორის  
აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის სტან-  
დარტენფორურები რედოლით ჰითის (1947 წლის  
17 აპრილს) დასაჯის სიკლილით.

1947 წლის 24 ნოემბრიდან 22 დეკემბრამ-  
დე პოლონეთის ქალაქ ქრაკოვში მიმდინარე-  
ობდა „აუშვიცის პროცესი“, რომელზეც ბა-  
ნაკის ხელმძღვანელი გუნდის 41 წარმომად-  
გენელი გაასამართლეს. მათგან 23-ს სიკვდი-  
ლი, ხოლო დანარჩენებს კი ციხე განუწესეს,  
სამი წლითადან სამუშაოში პატიმრობამდა.

1947 წელს პოლონეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის ადგილას, დაღუპული პატიმრების სულების უკვდავსაყოფად, ნაცისტთა მიერ ჩადენილი საზონელებების მუზეუმი მოეწყოთ. მას თოვებოდა უამრავი მნახველი პატარ.

აუშვილი II-ის — ბირკენაუს ტერიტორია-

ზე გაზის საკნების ნაცრევები დღემდე ღიაა მნახველისთვის. ეს ერთგური ღია სასაფლაოა, აქ უამრავი ადამიანი სიკვდილით დასაჯეს. ბანაკის მრავალი შენობა დღემდე შემორჩენილია, მათ შესახებ ცნობები საინფორმაციო დაფებზეა დატანილი. მუზეუმში შემონახულია ფეხსაცემები, რომლებსაც პატიმრებს არის გვდნენ გაზის საკნეში შეუვნამდე, აგრეთვე ხელჩანთუბი, ჩემოდნები, სათვალები და სხვა ნივთები, რომელთაც პატიმრები საკონცენტრაციო ბანაკში ჩამოსვლისას ხელმძღვანელობას აბარუბდნენ.

აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპულთა რაოდენობა დღემდე ზუსტად არ არის დადგენილი. მიიჩნევა, რომ მსხვერპლი 1,3-დან 2 მილიონამდეა. ზოგიერთი შკვლევა-რი ამ რაოდენობას საეჭვოდ მიიჩნევს, თუმცა

ზუსტ რიცხვზე ლაპარაკი მნელია. ცხადია ერთი რამ, ნაცისტურმა გერმანიამ 1940-1945 წლებში აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკი გამოიყენა საკუთარი რასისტული ოოლიტიკისთვის ფრთხის შესასხმელად. ამ პოლიტიკაში ებრაელთა განადგურებას დიდი ადგილი ეჭირა, მათთან ერთად, ბანაკში მრავალი სხვა ეთნოსის წარმომადგენელიც დაიღუპა.

1945 წელს მოკავშირუთა მიერ გათავისუფლებულ აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში სიკვდილს გადარჩენილთაგან კველაზე დიდსანს იცოცხლა პოლონელმა ანტონი დობროვოლსკმ, რომელიც 2012 წლის 21 ოქტომბერს, პოლონეთის ქალაქ დებნოში 108 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**კახაბერ შალიჩავა**





## ქართველები და პაციენტთა მოძრაობა

უკრაინელი ნაციონალისტების ანტირუსული აქცია 1941 წელს

### მოძრაობის მიზანი ფინანსები

„ქართველები!

დღესდღაც თქვენ დიდი სახელმწიფო გქონდათ ოქროს ხანის დასასრულთან ერთად, საქართველოს მნელბედობის ფაზი დაუდგა და ბოლოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდით. 1918 წელს საქართველომ მცირე ხნით დამოუკიდებლობის აღდგნა შეძლო, მაგრამ მაღლე საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ-ანექსირებული იქნა.

ქართველებო! თქვენ გჯერდათ, რომ ჰიტლერი ნანატრ დამოუკიდებლობას დაგიბრუნებდათ. უმრავლესობა თქვენებინაც გერმანული მუნდირი სწორედ ამიტომ ჩაიცვა. იმდენი არ გამართლდა. თქვენ აქ, უკრაინულ მიწაზე, პოლიციური ფუნქცია დაგავისრეს. ეს კი ეველა ჰქონდარიტი მეომრისთვის სამარცხვინო და სათაყილოა.

ჩენ მოგიწოდებო, შეუერთდეთ უკრაინის აჯანყებულთა არმიას (უპა). გერმანია ნანატრ თავისუფლებას ვერ მოგიტანო. ამისი მიღწევა მხოლოდ ეროვნული რევოლუციის გზით შეძლება. საამისოდ კი აუცილებელია დაპყრობილ ერთა ერთონა ფრთხის შექმნა.

სიკვდილი სტალინს! სიკვდილი ჰიტლერს! გაუმარჯვოს დამოუკიდებელ უკრაინას! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

„უკრაინელ ნაციონალისტთა  
ორგანიზაცია“

ასეთი სააგიტაციო ფურცლები ვრცელდებოდა ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებული უკრაინის ტერიტორიაზე დისლოცირებულ ქართველ ლეგიონერებს შორის. იდგა 1942 წელი.

— ქართველები ჩენის მოწოდებას დიდი ინტერესით შეხვდნენ, — იგონებს უკრაინული ნაციონალისტური მოძრაობის ვეტერანი სტეპან ლენკავსკი.

როგორც ცნობილია, ქართული ლეგიონი გერმანულ ვერმახტში 1941 წლის დეკემბერში შეიქმნა. იგი დაკომპლექტებული იყო როგორც ემიგრანტებით, ისე ყოფილი საბჭოთა ტყველებით.

ბლიცკრიგის ჩაშლის შემდეგ ჰიტლერელთა ოკუპირებულ ტერიტორიაზე პარტიზანები გააქტიურდნენ. უკრაინაში ფართომასშტაბიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა, რომლის აგნგარდს ბანდერელები წარმოადგენდნენ.

### ბანდერა და ბანდერელები

უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაცია (უუ) 1929 წელს ვნაში შეიქმნა. მისი მიზანი იყო ყველა უკრაინული მიწის გაერთიანება ერთიანი დამოუკიდებელი უკრაინული სახელმწიფოს შემადგენლობაში. ცნებები „დამოუკიდებლობა“ და „ერთიანობა“ უკრაინული ნაციონალიზმის ძირითად იდეოლოგიურ ბაზად იქცა. სხვა უკრაინელი პატრიოტებისგან განსხვავებით, ოუნ-ი კატეგორიულად უარყოფდა უკრა-



სტეპან ბანდერა

ინის ფედერალიზაციას და ერთიანი უნიტარული სახელმწიფოს შექმნის იდეით გამოდიოდა.

— არავითარი ავტონომიები, არავითარი ფედერალიზაცია! უკრაინა ერთიანი და განუ-ყოფელია!

1938 წელს საბჭოთა ჩეკისტებმა როტერ-

დამში მოკლეს ოუნ-ის დამარსებელი პოლ-კოუნიკი ვეგენი კონოვალეცი. ამის შედეგად ოუნ-ის შიგნით უთანხმოება გამძაფრდა, რაც 1940 წელს ორგანიზაციის დაშლით დასრულდა. ორგანიზაციის ახალგაზრდულმა ფრთამ, რომელიც სტეპან ბანდერას გარშემო იყო შემოკრებილი, საკუთარი ორგანიზაცია შექმნა, სახელწილდებით ოუნ-რევოლუციური. მის წევრებს შემდგომში ბანდერულები უწოდეს.

— 1941 წლის 30 ფნის გერმანელებმა ლვოვი აიღეს. იმავე დღეს ბანდერულებმა უკრაინის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და დროებითი მთავრობა შექმნეს. მან სულ ორ დღეს იარსება. გერმანელებმა მისი წევრების უმრავლესობა დაპატიმრეს, თვალ ბანდერასგან კი კატეგორიულად მოითხოვეს დამოუკიდებლობის აქტის გაუქმება. „აქტი არ გაუქმდება!“ — მტკიცედ მიუგო ბანდერამ. ამის შემდეგ ჰიტლერულებმა ის ზაქსენპაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. მოგვიანებით ნაცისტებმა ბანდერულებს მასობრივი რეპრესიები მოუწევეს. — დაპატიმრებულთა რიცხვმა ერთი თვის განმავლობაში ორი ათასს მიაღწია.

პასუხად, ბანდერულებმა შეარაღებული ბრძოლა გააჩადეს როგორც ჰიტლერული, ასევე რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ.

### პირველი კონტაქტები

— ჩევ გვემოდა, რომ მარტოოდენ საკუთარი ძალებით ვერაფერს გაუხდებოდით. აუცი-



უპა-ს  
მებრძოლთა  
რაზმი

ლეგბელი იყო დაპყრობილ ერთა ერთიანი ფრონტის შექმნა. სათანადო მუშაობა უკვე 1942 წელს დაიწყო, — წერს ბანდერულთა მოძრაობის ვეტერანი, ოუნ-ის უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სტეპან მუდრიკი.

ოუნ-ის უურადღების ცენტრში უკრაინის ტერიტორიაზე დისლოცირებული ვერმახტის ე.წ. „ნაციონალური ნაწილები“ აღმოჩნდნენ (ქართველების გარდა, აქ იყვნენ სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილოეთკავკასიელები, შუააზიელები).

— ქართული ლეგიონის შესახებ ინფორმაცია შევაგროვეთ. ამ დროს ჩენი უურადღების ქვეშ მოექცა ერთი პიროვნება, რომლის გვარს არ დავასახელებ, რადგან მას საბჭოთა ტერიტორიაზე ოჯახი დარჩა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ის ქართული ლეგიონის ოფიცერი იყო და ჩვენთან თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადა. ჩენ მას ფსევდონიმად კარლო შევურჩიეთ, — იგონებს სტეპან მუდრიკი.

ბანდერულებს კონტაქტი ჰქონდათ ქართული ლეგიონის ხელმძღვანელობასთან (პოლკოვნიკი მიხეილ წულუკიძე და სხვ.). პროფესორი პეტრო მირჩუკი წერს, რომ გენერალი შალვა მაღლა კელიძე ბანდერულებთან თანამშრომლობის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მაღლა კელიძე მიიჩნევდა, რომ ბანდერულთა ბრძოლა მარტივისა განწირული, ამიტომ მათთან კავშირსაც აზრი არ აქვს.

— მაღლა კელიძე ვლასოველთა პერსპექ-

ტივებს, როგორც ჩანს, უფრო რეალურად მიიჩნევდა, რადგანაც მალე მათ დაუკავშირდა. ამის გამო ქართველები მას სახტიკად აკრიტიკებდნენ, — წერს მირჩუკი.

მაღლა კელიძის პოზიციის მიუხედავდ, ბანდერულთა თანამშრომლობა ქართველებთან დრმავდებოდა. ამ დროს ბანდერულთა უურადღება მიიქცა მეორე ქართველმა, რომელმაც შემდგომ მოვლენებში აქტიური როლი შეასრულა. მისი ნამდვილი სახელი დღემდე უცნობია. უკრაინულ წყაროებში მას მოხსენიებენ გოგად (ზოგან გოგიკად). პროფესორ მირჩუკის ცნობით, გოგა მაიორი იყო და ქართველ მეომრებს შორის ავტორიტეტით სარგებლობდა. მაიორმა ბანდერულებს განუცხადა:

— უკან დასახვევი გზა ყველა ჩვენგანისთვის მოჰკრილია! ისიც ცხადია, რომ პიტლერი ჩვენთვის არავითარ დამოუკიდებლობას არ გაიძეტებს! თავისუფლებისთვის ბრძოლა მხოლოდ უპა-სთან კავშირში შეიძლება! იბრძოლება და გაიმარჯვებო, ნათქვმია! მაღლა კელიძეს ქართველი მეომრების გადარჩენა სურს, მე კი საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლა!

გოგა ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ბანდერულებთან აქტიურად თანამშრომლობდა. ლეგიონერთა გარდა, ბანდერულები საბჭოთა ტყვეებს შორისაც მუშაობდნენ. როგორც ცნობილია, 1941-1943 წლებში ბევრი საბჭოთა ჯარისკაცი ტყვედ ჩავარდა. სტალინმა მათზე ოფიციალურად თქვა უკარი. „ჩენ არ გვყავს

ქართული  
ლეგიონის  
ქვედანაყოფი





უპა-ს პოსტერი, რომლითაც რეკრუტებს თვის რიგებში ეპატიუებოდა

პროპატლერული პროპაგანდის ნიმუში



სამხედრო ტყვები, ჩვენ გვყვავს სამშობლოს მოღალატები“, — განაცხადა მან.

ჰიტლერელები საბჭოთა ტყვებს არაადამიანურ პირობებში ამყოფებდნენ. მონებიყოთ ამუშავებდნენ, სცემდნენ. ბევრ ტყვეს შიმშილისა და აკადმიურობისგან სული ხდებოდა. უკან დასაძრუნებელი გზაც დახული ჰქონდა. აკი სტალინმა ისინი მოღალატებად გამოაცხადა! თავის გადასარჩენად ბევრი ტყვე იძულებული გახდა, კლასოველის ან კაზაკის ფორმა ჩაიცვა. თავის მხრივ, ბანდერელები ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ განწირული ადამიანების დახმარებას.

— შეუერთდით უპა-ს და ტირანებს დასცხეთ! სიკვდილი სტალინს! სიკვდილი ჰიტლერს!

ამ ტყვებს შორის ქართველებიც ბლომად იყვნენ. ბანაკიდან თავის დაღწევა ბევრისთვის სიცოცხლის გადარჩენის ტოლფასი იყო, თუმცა ტყვეობიდან გაქცევა არცოუ ადვილი გახლდათ. ამას გარდა, ადგილობრივი ძალების დახმარების გარეშე გაქცეული ტყვე განწირული იყო.

— ჩვენც ვეხმარებოდით მათ, — წერს დოქტორი ანატოლ ბედრი.

### ქართველები უპა-ს უმრთდებიან

1943 წლის თებერვალში ქართველთა პირველი ჯგუფი უპა-ს შეუერთდა. პროფესორ მირჩუკის ცნობით, მათი რიცხვი ოც კაცს არ აღემატებოდა. სხვა ავტორები 14-15 კაცს ასახელებენ. ასეა თუ ისე, ფაქტია: ქართველთა პირველი ჯგუფი, რომელიც ბანდერელებს შეუერთდა, მრავალრიცხვანი არ ყოფილა.

— ცოტა ხნის შემდეგ უპა-ს ქართველთა მეორე ჯგუფი შეუერთდა, — წერს დოქტორი ანატოლ ბედრი.

პირველთან შედარებით, ეს ჯგუფი უფრო მრავალრიცხვანი იყო. ლეგიონერთა გარდა აქ იყვნენ ისინიც, ვინც ჰიტლერელთა ტყვეობიდან გაქცევა შეძლო. 1943 წლის მაისში ბანდერელებს ლეგიონერთა სოლიდური ოდენობა მიემატა.

— ეს იყო ნაციონალური ნაწილებიდან პირველი სერიოზული დეზერტიორობა, — ასე აფასებს ამას ცნობილი ესესელი, გენერალი ბახ-ზალვესკი.

რეასი ისტორიკოსის, პროფესორ ბორის სოკოლოვის მტკიცებით, უკვე მაშინ, 1943

წლის მაისში, ჰიტლერულთა ზედა ფენაში ცხარე დისკუსია გაჩაღდა: დაქშალათ თუ არა ნაციონალური ნაწილები. რაიხსფიურერი ჰიმლერი დაუყოვნებლივ დაშლას მოითხოვდა. ნაცისტური პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგი, აღმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიების მინისტრი ალფრედ როზენბერგი კი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, ფრონტზე შექმნილი მძიებ მდგომარეობის გამო. ჰიტლერმა მხარი როზენბერგს დაუჭირა. ნაციონალური ნაწილები, მათ შორის ქართული ლეგიონი, არ დაუშლიათ. ომი კი გრძელდებოდა. კურსეთან განცდილი მარცხის შემდეგ, ჰიტლერულებმა აღმოსავლეთის ფრონტზე ინიციატივა საბოლოოდ დაკარგეს. ამ დროს მოხდა ერთი ღრამატული ამბავი, რამაც მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე დიდად იმოქმედა.

### ოპარაცია „ნადირობა კაცრზე“

1943 წლის აგვისტოში აღმოსავლეთის ბატალიონების სარდლად გენერალი მაქს ილგენი დაინიშნა. ეს იყო მამაცი და ენერგიული კაცი, ჰიტლერულებმა მას ანტიპარტიზანული ბრძოლის ხელმძღვანელობა დააკისრეს. შეიქმნა ე.წ. „განსაკუთრებული ჯარები“, რომელთა შემადგენლობაში შეიყვანეს როგორც ესესელები (მეთაური პოლკოვნიკი პიპრი), ასევე კავაკისელი და შუაზიელი ლეგიონერებიც. განსაკუთრებული ჯარების სარდლად გენერალი მაქსა ილგენი დაინიშნა. მალე მან რამდენიმე წარმატებული ანტიპარტიზანული ოპერაცია მოაწყო. იმავდროულად, ილგენმა როგორმი მოქმედი საბჭოთა დივერსანტების კვალს მიაგნო და რამდენიმე დივერსანტის განადგურება მოახერხა. აღმოჩნდა, რომ როგორმი, ჰიტლერული უშიშროების ცხვირწინ, რუსების კარგად ორგანიზებული ჯაშუშურ-ტერორისტული ჯგუფი მოქმედებდა. მეტიც, მისი საცეცები მოიცავდნენ სხვა ქალაქებსაც.

— საბჭოთა უშიშროებამაც ილგენის მოტაცება გადაწყვიტა, — წერს საბჭოთა რუსი მწერალი ფიოდორ გლადკოვი.

ოპერაციის კოდური სახლწოდება გახდა „ნადირობა კაფრზე“. ის ცნობილმა პარტიზანმა მეთაურმა, პოლკოვნიკმა მედვედევმა დაგეგმა. აქცია განახორციელა შემსყრიბთა ჯგუფმა, რომელსაც ცნობილი რუსი დივერსანტი კუზნეცოვი ხელმძღვანელობდა.



ქართველი ლეგიონერები საბრძოლო პოზიციაზე

— ილგენმა ტერორისტებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია. ამ დროს მას თავში კონდახი ჩასცეს. მართალია გონდაკარგული გენერლის ქალაქიდან გაყენა მოხერხდა, მაგრამ ის უკვე სულ დაფავდა. ილგენი მაინც მოკლეს, — წერს გლადკოვი.

გენერალ ილგენის მოტაცებამ და მოკვლამ მოული უსაფრთხოების სამსახური (SD) და სამხედრო კონტრდაზერვა ფეხზე დააყენა. გამოიძიოთ დადგინდა, რომ აღმოსავლეთის ბატალიონებში რუსების ფართოდ გამტობული ქსელი მოქმედდებდა. გენერლის წინააღმდეგ კი ნამდვილი შეთქმულება მოეწყო, რომლის აქტიური მონაწილეები იყვნენ ილგენის ეკონომი (და საყვარელიც) ლიდია ლი-სოფსკაა, ილგენის ადიუტანტი, რამდენიმე მაღლალი წოდების ოფიცერი. დადგინდა, რომ ლი-სოფსკაა დაკავშირებული იყო საბჭოთა დაზვრებასთან და მან დაიყოლია გენერლის ადიუტანტი, რუსებისთვის ემუშავა.

— ეს ყველაფერი გერმანელებისთვის თაყზარდამცემი იყო, — წერს პროფესორი ბორის სოკოლოვი.



რომან შეხვიჩი

ჰიტლერულებმა, აღმოსავლეთის ნაწილებში მასობრივი დაპატიმრუბები დაიწყეს. უსაყრის ხოების სამსახური და სამხედრო კონტრდაზერგა ერთმანეთს ეჯიბძებოდა. იჭვრდნენ ყველას, ვის-ზედაც მცირეოდები ეჭვი მაინც ჰქონდათ.

— ამან დეზერტირობის ახალ მძღვან ტალღას მისცა ბიძგი, — წერს გერმანელი ის-ტორიკისა კურტ ფონ ტიპელსკირხი.

მართლაც, ბევრი ლეგიონერისთვის დეზერტირობა სიცოცხლის გადარჩნის ერთადერთი საშუალება იყო. საბჭოთა პარტიზანებისკენ გზა დახშული ჰქონდათ. შესაბამისად, ისინი უპა-ს შეუერთდნენ.

— 1943 წლის ნოემბრისთვის უპა-ს უამრავი ქართველი, შეუაზიელი, შექრბაიჯანელი თუ სომქი შეუერთდა, — წერს პეტრო მირჩუკი, — უპა-ს სარდლობამაც გადაწყვიტა, თავის შემადგენლობაში ნაციონალური ნაწილები შეეყანა. ამ ნაწილებში ქართველებიც იყვნენ. ზოგი ავტორის ცნობით, შეიქმნა სამი, ზოგის ცნობით კი ოთხი ქართული ბატალიონი. ისინი ქართული სამფერინი დროშით გამოდიოდნენ, ჰქონ-

დათ თავიანთი გერბი. ქართულ ბატალიონებს ჰყავდათ (ისევე როგორც სხვა ნაციონალურ ნაწილებს) თავიანთი მეთაურები. მათ ფართო ავტონომია ჰქონდათ, ოღონდ მოვალე იყვნენ, უპა-ს ხელმძღვანელობას დამორჩილებოდნენ.

## დააყრობილ ერთა კონფერენცია

გენერალ ილგენის მოტაცების შემდეგ გერმანულ არმიაში ნაციონალური ნაწილების, მათ შორის ქართული ლეგიონის დამტლის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დადგა. ამას აქტიურად შეუწინააღმდეგნენ ქართველი ემიგრანტები, მათ შორის ალექსანდრე ნიკურაძე და მიხეილ ახმეტელი. მათ შეარი დაუჭირა როშენბერგმა. ჰიტლერი კარგა ხანს ყოფმანობდა, თუმცა ბოლოს მაინც გადაწყვიტა, ნაწილები არ დაეშალა. ლეგიონერთა ნაშობი დასვლეთ ვეროპაში გადაიყვანეს.

ლეგიონერთა ის ნაწილი კი, რომელიც ბანდერულების შეუერთდა, ბანდერულთა მხარდამხარ აქტიურად იბრძოდა.

— ქართველები საოცარი ხალხია. პირველის სურვილი ძგალ-რბილში აქვთ გამჯდარი. ბრძოლაშიც პირველი გადაეშვებოდნენ ხოლმე! — წერს სტეპან მუდრიკი.

1943 წლის 21-23 ნოემბერს, უიტომირის ოლქში, დაპყრობილ ერთა პირველი კონფერენცია მოწყო. მასში 16 ეროვნების წარმომადგენელი მონაწილეობდა. ქართული დელეგაცია ექვსი კაცით იყო წარმოდგენილი. სამწუხაროდ, აქედან მხოლოდ ერთის გოკიელის გვარია ცნობილი. დანარჩენები დოკუმენტებში ფსევდონიმებით არიან მოხსენიებული. მათ შორის არიან კარლოც და გოგიაც.

SD-მ კონფერენციის ადგილ სამყოფელი დაადგინა, დამსჯელთა დიდმა ძალებმა იერიში მიიტანეს. დელეგატებს სხდომის შეწყვეტა და მტრის მოგერიება მოუხდათ მაიორმა გოგიამ ამ დროს განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა. თავდასხმა მოიგერიეს და კონფერენციამაც მუშაობა განაგრძო.

## საქართველოსკონ!

ჟუტომირის კონფერენციაზე საფუძველი ჩაეყარა დაპყრობილ ერთა კოალიციას. შეიქმნა კომიტეტი, რომელიც კოორდინირებას გაუწევდა ეროვნულ-განმათვისუფლებელ მოძრაობას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. კონფერენციის შემდეგ შეიქმნა ქართულ-უკ-

რაინული ბატალიონი, რომლის ამოცანა სა-  
ქართველომდე ჩაღწევა და აქ ფართომასშტა-  
ბიანი პარტიზანული ბრძოლის გაშლა იყო.

— ამ ნაწილის შექმნის იდეა უპა-ს მეთა-  
ურს რომან შუხვიჩს ეკუთვნოდა, — წერს პეტ-  
რო მირჩუკი.

ვინ შედიოდა ამ ბატალიონის შემადგენ-  
ლობაში? სამწუხაროდ, მთა გვარუბი დღესაც  
უცნობია. უკრაინულ წერაობში დასახელე-  
ბულია მხოლოდ მეთაურის ფსევდონიმი  
„შუმ“. უკრაინულ ავტორთა ცნობით, ეს იყო  
ძველი ნაციონალისტი, რომელმაც პოლონუ-  
რი ციხეებიც გამოიარა და შეიარაღებული  
ბრძოლის გამოცდილებაც გააჩნდა. მისი მო-  
ადგილე კი ქართველი იყო, ის დავითის სახე-  
ლითაა მოხსენიებული. 1943 წლის დეკემბერ-  
ში ბატალიონი საქართველოსკენ დაიძრა.

— ამ ბატალიონმა უპა-ნამდე ჩააღწია, —  
წერს რომან შუხვიჩის გაუ და პოლიტბატი-  
მარი ორმოცწლიანი სტაჟით იური შუხვიჩი,  
— როგორი იყო მისი შემდგომი ბედი, დანამ-  
დვილებით არავინ იცის.

### ომის შემდეგ

1946 წელს უპა-ს სარდლობაზ ნაციონალუ-  
რი ნაწილების საზღვარგარეთ გადასროლა გა-  
დაწყვიტა. მათ შორის იყო ქართველი ბატა-  
ლიონებიც. მალე ქართველები სხვებთან ერ-  
თად დასავლეთისკენ გაემართნენ, თუმცა იქამ-  
დე ბევრმა ვერ ჩააღწია. უკრაინიდან დასავ-  
ლეთში მოსახვედროდ მათ პოლონებთე ან ჩე-  
ხოსლოვაკაზე უნდა გაეკართ, სადაც უკვე  
საბჭოთა ჯარუბი იღება და ხელისუფლებაშიც  
პროსაბჭოთა ძალები იყვნენ, თუმცა სოვეტი-  
ზაცია ჯერ არ დაწყებულიყო.

— ამ დროს ძალიან ბევრი ჩვენიანი დაი-  
ღუპა, — წერს ბანდერელთა მორაობის ვე-  
ტერანი ევგენი პობიგუშები.

ქართველთა ნაწილმა საშშიდობოს მიაღ-  
წია. ემიგრაციაში ქართველთა ბედი სხვადას-  
ხვანაირად წარიმართა. ზოგი ობიექტელად იქ-  
ცა, ზოგმაც ბანდერელებთან მჰკიდრო კავში-  
რი შეინარჩუნა.

— უიტომირის ტყეებში ჩაყრილმა ნერგმა  
იხარა. სწორედ მის საფუძველზე იქმნება ხალ-  
ხთა ანტიბოლშევიკური ბლოკი, — წერდა პეტ-  
რო მირჩუკი.

ანტიბოლშევიკური ბლოკის საქმიანობაში  
ქართველი ემიგრაცია აქტიურად მონაწილეობ-

და. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოვ-  
ყოთ ნიკო ნაკაშიძე და აკაკი რამიშვილი.

### ბოლოთქმა

ამბობენ, რომ მეორე მსოფლიო ომში ქარ-  
თველების ნაწილი სხვის მხარეს და სხვის დრო-  
შის ქვე იძრბიდა. მართლაც, როგორიც სტა-  
ლინურ საბჭოთა კუმირს, ასევე ჰიტლერულ  
გერმანიასაც საქართველოსადმი თავიანთი იმ-  
პერიული ზრახვები პერნდა. თუმცა აგრეთვე არ-  
სებობდა ბანდერელთა ორგანიზაცია და მის მი-  
ერ შექმნილი უპა-ს წერთა რიცხვია 480  
ათასს მაღწია. მის შეიარაღებაში იყო ტანკე-  
ბი, კვემტები, ნაღმმტყორცნები. 1944 წლის გა-  
ზაფხულისთვის ის უკრაინის ტერიტორიის ერთ  
მესამედს აკონტროლებდა.

— ნუ ვიკამათებთ იმაზე, პერნდათ თუ არა  
მათ გამარჯვების რამე შანსი. ჩემთვის მთავა-  
რია ის, რომ უპა პატრიოტულ ძალას წარმო-  
ადგენდა და უკრაინისთვის იძრბიდა.... ასევე  
პატრიოტულ ძალას წარმოადგენდნენ უპა-ში  
შემავალი ნაციონალური ნაწილებიც, რომელ-  
თაც თავიანთი ქვემტების თავისუფლება სურ-  
დათ, — მიაჩნდა პროფესორ პეტრო მირჩუკის.

ალბათ დადგა დრო, დადგინდეს იმ ქართ-  
ველთა ვინაობა, რომლებიც უპა-ს რიგებში იმ-  
ყოფებოდნენ და დაიღუპნენ. ისინი ხომ სა-  
კართველოსთვის იძრბიდნენ.

### ნიკა თევზაპი

#### სტორიის დოქტორი

ქართველი ლეგიონის 795-ე ბატალიონის  
ოფიციალური მეთაური და უნტერ-ოფიცირი



# რაღიონ

## გენიალური მიზნება

### „მრავალი მართ“

შეიძლება ითქვას, კაცობრიობას რადიოს გამოგონების ისტორია ლამის რადიოს გამოგონების დღიდანეუ აღელვებს, რადგან ერთმხიშვნელოვანი პასუხი კითხვაზე — ვინ გამოიგონა რადიო — არ არსებობს.

გულელმო მარკონი



მიუხედავად იმისა, რომ 1909 წელს ნობელის პრემია რადიოს გამოგონებისთვის იტალიელ გულელმო მარკონისა და გერმანელ კარლ ფერდინანდ ბრაუნის გადაეცათ, ლამის ყველა ქვეყანას მაინც თავისი გამომგონებელი ჰყავს. მაგალითად, საფრანგეთს ედუარდ ბრანლი (1890), ინდოეთს ჩანდრა ბოშე (1894), ინგლისს ოლივერ ლოჯი (1894), ბრაზილიას ლანდელ დე მურუ (1893), გერმანიას პაინრიხ ჰერცი (1888) რუსეთს ალექსანდრ პოპოვი (1896), ამერიკას კი სულაც სამი: თომას ალგა ედისონი (1875), დევიდ ჰიუზი (1878) და სერბული წარმოშობის ნიკოლა ტესლა (1891), რომელსაც რადიოს გამომგონებლად რამდენიმე ბალკანურ ქვეყანაშიც აღიარებენ.

XIX საუკუნის ბოლოს მთელი მსოფლიო ტელეგრაფის სადენებით დაიტარა. მალე ტელეფონიც გამოიგონეს, რომელსაც ასევე სადენები სჭირდებოდა. და თუ სადენების გაყვანა კონტინენტთა შორისაც ხერხდებოდა, ზღვაზე კავშირი დიდ პრობლემას წარმოადგენდა. უზარმაზარ ლაინერებსაც არ ჰქონდათ უწყვეტი კავშირის ფუფუნება. მხოლოდ სამხედრო ფლოტების მსხვილი შენაერთების ცურვისას იყო საშუალება, კრეისერებზე მოთავსებული გიგანტური კოჭებიდან სადენები ზღვაში ჩაეშვათ. მოკლედ, მთელი მსოფლიო

დადგა ინფორმაციის უსადენოდ გადაცემის აუცილებლობის წინაშე.

რადიოს გამოგონებით საქართველოშიც დაინტერესდნენ. აი, რას წერდა გაზეთი „ვერა“ 1897 წელს: „ტელეფონი და ტელეფონი ხელთა გვაქვს, მაგრამ მოული ხმელეთი მავრულებით არის მოფენილი. მავრული ძვირი ჯდება, გაჭიმვასაც დიდი შრომა და ჯაფა უნდა, ნუოუ არ შეიძლება უმავთულოდ წავიდეთ იოლადო, — იფაქრა კაცმა. ეს აზრი პირველი შეხედვით მეტად საოცარი უნდა იყოს, მაგრამ დაუჯვერებელი და შეუძლებელი შეძლო ადამიანის გონებამ. მეცნიერებმა — ფარადეიმ, მაქსველმა, ჰერცმა, რომ, ფონბერჰენმა, პოპოვმა და ბოლოს იტალიელმა ახალგაზრდა სპეციალისტმა მარკონიმ ნათლად დაამტკიცეს, რომ დეპეშის გადასაცემად მავთული სრულიად არ არის საჭირო, რომ ელექტრონის ძალა ისეც გადაეცემა ერთი მანქანიდან მეორეს, რომ ეს ძალა ისე გაურცელდება ჰაერში, როგორც მაგალითად, სინათლე“.


რადიოს გამოგონებას, ბუნებრივია, ფიზიკის განვითარებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა უსწრებდა წინ.

გენიალურმა მაიკლ ფარადეიმ (1791-1867) პირველმა შემოიღო ელექტრომაგნიტური ველის ცნება 1845 წელს. ფარადეი ამტკიცებდა,

რომ ელექტრული და მაგნიტური ურთიერთქმედებები სფერცეში უწევეტად გადაეცემოდა ერთი წერტილიდან მეორეში, რომ მათ შორის არსებობს დამაკავშირებელი რეგოლი... მავრამ მის შეხედულებებს არავინ იზიარებდა. არადა, მისი აუტორიტეტი იძინად დიდი იყო, რომ ბრიტანეთის სამეფო საზოგადოებას ფარადების დაკრძალვა ნიუტონის გვერდით პქონდა გადაწყვეტილი. ფარადები და მისი მეუღლე სარა ბერნარდი კი მორწმუნები იყვნენ და სურდათ, ერთად დამარტეულიყვნენ. ფარადებიმ სარა პაიგეტის სასაფლაოზე დაკრძალა და ანდერძით თუგადაც მეუღლის გვერდით დაკრძალვა ისურვა. რაკი ანდერძის დარღვევა ინგლისში არ შეიძლება, ფარადები მეუღლის გვერდით დამარტეს, მაგრამ ნიუტონის გვერდით საფლავი მაიც გააკეთეს წარწერით: „მაიკლ ფარადები“. ამდენად, ფარადები მსოფლიოში ერთადერთი მეცნიერია, რომელსაც ორი საფლავი აქვს.

ფარადების იდეა ელექტრომაგნიტური ველის შესახებ ინგლისელმა მეცნიერმა ჯეიმს კლარკ მაქსველმა (1831-1879) განავითარა. სწორედ მაქსველმა იწინასწარმეტველა 1864 წელს ელექტრომაგნიტური ტალღების არსებობა და სინათლის ელექტრომაგნიტური ბუნება. განსაკუთრებულია, რომ მაქსველის „ხელსაწყოები“ მხოლოდ საწერ-კალამი იყო, „ლაბორატორია“ კი მის თავში იმყოფებოდა. მეცნიერი ღრმად იყო დარწმუნებული ელექტრომაგნიტური ტალღების რეალობაში, თუმცა მათ აღმოჩენას ვერ მოესწრო. ელექტრომაგნიტური ტალღების ექსპერიმენტულად მიღება მისი სიკვდილიდან ათი წლის შემდეგ შეძლო გერმანელმა პაინრიხ რუდოლფ ჰერცა.

ჰერცს ღოქტორის სარისხი უკვე 22 წლისას, ბერლინის უნივერსიტეტის დამთავრებამდე პქონდა, ხოლო პოლფესორი 28 წლის ასაკში გახდა. თავდაპირველად ჰერცი მაქსველის ელექტრომაგნიტური თეორიის მოწინააღმდეგებები იყო და ექსპერიმენტები (1887-1888 წწ.) მის გასაბათილებლად წამოიწყო. მისთვის მოულოდნელად, ცდებმა თეორიის სისწორე დაამტკიცა. გერმანელი პატიოსანი მეცნიერი იყო და არათუ აღიარა მაქსველის თეორია, მისი დაწყებული საქმეც განაგრძო. მან მოასწრო შეექმნა მცირე მოწყობილობა, რომელსაც შეძლო ღია სადენიდან სადენზე რამდენიმე მეტში გადაეცა და მიეღო ელექტრომაგნიტური ტალღები — ეს იყო პირველი რადიოტალღები



მაიკლ ფარადები



ჯეიმს  
კლარკ  
მაქსველი



ჰაინრიხ  
რუდოლფ ჰერცი



ალექსანდრ პოპოვი

მარკონის უსადენო  
ტელეგრაფის  
სადგური  
კოლორადოს  
შტატში, 1902 წლის  
იანვარი



მსოფლიოში. ჰერცმა გამოიკვლია ელექტრო-მაგნიტური ტალღების თვისებები და დამტკიცა, რომ მათ აქვთ სინათლის ყველა თვისება: გარდატეხა, არეგვლა, ინტერფერენცია, დიფრაქცია და პოლარიზაცია. დაამტკიცა, რომ ელექტრომაგნიტური ტალღების სიჩქარე გაკუქში 300 000 კმ/წ-ის ტოლია (შემდგომში დაგასტურდა ისიც), რომ სინათლეც ელექტრომაგნიტური ტალღებია). მეტის გაკეთება ნიჭიერ მეცნიერს არ დასცალდა, იგი 1894 წელს სისხლის დაინფიცირებით გარდაიცვალა. არადა, პაინტის ჰერცს რომ ეცოცხლა, საკითხი რადიოს ავტორობის შესახებ დღის წესრიგში აღარასდროს დადგებოდა.

ჰერცის ცდებით მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება დაინტერესდა. მალე ფრანგმა ედუარდ ბრანლიმ და ინგლისელმა ოლივერ ლოჯამა აღმოაჩინეს, რომ ელექტრომაგნიტურ ტალღებზე რეაგირებს ლითონის ფხვნილით საუსე მილი, რომელსაც კოპერური უწოდეს. როგორც კი სიგნალის გადამცემ სადენზე ნაპერწკლი ჩნდებოდა, კოპერური სიგნალს იღებდა და მასში დგნი ჩნდებოდა, თუმცა მომდევნო სიგნალის მისაღებად კოპერურის შენჯღრევა იყო საჭირო მის საწყის მდგომარეობაში მოსაყვნად.

ბრანლისა და ლოჯაის ცდების შესახებ შეიტყო რუსმა მეცნიერმა ალექსანდრ პოპოვმა, რომელიც ჰეტერბურგის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში მენაღმებს უკითხედა ლექციებს. სამხედრო მოსამსახურე პოპოვს კარგად ესმოდა უსაღენო კავშირის მნიშვნელობა და ჰერცის ტალღების პრაქტიკაში გამოყენების გზების ძიება დაიწყო. მან კოპერურს დაუყენა ელექტროზარი, რომლის ენაზე მიმაგრებული პატარა ჩაქერხი სიგნალის გჩენისას კოპერურს ურტყამდა და საწყის მდგომარეობაში აბრუნებდა. ზარის ხმით შესაძლებელი გახდა სიგნალების გადაცემა მორჩეს ანაბნით სწორედ მორჩეს ანაბნით გადასცა პოპოვმა 1896 წლის 24 მარტს რუსეთის ფიზიკა-ქიმიურ საზოგადოებაში გამართულ ლექციაზე ორსიტყვიანი რადიოგრამა — „პაინტის ჰერცი“. რადიოგაუშირი მხოლოდ 250 მეტრის მანძილზე მუშაობდა, პოპოვმა იცოდა, რომ ფლოტის მიერ რადიოს გამოყენებისთვის გაცილებით მეტი იყო საჭირო და მან საფუძვლიანი კვლევები განაგრძო.

იტალიელი გულელმო მარკონი საქმეს სხვაგვარად მიუდგა. 1895 წელს მას ისეთივე წარმატებები ჰქონდა უსადენო ტელეგრაფირ-



გემებთან  
კავშირის ერთ-  
ერთი პირველი  
მოწყობილობა  
მუზეუმის  
ექსპონატად  
იქცა

ბაში, როგორც პოპოვს — მისი გადამცემის სქემა პრაქტიკულად პოპოვის აპარატის იდენტური იყო და ისიც შეზღუდულ მანძილზე მუშაობდა. თუმცა მარკონიმ მაშინვე მოიხდომა მისი პრაქტიკული გამოყენება. მას შემდეგ, რაც იტალიის ფოსტამ უარი უთხრა, 1896 წელს ლონდონში ჩატენდა და თავის გამოგონებაზე მაშინვე პატენტი მოითხოვა. ბრიტანული პატენტი მან 1897 წელს მიიღო და კომპანიაც დააარსა. თუმცა საფრანგეთში, გერმანიასა და რუსეთში პატენტზე უარი უთხრეს და მიზეზად პოპოვის ნაშრომები მოიყვანეს.

მარკონის ამბები პოპოვამდე მივიდა, რომელიც საკითხს წერილით გამოიქმაურა: „იმ მოვლენების აღმოჩენის პატენტი, რაც მარკონის წარმატებაში დაქმარა, ეკუთვნის ჰერცსა და ბრანლის. შემდეგ მოღის დამატებითი საკითხები, რომლებიც დაიწყეს მინჩინმა, ლოჯამა, სხვებმა — მათ შორის მეც. მარკონი პირველი იყო, ვისაც ყო სითამამე, საქმე პრაქტიკულ ნიადაგზე დაკეცებინა. მან არსებული ხელსაწყობის გაუმჯობესების შედეგად, თავის ცდებში სიგნალის გადაცემის მანძილის გაზრდა მოახერხა... და თუ ჩეენ შეუზღუდვად ვსარგებლობთ სხვათა გამოგონებებით, ბედის მოხარულნი ვიქნებით, ჩვენი გამოგონებებით სხვებმაც უანგარიდ ისარგებლონ“.

მარკონის მიერ თავისი გამოგონების კო-

მერციული გამოყენების მცდელობა წარმატებული გამოდგა. უკვე 1898 წელს მოხდა პირველი რადიოკავშირის პრაქტიკული გამოყენება: უელსის პრინცი ედუარდ VII ცეკვის დროს დაშავებული ფეხის მოსაშუალებლად და რეგატაში მონაწილეობის მისაღებად იახტა „ობირონზე“ ავიდა. დედამისი — დედოფალი ვიქტორია კი ზღვისპირა სამეფო რეზიდენციაში იმყოფებოდა და პრინცის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ღლავდა. მარკონის წყალობით სამეფო რეზიდენციასა და იახტას შორის საიმედო რადიოკავშირი დამყარდა.


პოპოვის გამოგონება რადიოგადამცემის პრაქტიკაში კი პირველად 1899 წელს გამოიყენეს რუსულ ფლოტში, იმავე წელს პოპოვმა უფრო მგრძნობიარე მიმღები შექმნა, რომელიც უფრო სუსტ სიგნალს იღებდა და ყურადღები შექმნა.

თავის მხრივ, 1900 წელს მარკონიმ დააპატენტა სიგნალის გადაცემა კონკრეტული სიგრძისა და სიხშირის ტალღებზე — მანამდე ერთდროულად მომუშავე ორი რადიოსადგური გამუდმებით უშლიდა ერთმანეთს ხელს. ამის შედეგ კი უკვე შესაძლებელი გახდა, სხვადასხვა სიხშირეზე ემუშავათ.

დაიწყო რადიოსადგურების მასობრივი გამოყენება — პირველ რიგში, გემების ნაპირთან დასაკავშირებლად. სამხედრო თუ სამგზავრო



ხომალდ „დოიჩლანდზ“ იმყოფებოდა გერმანიის კაშტანის ძმა, პენრიბი. მისი ცნობა „მარკონის“ რადიოსადგურებმა არ გადასცეს...



ნიკოლა  
ტესლა



გარლ  
ჯერდანანდ  
ბრაუნი

ხომალდები რადიოსადგურებით აღიჭურვა, რომელთა ძირითადი მწარმოებელი ბრიტანული ფირმა „მარკონი“ გახლდათ. რუსულ ფლოტში პოპულის აპარატი დამკვიდრდა. ფრანგებმა, ამერიკელებმა და გერმანელებმა კი რადიოტექნიკის გამოსაშვებად საერთო ფირმა Telefunken-ი შექმნეს. თუმცა მარკონიმ, რომელმაც კომერციული საქმიანობა პირველმა დაიწყო, ბრიტანეთის მთავრობის დახმარებით ბაზრის დიდი ნაწილის დაკავება შეძლო.

იტალიელს მონოპოლისტობა მოქორნა და სხვა ფირმების წარმოებულ გადამცემებთან კავშირი აკრძალა, რასაც დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. ბოლო წევთი გერმანიის კაზიერის მმასთან, პენრიზთან დაკავშირებული ინციდენტი აღმოჩნდა. ის ამერიკიდან ვეროპაში ბრუნდებოდა ხომალდ „დოიჩლანდით“, რომელზეც გერმანული წარმოების რადიოაპარატურა იყო. „მარკონის“ სანაპირო რადიოსადგურებმა კი უარი განაცხადეს, პენრიზისგან გადაეცათ ცნობა კაზიერისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისთვის. კაზიერმა რადიოკავშირის საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა მოითხოვა.

კონფერენცია ბერლინში 1903 წელს შეიკრიბა და საერთო წესები შეიმუშავა. წესები საბოლოოდ 1906 წელს ბერლინის მეორე კონფერენციაზე დამტკიცდა. სანაპიროს ყველა სადგური მოვალე გახდა, კავშირი ნებისმიერი წარმოების გადამცემთან დაემდებარებინა. ამ კონფერენციაზე მიიღეს აგრძივე მორზეს ანბანის გამოყენების წესები და პირობითი ნიშნები. მათ შორის, ცნობილი განგმის სიგნალი SOS. თუმცა ფირმა „მარკონი“, მონოპოლიის დაკარგვის მიუხედავად, ბაზარზე მაინც კველაზე მსხვილ მოთამაშედ დარჩა.

მარკონისა და პოპულის გარდა იყო კიდევ ერთი ინჟინერი, რომელსაც რადიოს გამოგონება შეიძლება მიწეროს — სერბი ნიკოლა ტესლა, რომელიც ამერიკაში 1884 წელს ჩავიდა საცხოვრებლად. ნიჭიერი ინჟინერი ომას ედისონთან მუშაობდა, თუმცა კონფლიქტის შემდეგ მატოვა. მან შექმნა ცვლად დენზე მომუშავე გერმანულობის და ძრავა. 1893 წელს ლექციის დროს უსადგნო კავშირის დამონისტრუბაც მოაწყო. მან რამდენიმე პატენტიც მიიღო რადიოსიგნალების გადაცემასთან დაკავშირებით, თუმცა „უბრალო“ რადიოთი დიდად არ ინტერესდებოდა. მას სურდა ისეთი რამ, რაც

სოფლიოს შეცვლიდა. სურდა აეშენებინა უზარმაზარი ხის კოშკი ლონგ-აილენდის შტატში, საიდანც განხორციელდებოდა რა-დიოკავშირი მთელ მსოფლიოსთან. ამასთან, კოშკს უნდა გადაეცა „უფასო“ ელექტროენერგია, რომელიც თითქმის მთელ პლანეტას ეყოფოდა, შეძლებდა ამინდის მართვას და სხვ. მან ინვესტორები დააინტერესა და კოშკის აგება 1903 წელს დასრულდა, თუმცა ტესლამ მოსალოდნელი შედეგები ვერ მიიღო და 1905 წელს სამუშაოები შეწყვიტა, კოშკი კი 1917 წელს დაშალეს. მოგვიანებით ტესლამ ჩამოაყალიბა რადარის მუშაობის ძირითადი პრინციპები.

ტესლა აცხადებდა, რომ შექმნა იარაღი — „სიკვდილის სხივები“, რის მიყიდვასაც ბრიტანეთის მთავრობისთვის ამაღლ ცდილობდა. სამაგიეროდ, „სხივები“ რომან „ინჟინერ გარინის პიპერბოლოიდის“ ავტორის შთაგონების წყარო გახდა. ტესლა 1943 წელს გარდაიცვალა, სხივებისა და კოშკის საიდუმლო სამარეჭი წაიღო, თუმცა მისი არქივი დღემდე მთლიანად გასაიდუმლოებულია.

რაც შექება გერმანელ მეცნიერ კარლის ფერდინანდ ბრაუნს (1850-1918), რომელმაც ნობელის პრემია „რადიოს გამოგონებისთვის“ 1909 წელს მარჯნისთან ერთად მიიღო, მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რადიოს გა-

უმჯობესებაში. ის იყო კარლსრუესა და სტაბურგის უნივერსიტეტების ფიზიკის პროფესორი, სტუდენტების კველაზე საყვარელი ლექტორ-ექსპერიმენტატორი, გერმანიაში მისვე მონაწილეობით გახსნილი ეპერნარდის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის პირველი დირექტორი, კინესკოპის გამოგონებელი (გერმანულენცან ქვეყნებში კინესკოპს დღემდე „ბრაუნის მილაკს“ ეძახიან). როცა უსაღებო ტელეგრაფით დაინტერესდა, გააუმჯობესა როგორც რადიომიმღები, ასევე გადამცემიც. მიმღებ მოწყობილობაში კოპერური კრისტალური დეტექტორით შეცვალა და მიმღების მგრძნობელობა ბევრად გააუმჯობესა. გადამცემ მოწყობილობაში კი კინდენსატორი და ანტენა ერთმანეთს ისე დაუკავშირა, რომ შესაძლებელი გახდა გადამცემის სიმძლავრის მკვეთრი ზრდა. მხოლოდ ბრაუნის გამოისობით შეძლო მარკონის 1901 წელს სიგნალის გადაცემა ინგლისიდან ამერიკაში — მანამდე გადაცემის მაქსიმალური მანძილი 20 კმ იყო...

ასეა თუ ისე, „რადიოს მამა“ მარკონი გახდა — პირველ ყოვლისა, არა როგორც გამომგონებელი ინჟინერი, არამედ რადიოს ბიზნესის პიონერი. რადიოსადგურების აქტიურ გურელებასაც მსოფლიო მას უნდა უმაღლოდეს.

## რაგაზ გურგები

მარკონის რადიოსადგურს ნიუ-ჯერსიში 1921 წელს მრავალი დიდი ფიზიკოსი და მეცნიერი ესტუმრა. მათ შორის იყვნენ ალბერტ აინშტაინი და ნიკოლა ტესლა





# პირველი ტანკის ბეჭოის ველი სომის პრძოლა

პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან მოკლე ხანში ბრძოლები ე.წ „პოზიციურ ჩიხში“ შევიდა. ომის საწის ეტაპზე დაპირისპირული მხარეები ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის ფლანგიდან შემოვლით და მოწინააღმდევის ზურგში გასულიყვნენ. ამის გამო, ფრონტის ხაზი უსაშევლოდ გაიწელა და საბოლოოდ, ატლანტის ოკეანესთან დასრულდა. გვრც ერთმა მხარეზე კერ შეძლო მოწინააღმდევისთვის შემოვლა. ფრონტები დაისერა მაჯორულ ხლართებით, სანგრებით, საცეც ხლე წერტებით თუ უფრო ძლიერი თავდაცვითი სიმაგრეებით. შემტევი მხარის იერიში, მოწინააღმდევის სანგრებიდან წამოსული ძლიერი ცეც ხლის გამო, საწის ეტაპზე იფუშებოდა.

სამხედრო სტრატეგებმა დაიწყეს ფიქრი, როგორ დაეძლიათ „პოზიციური ჩიხის“ პრობლემა. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ მოწინააღმდევის თავდაცვის გარღვევა შეიძლებოდა ფრონტის ვიწრო მონაკვეთზე საარტილერიო სისტემების მაქსიმალური რაოდენობის გამოყენებით. თუმცა ამ მოსაზრების მცდარობა ვერდენისა და სომის სტრატეგიულმა ოპერაციებმა აშკარად დაადასტურა. სცადეს მომწმლავი აირების გამოყენებით შედეგის მიღწევა, მაგრამ არც ამ ხერხმა გაამართლა. ომის დაწყებიდან ერთ წელიწადში, 1915 წლის 7 ივლისს, პირველად შეიკრიბა ანტანტის წევრი ქვეყნების სამხედრო კონფერენცია. მოკავშირე სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შემდგომი სამხედრო ოპე-

რაციები უნდა დაეგეგმა და კოორდინირებულად ემოქმედა. ამავე წლის დეკემბერში გადაწყდა მომავალ, 1916 წელს ფრონტებზე სტრატეგიული ოპერაციების ჩატარება. გერმანელები და მათი მოკავშირეები ეველა მხრიდან უნდა შევვიწროებინათ. ფრანგებსა და ბრიტანელთა საეჭსპედიციო კორპუსს შეტევა უნდა განხხორციელებინა საფრანგეთის ტერიტორიაზე, მდინარე სომის ორივე სანაპიროზე და მათ წინ მდგრმი გერმანული მეორე არმიის თავდაცვის ზონა გაერღვიათ, შემდეგ განევითარებინათ შეტევა კამბრესა და გალანსეუნისკენ და დარტყმა ფლანგსა და ზურგში მიეცებინათ გერმანულ არმიათა ჯგუფისთვის. თავდაპირველი გეგმის მიხედვით, ბრიტანულ-ფრანგულ 64 დივიზიას ფრონტის 70-კი-



პირველი  
მსოფლიო  
ომის  
დაწყებიდან  
მოკლე ხანში  
ძძოლები  
„პოზიციურ  
ჩიხში“  
შევიდა

ლომეტრიანი მონაკვეთი უნდა გაერღვია, თუმცა გერმანელებმა, მოკავშირუებისთვის მოულოდნელად, თვითონ დაიწყეს გრანდიოზული სამხედრო ოპერაცია ვერდენთან, რამაც ფრანგული ძალების დიდი ნაწილი ამ მიმართულებით ჩაითრია ბრძოლებში. ამიტომ სომის ოპერაციის დაწყებისას ბრიტანელებმა და ფრანგებმა, რეზერვის ჩათვლით, მხოლოდ 35-მდე დივიზიის მობილიზება შეძლეს სომის ნაპირებზე და გასარღვევი ფრონტის ხაზიც 40

კმ-მდე შემცირდა. ფრონტის ამ მონაკვეთზე გერმანულ არმიას, რეზერვის ჩათვლით, მხოლოდ 15 დივიზია ჰყავდა. მათი თავდაცვის ზონა სამი პოზიციისგან შედგებოდა, 8-10-კილომეტრიანი სიღრმით.

ოპერაციის დაგეგმვისას მოკავშირეთა სტრატეგებმა „პოზიციური ჩიხის“ გარღვევა არტილერიის მასობრივი გამოყენებით გადაწყვიტეს. არტილერია მოსპობდა გერმანელთა თუდაცვით ზღუდებს და შემდგა ქვეითები იოლად



სამხედრო  
სტრატეგები  
„პოზიციური  
ჩიხის“  
გამოსაყალს  
არტილერიის  
მასობრივ  
გამოყენებაში  
ჩედავდნენ



შხადება ოპერაციის დასწუბად

შეძლებდნენ მოწინააღმდეგეთა პოზიციების დაკავებას. ამიტომ მოკავშირეებმა თავი მოუყარეს 1500-ზე მეტ საარტილერიო დანადგარს, რომლის ცეცხლსაც გერმანული თავდაცვის ზღუდები მთლიანად უნდა გამოყევანა მწყობრიდან. მათი გეგმით, მოწინააღმდეგის განადგურება მეთოდურად, ყოველგვარი აჩქარების გარეშე უნდა მომხდარიყო, უფრო დიდი ყურადღება უნდა მიეცეოდა წესრიგს, ვიდრო სისწრაფეს. ოპერაციისთვის შხადება დეკიმბრიდან თვისის ბო-

**ექსპოზიციებული მოდელი „პატარა ვილი“  
ბოგინგტონის ტანკების მუზეუმში  
(დიდი ბრიტანეთი)**



ლომდე არ შეჩერებულა, საბრძოლო მოქმედებათა რაიონში მიზიდეს დიდი რაოდენობით ფურაჟი, საბრძოლო საშუალებები, დიდი ყურადღება ექცეოდა გზების მდგომარეობას. ოპერაციაში ფართოდ ჩაერთო ავიაცია. მოკავშირები საკუთარ მოქმედებებს დიდად არ ნიღბავდნენ, ისევე როგორც მათი მოწინააღმდეგე კერდენთან, რათა გერმანელებს რეზერვის ნაწილი სომისკნ გადასრულათ და კერძობრივი დაწილა შესუსტებინათ. ამიტომ მათ საარტილერიო ცეცხლი ქვეითების შეტყვაზე გადასვლამდე შვიდი დღით ადრე, 24 ივნისს გახსნეს და მასირებული დაბომბების შეძლევა, I-ელ ივლისს, დილის 7:30 საათზე შეტყვაზე გადავიდნენ. მდინარის სამხრეთით შეტყვამა ფრანგულმა ნაწილებმა პირველივე დღევამზი დაიკავის გერმანელთა მოწინავე პოზიციები, თუმცა სვლა წარმატებით ვედარ განაგრძეს. ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა ბრიტანელთა მე-4 არმიის შეტყვაბი მდინარის ჩრდილოეთით. მათ მხოლოდ პირველ დღეს დახოცილთა, დაჭრილთა, დატყვევებულთა და უგზო-უკვლილდ დაკრგულთა სახით 55 ათასზე მეტი კაცის დანაკლისი განიცადეს. შეტყვა ნაწილები ფლის-აგვისტოში, მასირებული საარტილერიო დაბომბებისა და უდიდესი მსხვერპლის მიუხდავდ, კუს ნაბიჯით მაინც მიიწვედნენ წინ. ბრძოლები თითოეული მეტრის-

თვის მიმდინარეობდა. „პოზიციური ჩიხი“ გერ დაიძლია.

ოპერაციის ახალი ეტაპი მოკავშირებმა 3 სექტემბრიდან დაიწყეს. მათი ცოცხალი ძალა 58 დღიზიამდე გაიზარდა, 1900-მა საარტილერიო დანადგარმა კი მოწინააღმდეგეს ცეცხლისა და ლითონის სეტიფა დაატეხა. ოპერაციის ამ ეტაპისას ბრიტანელებმა გამოიყენეს ახალი საბრძოლო მანქანა — ტანკი Mark I. შეჯუშნულ და მუხლუხებიან საბრძოლო მანქანაზე მუშაობა ბრიტანელებმა ჯერ კიდევ 1915 წელს დაიწყეს. შეიქმნა უთის მსგავსი ორი საექსპერიმენტო მოდელი Little Willy (პატარა ვილი) და Mother-i (დედა). ამ მოდელთა საფუძველზე შემდგა აიწყო კოშკურის არმქონე მძიმე ტანკები. ახალ საბრძოლო მანქანას უპრობლემოდ უნდა გადაელახა მოწინააღმდეგის პოზიციების წინ არსებული მავიულხლართები და სანგრებიდან გახსნილ ცეცხლს იგი ვერ უნდა დაეზიანებინა. შეიქმნა Mark I-ის ორი მოდელი: „მამალი“ და „დედალი“. მათ შორის განსხვავდა ის იყო, რომ „მამალი“ ოდნავ უფრო მეტს იწონიდა და შეიარაღებული იყო ტყვიამფრქვეულებითა და ორი 57 მმ-იანი ქვემქით, ხოლო „დედალი“ მხოლოდ ტყვიამფრქვეული ჰქონდა. სულ გამოიშვეს 75 „მამალი“ და 75 „დედალი“ ტანკი. საბრძოლო მანქანა 30-მდე ტონას იწონიდა, ეკიპაჟში რვა წევრი იყო, ძრავის სიმძლავრე 105 ცხენის ძალას შეადგენდა. ტანკის მაქსიმალური სიჩქარე იყო 6,4 კმ/სთ, თუმცა რაღვანაც ტანკს უსწორ-მასწორო რელიეფზე უწევდა მოქმედება, მისი სიჩქარე იშვიათად თუ აღემატებოდა 3 კმ/სთ-ს. საბრძოლო მანქანის 57 მმ-იანი ქვემქების ეფექტიანი სასროლი მანძილი 1800 მეტრს აღწევ-

ახალი მონსტრის გამოჩენამ გერმანელი ჯარისკაცები პანიკაში ჩააგდო



ტანკების მხოლოდ ნაწილმა მიაღწია საწყის პოზიციებამდე

და, ტანკს შევძლო 3,5-მეტრიანი თხრილის გადაღახვა.

ბრიტანელთა მე-4 არმიაშ ახალი საიდუმლო საბრძოლო მანქანა პირველად 15 სექტემბერს, 9-კილომეტრიანი ფრონტის მონაკვეთზე გამოიყენა. ტექნიკური ხარვეზების მიუხედავად, რის გამოც ოპერაციაში ჩართული 49 ტანკიდან ყველაზ ვერ მიაღწია ფრონტის ხაზამდე, შედგი განსაკუთრებული იყო. გერმანელი ჯარისკაცები პანიკაში ჩააგდო ახალი მონსტრის გამოჩენამ. ერთ-ერთ მათგანს მო-





სანგრების ქსელი, რომელსაც სომის ბრძოლის მონაწილე ჯარისკაცები იყენებდნენ

ეზვენა, რომ მათკენ ნამდვილი ეშმაკი მიემართებოდა. შემინებული ჯარისკაცის სიტყვები უმაღლ მოედო ახლომდებარე სანგრებს. სოფელი ფლერი ერთი ტანკით აიღეს და 300 გერმანელი ჯარისკაცი ტყვედ ჩაერდა, დანარჩენებმა კი გაქცვით უშველუს თავს. სოფლის აღებისას ბრიტანელთა რიგებში მსხვერპლი არ ყოფილა. მთლიანობაში, რამდენიმე საათში არაერთი მნიშვნელოვანი პუნქტი აღმოჩნდა დაკავებული. ბრიტანელთა არმიამ 3-4 კილომეტრით წაიწია წინ. ზუსტად იმდენით, რამდენითაც მანამდე 65-დღიანი ბრძოლებით მოხერ-

ხდა. წარმატების მიუხედავად, 15 სექტემბრის ბრძოლები მხოლოდ ტაქტიკური ხასიათის გამარჯვების მომტანი გამოდიდა. ამის შემდეგ ოპერაციის მსვლელობისას ტანკები მხოლოდ ორჯერ, 25-26 სექტემბერს და 13-14 ნოემბერს გამოიყენეს. ამის მიზეზი ახალ საბრძოლო მანქანათა გაუმართაობა, მცირე რაოდენობა, ექსპლუატაციის მძიმე პირობები და მოქმედების ტაქტიკის დაუმუშავებლობა იყო.

სომის სტრატეგიული ოპერაცია 18 ნოემბერს შეწყდა. ფრანგებმა და ბრიტანელებმა საკუთარი გეგმა ვერ შეასრულეს, მათ მოწინააღმდეგეს მხოლოდ ათიოდე კილომეტრით დახევინეს უკან, სადაც გერმანელებმა ახალი თავდაცვითი ხაზი დაიკავეს. ბრიტანელთა და ფრანგთა საბრძოლო დანაკარგებმა 700 ათას კაცს მიაღწია, აქედან დაახლოებით 150 ათასამდე დაიღუპა ან უგზო-უკვლილ დაიკარგა, ხოლო გერმანელთა დანაკარგმა 500 ათასს მიაღწია, აქედან დაიღუპა ან უგზო-უკვლილ დანაკარგა 165 ათასამდე. მათნის შეუსრულებლობის მიუხედავად, მთლიანობაში სომისა და 1916 წელს წარმართული სხვა ოპერაციები ანტანტის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკისთვის წარმატებული გამოდიდა და სტრატეგიული ინიციატივა მათ ხელში გადაიდა.

„მისი უდიდებულესობა“ ტანკის პირველმა გამოყენებამ მხოლოდ ტაქტიკური გამარჯვება მოუტანა მოკავშირუებს. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ბევრად დაიხვდის ამ საბრძოლო მანქანის ტექნიკურ-ტაქტიკური მონაცემები და გამოყენების ტაქტიკა, ომები მუხლუხებზე „შედგა“ და არნა-სული მანქანულობა შეიძინა. „პოზიციური ჩინის“ პრობლემაც ისტორიას ჩაბარდა.

**დიპიტი სილაპავ,**  
**თუ-ს ისტორიის დოქტორანტი**

სომის ბრძოლაში დაღუპული ბრიტანელების ერთ-ერთი ძმათა სასაფლაო





ყველა ფრონტის  
საყვარელი  
სპორტული გაზიარები

1934  
—  
1900 ილი

# ულაზა მავიძორისანობისას



## როგორ „ვევითნებ“ ამერიკას სერიული მკლელები

კრიმინალის ისტორია მრავალი მძიმე დანაშაულის მომსწრეა, XX საუკუნეში თავი იჩინა ბოროტმოქმედების სრულიად ახალმა და ძალიან საშიშმა ფორმამ — აშშ-ში სერიული მკვლელები გამოჩნდნენ. საწყის ეტაპზე სამართლდამცავები უძღვრი იყენენ. მაშინ, როცა ამ ტიპის საქმეთა განხილვის მაჩვენებელი პრაქტიკულად ნულს უდრიდა, ქვევნის სხვადასხვა შტატის პოლიციის განცოფილებებში ახალ-ახალი ცხობები მოდიოდა მორიგი სერიული მკვლელის გამოჩენის შესახებ. საქმის გაცნობის შემდეგ გამომიედლებისთვის აშკარა ხდებოდა, რომ სერიული მკვლელის კვალზე გასვლა უკიდურესად რთული იქნებოდა. ისინი სრულიად ახალი ტიპის ბოროტმოქმედები იყენენ. მათი საზოგადოებრივი და პირადი ფსიქოლოგიური პროტექტის, მკვლელობის მოტივისა თუ სამომავლოდ მოსალოდნელი საქციელის განვითრება ერთიან მიღვომას საჭიროებდა. კრიმინალისტებთან ერთად საქმეში ჩაერთნენ სხვადასხვა მიმართულების მედიკოსები, მათ შორის, ფსიქიატრები და ფინანსონები.

ყოველ ათწლეულში 1900-დან 2010 წლამდე, აშშ-ში სხვა ქვენებთან შედარებით ყველაზე მეტი სერიული მკვლელია აღინიშვნებოდა. დღეს მსოფლიოს მასშტაბით სერიულ მკვლელთა ამერიკაზე 76% მოდის, ევროპაზე კი 17%. თვით ტერმინ „სერიული მკვლელის“ გაჩნაც აშშ-ს უკავშირდება. პირველად იგი 1976 წელს

გამოიყენეს, ტედ ბანდის საქმის გამოძიებისას. ტერმინი საყოველთაოდ გავრცელდა არანაკლებ საშიშმი მკვლელის, დვიდ რ ბერგუიცის გახმაურებული სასამართლო პროცესის შემდეგ. სერიული მკვლელი არის აღამიანი, რომელიც სხვადასხვა მიზეზის საფუძველზე (სექსუალური, სადისტური, ნეკროფილური) დროის გან-

საზღვრულ მონაკვეთში ჩაიდგნეს რამდენიმე ერთმანეთისა განცალკევბულ მკვლელობას, ან მკვლელობათა სერიას.

სერიული მკვლელები თავიდანვე დამაშავეთა უკიდურესად საშიშ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ. მათ შევძლოთ რადაც მომქნებში განზრახვებისა და პათოლოგიური მიღრუკილებების შეკავება-შენიდლება. უმეტეს შემთხვევში, მათთან ურთიერთობა მეორე ადამიანს ეჭვებს არ აღუძრავდა და ამდენად, საზოგადოებისგან მათი გამოცალკევება და იდენტიფიცირება უკიდურესად რთული იყო. სერიულ მკვლელთა უმეტესობა ყოველდღიურ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც კი იყო ჩაბმული, პერნილთ პროფესია, ჰყავდათ ოჯახი და ხშირად სამსახურიდნ მათ შესახებ არცოუ ცუდ დახასიათებას იღებდნენ. თანამედროვე მკვლელებს მიაჩნიათ, რომ სერიულ მკვლელთა ფსიქოლოგიური პორტრეტის ფორმირება ბაჟშვილიდან იწყება, ხოლო სადიზმისა და სისასტიკისგნ მიღრუკილებას განაპირობებს მხმდება იჯაზური გარემო და გენეტიკური მიღრუკილება ძალადობისგნ. ამას ბიოგრაფიულიც ადასტურებს. თითქმის ყველა მათგანი ალკოჰოლიზმისა თუ სხვა მიზეზების გამოშობელთა ან ნათესავთა მხრიდან გამოჩენილი სისასტიკის, სექსუალური ან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი იყო.

აქტრიკელ სერიულ მკვლელთა ისტორია XIX საუკუნიდან იწყება. პირველ ოფიციალურად აღიარებულ აქტრიკელ სერიულ მკვლელად მიჩნეულია პერმან უებსტერ მაჯეტი. ფართო საზოგადოებისთვის იგი ცნობილი იყო, როგორც ჩიკაგოელი ექიმი პენრი პოვარდ პოლმსი.

ბაჟშვილის პოლმსი მეცნიერი დისციპლინის მოყვარული მამისგან ხშირად განიცდიდა ფიზიკურ ძალადობას. მას აბუქად იგდებდნებ და დასცინოდნენ თანატოლებიც. პოლმსი ყოველმხრივ თავს არიდებდა კლასელებს, ხოლო 11 წლიდან მის ხასიათში პათოლოგიური მიღრუკილების ნიშნები გამოიკვეთ. მედიცინით ადრეული ასაკიდანვე დაინტერესდა, ხშირად ატარებდა ცდებს ცხოველებზე. 1884 წელს მიჩიგანის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ პოლმსმა ექიმის დიპლომი მიიღო, ქრიმინალური საქმიანობა კი ფინანსური მაქინაციებით წამოიწყო. სადაზღვევო კომპანიათა მოტყუების გზით მან საქმაოდ გაიუმჯობესა ფინანსური მდგომარეობა და 1886 წელს საცხოვრებლად ჩიკაგოში გა-



პერმან უებსტერ მაჯეტი აღიარებულია პირველ ამერიკულ სერიულ მკვლელად (მას ექიმ პენრი პოვარდ პოლმსად იცნობდნენ)



სახლი გილმარტონში, ნიუ ჰემპშირის შტატში, სადაც ექიმი პენრი პოლმსი დაიბადა

დავიდა. ამ ქალაქში კი მან საშინელ დანაშაულებათა ჩადენა დაიწყო. პოლმსმა აფთიაქში მუშაობა ფარმაცეტურად დაიწყო, რომლის მებატორნე პოლტრონი მაღვე გარდაიცვალა. პოლმსმა დაარწმუნა ქვრივი, აფთიაქი მისოვის მიეყიდა, რის შემდგაც მოხუცი ქალი გაუჩინარდა უგზო-უკვლოდ.



კარლ  
პანცრამი

ჰოლმსმა შეისყიდა აფთიაქის ირგვლივ მდებარე შენობებიც, ისინი გააერთიანა და სასტუმრო გახსნა. სწორედ იქ დადგა მკვლელობები სერიულ „რელსებზე“. ჰოლმსი აწამებდა და კლავდა სასტუმროში მომუშავე ქალებს, მათ საყვარლებსა და სასტუმროს მობინადრებს. ამ საზარელ ისტორიას გამოძიებამ მოგვიანებით ახადა ფარდა. ჰოლმსი ჩიკაგოში, ინდიანაბოლისსა და ტორონტოში 27 აღამიანის მკვლელობაში დაადანაშაულეს. თუმცა, დაუდასტურებელი წყაროების მიხედვით, ჰოლმსის დახოცილი ადამიანთა რიცხვი 350-ს აღწევს: 1893 წელს ჩიკაგოში მსოფლიო გამოფენა მოწყობი, მის სანახვად ქალაქში ჩამოსული მრავალი ადამიანი კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა და შინ აღარ დაბრუნებულა. მტბობლებისა და ქალაქის მცხოვრებთა ჩვენებების მიხედვით, ისინი ჰოლმსმა დახოცა, თუმცა გამოძიებაში ეს ვერ დაადასტურა. თაგად სერიულმა მკვლელმა მხოლოდ 27 მკვლელობა აღიარა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ჰოლმსი ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს იძლეოდა და გამოძიება შეცდომაში შექმებდა. სერიული მკვლელი პოლიციელებმა 1894 წელს ბოსტონში დაკავეს. ორი წლის შემდევ იგი სიკვდილით დასჯეს.

სერიული მკვლელები XX საუკუნის დადგომის შემდევ გაატეიურდნენ. ერთ-ერთი პირველი იყო მინესოტას შტატში დასახლებული გერმანელი ემიგრანტების შეილი კარლ პანცრამი. მას განსაკუთრებული კაცომომულეობა და ნიკილიში ახასიათდა. ციხში მან აეტობიოგრაფია დაწერა, სადაც დაწვრილე-

ბით აღწერდა საკუთარ ბავშვობასა და ჩადენილ დანაშაულებს. ოფიციალური მონაცემებით, მან 22 ადამიანი მოკლა. პანცრამმა ასევე აღარა, რომ 100-ზე მეტი მამაკაცი და ბიჭი ჰყავდა გაუპატიურებული.

პანცრამი 7 წლისა იყო, როცა მისი შშობლები გაშორდნენ. 11 წლისამ მეზობლის სახლი გაქურდა, რისთვისაც მშებმა სასტიკად სცემეს. 1903 წელს მოზარდთა გამოსასწორებელ სკოლაში მოხვდა. პანცრამის თქმით, სკოლაში გადატანილმა მბიმე ფიზიკურმა სასჯელმა და დამცირებებმა მას ადამიანებისადმი სიძულევილი და სისასტიკისკენ მიღრეკილება გაუჩინა. 14 წლის იყო, როცა ჩვეულებრივი სკოლიდან გააძვევს, რის შემდეგაც სახლიდან გაიქცა და მინესოტა სამუდამოდ დატოვა. მოზარდობის ასაკშივე მიეძალა ალკოჰოლს, სხვადასხვა შტატში სამგზავრო მატარებლებს დაყვებოდა და თავს ქურდობით ირჩენდა. აიდაპორში, მონტანასა თუ კალიფორნიაში მას სხვადასხვა სახელით იცნობდნენ. სავარაუდოდ, მატარებლებით ხეტიალისას იგი ოთხმა მოხეტიალე მამაკაცმა გაუპატიურა.

პანცრამის მკვლელობათა სერია 1920 წლიდან 1928 წლამდე გაგრძელდა: იგი ერთ-დროულად რამდენიმე შტატში მოქმედებდა: კონექტიკუტში, ნიუ-იორკში, მასაჩუსეტსში, მერილენდში, პენსილვანიასა და ბოლოს, კონგრესში. იგი სწორედ ამ შტატში დასჯეს სიკვდილით 1930 წლის 5 სექტემბერს.

1920-იანი წლების ამერიკის სერიულ მკვლელთა შორისაა პოლონელი ემიგრანტი

პეტერ კუბინოვსკი. ოფიციალურად გამოძიება მა დაადასტურა, რომ მას პენსილვანიასა და ნიუ-ჯერსის შტატებში სამი ადამიანი მოკლა, მათ შორის 7 და 5 წლის ბავშვები. 1928 წელს იგი დააკავეს ქალაქ მიჩიგანში. მას მიესავა სიკვდილით დასჯა ელექტროსკამის მეშვეობით. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1929 წელს, ნიუ-ჯერსის შტატში.

1950-იანი წლების ამერიკა ხასიათდება ტრადიციული მორალურ-ეთიკური ფასეულობებისა და რელიგიური მსოფლმხედველობის გაძლიერებით. თუმცა სწორედ ამ დროს გამოჩნდა აშშ-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი სერიული მკვლელი დონალდ ჰენრი „პი უ“ გასკინის. ოფიციალურად მას ცხრა მკვლელობა დაუმტკიცდა, თუმცა სიკვდილის-ჯილთა საკანში გასკინსმა უურნალისტს უთხრა, რომ სინამდვილეში ასამდე ადამიანი ჰყავდა მოკლული. გასკინისა სამხრეთ კაროლინაში დაიბადა და ძირითადად აქვე ელავდა. ცხოვრება კრიმინალს მან ახალგაზრდობაშივე დაუკავშირა. ქურდობისას ქალს ნაჯახით დაესხა თავს და გამოსასწორებელ კოლონიაში გაგზავნეს. გათავისუფლების შემდეგ დაოჯახდა, თუმცა მალევე ახალი დანაშაული ჩაიდინა, ჩაქუჩით თავს დაესხა გოგონას, რის გამოც ექვსი წელი მიუსაჯეს. ციხეში თანამესაკნე მოკლა, 1955 წელს კი ფლორიდის ციხიდნ გაიპარა. ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე დააპატიმრეს, მათ შორის 12 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის. 1963 წელს გასკინისა სამხრეთ კაროლინაში გადასახლდა. საშინელ მკვლელობათა სერიაც იქ დაიწყო.

ამერიკის სერიულ მკვლელთა ისტორიაში ეს ეპიზოდი ცნობილია „სასიკვდილი ავტოსტოპის“ სახელით. 1963 წლის სექტემბრიდან გასკინის ყოველ თვე-ნახევარში ერთხელ გადიოდა სამხრეთ კაროლინის სხვადასხვა სა-ავტომობილო გზატკეცილსა და შარაგზაზე ავტოსტოპით მოგზაურთა დასახოცად. როგორც ჩვეულებრივი მძღოლი, იგი მგზავრებს აიყვანდა და სასურველ ადგილაშედე მიეკანას პპირდებოდა, თუმცა შემდეგ სასტიკად აწმებდა და კლავდა. მის მსხვერპლთა შორის იყვნენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები. გასკინის სისასტიკით გამოირჩეოდა და წმებისა თუ მოკვლის სხვადასხვა ფორმას მიმართავდა. მან საკუთარ სერიას „სანაპირო მკვლელობები“ უწოდა და აღიარა, რომ 80-90 კაცი



დაკავებული  
დონალდ  
ჰენრი  
გასკინი,  
მისმა  
„სასიკვდილო  
ავტოსტოპა“  
ასამდე  
ადამიანი  
იმსხვერპლა



ჰენრი  
გასკინი  
გამოიძიებას  
გვამის  
მდებარეობას  
უთუებს



პოლიციაზ  
მითითებულ  
ადგილებში  
„მხოლოდ“  
რვა  
ცხდარს  
მიაგნო...





ლესლი ირვინს, რომელიც 1955 წელს დაიჭირეს,  
საიკვდილო განაჩენი სამუდამო პატიმრობით  
შეუცვალეს. მან 1983 წლამდე იცოცხლა



ედ გეინს „მხოლოდ“ ორი ადამიანის მკვლელობა  
დაუმტკიცდა, თუმცა მის მიერ გამოჩენილი სისახტით  
შოジョს მომგვრული იყო მოუღია ამერიკითვის

მოკლა. გასკინს 1975 წელს დააპატიმრეს. სიკვდილმისჯილთა საკანში განაცხადა, რომ აუტოსტოკით ასზე მეტი მოგზაური მოკლა, თუმცა გამოძიებამ „სასიკვდილო ავტოსტოკით“ დაღუპულთა კვალს ვერ მიაგნო და ეს ბრალდება ვერ დამტკიცდა. პოლიციამ გასკინსის მიერ მოკლული მხოლოდ რვა ადამიანის ცხედარი აღმოაჩინა. სერიული მკვლელი 1991 წელს ელექტროსკამზე სიკვდილით დასაჯეს. ლესლი ირვინი 1950-იანი წლებში ინდიანის შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში მოქმედებდა. 1954 წლის განმავლობაში ირვინმა სამხრეთ ინდიანის უმსხვილესი ქალაქის, ევანსვილის მიდამოებში ექვსი კაცი მოკლა, იმავე წლის დეკემბერში კიდევ ორი ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო 1955 წლის მარტში — კიდევ ოთხი. ევანსვილსა და მის მეზობლად ფერმერული ტიპის მრავალრიცხოვან დასახლებებში ერთგარი პანიკაც დაიწყო. მოსახლეობა პოლიციისგან მკვლელის დაჭრას ითხოვდა. ადმიანთა გაუჩინარებასა და მკვლელობებს საინფორმაციო საშუალებებიც აქტიურად აშუქებდნენ. პოლიციის მონიტორებამ მაღლე შედგები გამოიღო და სერიული მკვლელი 1955 წლის 8 აპრილს დაიჭირეს. ირვინის საქმეს უმაღლესი სასამართლო განიხილავდა. მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მოგვიანებით კი ეს სასჯელი სამუდამო პატიმრობით შეიცვალა. ლესლი ირვინი 1983 წელს გარდაიცვალა ციხეში, ფილტვის სიმსივნით.

ამერიკის კრიმინალურ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სერიული მკვლელი ედ გეინი (ედვარდ თეოდორ გეინი) 1947-1956 წლებში ვისკონსინის შტატში მოქმედებდა. მიუხედავად იმისა, რომ მას „მხოლოდ“ ორი ადამიანის მკვლელობა დაუმტკიცდა, მის მიერ გამოჩენილი სისახტით შოკის მომგვრული იყო მოული ამერიკითვის. გეინს საკმაოდ მძიმე ბაზშვილა ჰქონდა. მამა ალკოჰოლზე დამოკიდებული იყო და შვილის აღზრდაში, პრაქტიკულად, არ მონაწილეობდა. განსაკუთრებით უარყოფით ზეგავლენა დედაში მოანდინა. ავგუსტა ლეპრუკი ფანატიკურად მორწმუნებ პროტესტანტი იყო და შვილს ჩმირად აყენებდა როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ტრაგმას.

პირველი მკვლელობა გეინმა 1954 წელს ჩაიდინა. მისი მსხვერპლი აღმოჩნდა ადგილობრივი ტავერნის მეპატრონე მერი ჰოგანი. 1957 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა 58 წლის ქვრი-




პოლიციის  
დეპარტა-  
მენტებში  
შეიქმნა  
განკოფილებები,  
რომლებიც  
სერიულ  
ძევლელთა  
საქმეებზე  
მუშაობდნენ

ვი ბერნის უორდენი. დანაშაულის კვალმა პოლიცია ედ გეინის სახლამდე მიიყვანა. სამართალდამცავებმა მისი სახლის გაჩერეკა გაღწევიტეს და გეინის გამოულენილი შემაძრწუნებელი, არაადამიანური სისასტიკის ფაქტებსაც მიაკვლიერს. სამხილები, პრაქტიკულად ყველანაირ პათოლოგიურ მიღრეკილებებთან ერთად, კანიბალიზმსაც მოწმობდნენ. ინფორმაციამ პოლიციის მიერ გეინის სახლში აღმოჩენილი ჯოჯოხეთის შესახებ მოსახლეობაშიც გაჟონა. ადგილობრივებმა მას „საშინელებათა სახლი“ უწოდეს. მათთვის ეს ადგილი ენით აღუწერელი ბოროტებისა და გარევნილების სიმბოლოდ იქცა. ხელისუფლებამ სახლის აუქციონზე გაყიდვა გაღწევიტა, თუმ-

ცა 1958 წლის მარტში იგი მთლიანად დაიწვა. დაუდასტურებული ვერსიით, შენობა აღგილობრივებმა დაწვეს. გამოძიება ამის იქით აღარ წასულა.

სასამართლომ გეინი შეურაცხადად ცნო. იგი საგალდებულო მუშაობისას გადიოდა უოპანში, შემდეგ კი მედისონის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში. 1968 წელს გეინი კვლავ სასამართლოს წინაშე წარდგა. საბოლოო განაჩენით, მას ფსიქიატრიულ საკუთრივო სამუდაბო მუშაობალობა მიესაჯა. გეინი 1984 წელს სიმსივნით გარდაიცვალა.

სერიული მკვლელობები განსაკუთრებით 1970-1980-იანი წლების ამერიკაში გამრავლდა. გაიზარდა ბოროტმოქმედების გეოგრაფი-



პენრი ლი  
ლუკასი  
მსხვერპლთა  
ფოტოებთან.  
ლუკასმა ციხის  
არქივში  
სისხლის  
სამრილის  
საქმეები და  
გამოძიების  
შეცდომები  
შეისწერდა და  
დანაშაულები  
ისე დაგვმა,  
რომ  
პოლიციისთვის  
ხელჩასაჭიდი  
არაფერი  
დაეტოვებინა



ედმუნდ ჯემპერმა, სხვა მსხვერპლთა გარდა, დახოცა საკუთარი პებია და ბაბუა, ავტომატურა და მისი გვამი დაასახირა

აც. ცნობები სერიული მკვლელობების, უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების შესახებ თითქმის ყველა შტატიდან ჩნდებოდა. განსაკუთრებით ბევრი იყვნენ ისინი კალიფორნიაში, ტეხასში, ფლორიდაში, ილინოისსა და შტატ ნიუ-იორკში. პოლიციის დეპარტამენტებში სპეციალური განყოფილებები შეიქმნა,

ტედ ბანდის მსხვერპლთა რიცხვი შესაძლოა 100-ზე მეტია



რომლებიც სერიულ მკვლელთა საქმეებზე სპეციალიზდებოდნენ და საჭიროების შემთხვევაში, ოლების შერიცვს მანიაკის გამოვლენასა და დაჭრაში უნდა დახმარებოდნენ. სერიული მკვლელობების რაოდენობის მატებასთან ერთად არასახარბიყელო იყო საქმის გახსნის მაჩვენებელი და სამძერო სამუშაოებში ხშირად ერთვებოდნენ ფედერალური საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლებიც.

1970-80-იან წლებში აშშ-ში მოქმედ მრავალ სერიულ მკვლელს შორის განსაკუთრებული სისასტიკითა და მოუხელოებლობით გამოიჩინდნენ: ჰენრი ლი ლუკასი, ოტის ტული, ედმუნდ კემპერი, დენის რეიდერი, დევიდ ბერკოვიცი, ჯონ უეინ გეისი, დევიდ მეირკოფერი, დენი როლინგი, ტედ ბანდი და მკვლელი ქალი ეოლინ უორნოსი.

ჰენრი ლი ლუკასი 1960-1983 წლებში მიჩიგანისა და ტეხასის შტატების მოსახლეობას ატერორიზდა. მის მიერ ჩადენილ მკვლელობათა ზუსტი რაოდენობა დღემდე დაუზუსტებელია და მრავალი კითხვაც პასუხაუცემელი რჩება. პოლიციამ 11 მკვლელობა დაადასტურა, ლუკასმა კი 300-მდე ადამიანის მოკვლა აღიარა. მისი დედა მეძავი იყო, ხოლო მამა — უნარშეზღუდული. პირველად ადამიანი ლუკასმა 1951 წელს მოკლა. იმ დღოსვე მიეძალა ნარკოტიკები, თანაცხოვრობდა საკუთარ დასთან. 1960 წელს 23 წლის ლუკასმა დანით მოკლა დედა და მიიმალა. ამისთვის 15 წელი მიუსაჯეს. ფილმიატრების გამოვლენილი მძიმე დიაგნოზის გამო (მიზოფრუნია, სა-

დიზმი, არასრულფასოვნების კომპლექსი, ფსიქოპათია) მან 4,5 წელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაატარა. მკურნალობის შემდეგ ციხეში გადაეცვნილმა ლუკასმა გადაწყვიტა, რაც შეძლება მეტი ადამიანი მოეკლა. ამ მიზნით მან მოახერხა და უფლება მოიპოვა, ციხის არქივით ესარგებლა. დაწვრილებით შეისწავლა სისხლის სამართლის საქმები. საფუძლიანად გააანალიზა პოლიციის საგამოძიებო ქმედებები და სამართალდამცავთა მიერ გამოიყებისას დაშვებული შეცდომები. ამ ცოდნის საფუძლებლზე, ჰენრი ლი ლუკასმა ციხეშივე ისე დაგეგმა დანაშაულები, რომ პოლიციისთვის ხელმოსაჭიდად არაფერი დაეტოვებინა. 1970 წელს ლუკასი ციხიდან გამოუშვეს და მან მკვლელობათა სერიის გეგმის შესრულება დაიწყო. ტეხასის პოლიციამ მისი დაჭვრა მხოლოდ 1983 წელს მოახერხა.

სისასტიკით გამოიჩეოდა ლუკასის თანამშრასეველი და მისი საყვარელი, სერიული მკვლელი ოტის ელგუედ ტულიც. მან აღიარა არაერთი მკვლელობა, გაუპატიურება, კანიბალიზმი. ყველაზე დიდი რეზონანსი 1981 წელს ექვსი წლის აღამ უოლშის მკვლელობას მოჰყვა. დაუდასტურებელი მონაცემებით, მსხვერპლთა რიცხვი ასზე მეტია.

1964-1973 წლებში კალიფორნია ედმუნდ კეპპერის სერიულმა მკვლელობებმა შეძრა. იმპოზანტური გარეგნობის კემპერის (სიმაღლე 206 სმ, წონა 140 კგ) ინტელექტის კოეფიციენტი 145-ს შეადგენდა, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. მან მოკლა საკუთარი ბებია და ბაბუა. 1972-73 წლებში სასტიკად აწამა და მოკლა რამდენიმე კალიფორნიელი სტუდენტი გოგონა. 1973 წლის აპრილში მოკლა საკუთარი დედა, დაასახირა მისი სხეული და სხვადასხვა გარევნილებას მიმართა. შემდეგ სტუმრად მოიწვა დედამისის მეობარი და ისიც მოკლა, ამ მკვლელობათა შემდეგ კი პოლიციას თავად ჩაპარდა. მას სამი ვადით სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და დღემდე კალიფორნიის ერთ-ერთ ციხეშია იშოლირებული.

იმავე დროს შეძრეს ამერიკა ტედ ბანდიმ (შვიდ შტატში მნი დადასტურებულად მოკლა 26 კაცი 1974-1978 წწ., მსხვერპლთა შესაძლო რიცხვი 100-ზე მეტია), დენის რეიდერმა (1974-1991 წწ. სექსუალური მოტივით კანზასის შტატში ათი ადამიანი მოკლა, მათ შორის ორი



დევიდ ბერკოვიცი



დენი როლინგმა ერთი ოჯახის სამი თაობა ამოხოდა

ბავშვი), დევიდ ბერკოვიცმა (1976-1977 წწ. ნიუ-იორკის შტატში მოკლა ექვსი ახალგაზრდა, სასამართლო მას 365 წლით თავისუფლების აღვეთა მიუსაჯა), ჯონ უეინ გეისიმ (1972-1978 წწ. ილინოისის შტატში სექსუალური ძალადობით 34 ადამიანი მოკლა. 1994 წელს სიკვდილით დასაჯეს), დენი როლინგმა 1989-1990 წწ. ფლორიდასა და ლუიზიანაში განსაკუთრებული სისასტიკით რგა ადამიანი მოაკვდინა. გამორჩეული რეზონანსი მოკლები როლინგის მიერ 55 წლის უილიამ გრისომის, მისი 24 წლის შვილისა და 8 წლის შვილიშვილის დახოცვის ამბავს...

## მიხეილ გარემო

ისუ-ს ისტორიის დოქტორანტი

# პაგანინი

## ნაკოლეონის დის საყვარელი?

იტალიის ქალაქ ტურინის მოსახლეობა ერთმანეთის ხელიდან ართმევდა ბილეთებს 34 წლის მევიოლინის, ნიკოლო პაგანინისა და 22 წლის მომღერლის, ანტონია ბიანკას კონცერტზე დასასწრებად. 1815 წლის ზაფხულის საღამოს, არტისტები პირველად გამოდიოდნენ ერთად, ერთ სცენაზე. პაგანინის რეპეტიცია არ უყვარდა, ამიტომ სოლისტი ქალი მხოლოდ პრემიერაზე ნახა და მხეთუნახავს თვალი ველარ მოსწყვიტა.

— თქვენ ღვთიურად ძლიერით, სენიორა! — უთხრა მან ანტონიას კონცერტის შემდეგ.

ანტონიამ გაიღია. მშენიერი ქალი ინტერესით აკვირდებოდა ამ მჭლე და მოუხერხებელ მამაკაცს, რომელიც კომპლიმენტებს უხვად აყრიდა.

ფერმერთალი სახე, მუქი კულულები და აქატივით შევი თვალები... განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა თხელი და გრძელი თითები, რომლითაც ურთულეს მუსიკალურ ნაწარმოებებს ვიარტუოზულად ასრულებდა.

— მოხიბლული ვარ თქვენი ვიოლინოთი, მაესტრო! ამბობენ, რომ თქვენი მუსიკალური ტალანტისთვის სული ეშმაკს მიჰყიდეთ, — მიუგო ბიანკა.


— ეს ეშმაკი — მუსიკა, მას მივუძღვნი ჩემი სიცოცხლე.

— და სიყვარული? იმდენი თაყვანისმცემელი გყვათ ქალები გონებას კარგავენ, როცა ვიოლინოზე თქვენს შესრულებას უსმენენ.

— სენიორა, მსოფლიოში ვერც ერთი ქალი ვერ შეეგდრებათ. თქვენზე უახროდ ვარ შეყვარებული. მალე მილანში მივდივარ და ბედნიერი ვიქები, თუ ჩემთან ერთად გამოსვლას დათანხმდებით.

— კარგი, ვიღებ თქვენს წინადადებას. გაემგზავრეთ და მეც შემოგიერთდებით.

პაგანინი გასტროლებზე წავიდა. რამდენიმე კვირა გავიდა, თუმცა ბიანკასგან არავითარი ცნობა არ მოსულა. შეყვარებული ნიკოლო იტანჯებოდა, თავს იმტკრუვდა, ვიდრე მიწვ-



ნიკოლო პაგანინი შესრულებისას

ანტონია ბიანკა



დებოდა, რომ ანტონიამ ის მოატყუა. მისი ძებნა ტურინში, ფლორენციასა და ბოლონიაში დაიწყო. მაგრამ სავეგარელი ქალი თითქოს ემალებოდა. იცვლიდა მისამართს, შეტყობინებას ხან სასტუმროში ტოვებდა, ხან შუამავლის მეშვეობით გადასცემდა ბარათებს.

ბოლოს და ბოლოს, პაგანინიმ მომღერალი პალერმოში იპოვა. ანტონია ნიკოლოს გრძნობის სერიოზულობაში უკვე დარწმუნებული იყო და ცოლად გაჰყვა კიდეც. ქორწინების შემდეგ ისინი ერთად ხშირად მართავდნენ გასტროლებს. მალე ბიანკა დაორსულდა და სცენა მიატოვა. ოჯახი პალერმოში დასახლდა. 1826 წელს პაგანინის ვაჟი შეეძინა. მას აქილევსი დაარქვეს — ძველდერძნული მითოლოგიური გმირის პატივსაცემად. როცა ჩვილი ტიროდა, მამა ვიოლინოს იღებდა და მის დასაწენარებლად ჩიტების გალობის ან ანტონიას ხმის იმიტაციას აკეთებდა.

ეს ოჯახური იდილია ბიანკას დიდად არ იზიდავდა. ის ევროპაში გასტროლებსა და ბრწყინვალე კარიერაზე ოცნებობდა. ოთხწლანი თანაცხოვრების განმავლობაში იგი გასუქრდა, მისი ხმა აღარ იყო ისეთი მაღალი, როგორც ადრე. ბიანკა სკანდალს ხშირად აწყობდა, მოითხოვდა საცხოვრებლად სხვაგან გადასვლას და ქმარს გაყრით ემუქრებოდა. პაგანინის შევლის დაკარგვის ეშინოდა და ნეაპოლში გადასვლას დათანხმდა.

შემდეგ ნიკოლო ცოლთან ერთად გაემგზავრა ევროპულ საკონცერტო ტურნეში. ავსტრიაში გასტროლებისას, ანტონია ფარულად დაუკავშირდა იმპრესარიოს. ცნობილი მევიოლინის გამოსვლიდან დიდი ხეირი რომ ენასა, მან სკანდალური რეკლამა გაუკეთა. ვენის ქუჩებში გამოჩნდა აფიშები, რომელზეც პაგანინი გისოსებს მიღმა იყო გამოსახული.

პირუეში მაესტრო ჩალაზე იჯდა, ჯვრცმის წინ ვიოლინოს უკრავდა და ცოდვებისთვის პატივებას ითხოვდა.

„იჩქარეთ! სიკვდილმისჯილი იტალიელი მევიოლინე ნიკოლო ფონ პაგანინი გამოიქცა ციხილან და კონცერტს მართავს. რომის პაპმა მას მრავალი დანაშაული და მკვლელობა შეუნდო“, — ქარი აფიშაზე. განრისხებული მუსიკისი მძვინვარებდა.

— ეს სიცრუეა! ჩემგან კლოუნი გამოიყვანეთ. აღარასოდეს ჩაერიოთ ჩემს საკონცერტო საქმეებში, — უკვიროდა იგი ცოლს.



ელიზა, ნაპოლეონ ბონაპარტის უფროსი და, საფრანგეთის პრინცესა და ტოსკანის ჰერცოგინია

— მეუბნებინ, რომ ურწმუნო ხართ. უარი თქვით, ვიოლინო ნაკურთხ წყალში ჩაგედოთ!

— ის იმიტომ არ შეუქმნია ოსტატს, რომ მღვდლების სასარგებლოდ გავწუწო. მე მართლაც ვარ დაკავშირებული ეშმაკთან და ეს ეშმაკი თქვენ ხართ, სენიორა!

პასუხად ანტონიამ ხელი დასტაცა ინსტრუმენტს და ისე დაახეთქა იატაკზე, რომ სიმები დაწყდა. პატარა აქილევსმა შიშისგან იყვირა და სწოლიდან გადმოვარდა.

1828 წელს პაგანინი მეუღლეს გაეყარა და შვილზე მეურვეობაც მიიღო. მალე კი, პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ მევიოლინე დემონებმა შეიპრეს, მან ცოლი სახლიდან გააგდო და შვილი წაართვა. შემდეგ დაიბრუდა სხვა ისტორია, რომ პაგანინი გარდაიცვალა და მისი ქვრივი პატარა შვილს ეძებდა. გაზეთები ამ კერძიების უარმყოფელი სტატიებით სამმაგი ტირაჟით იბეჭდებოდა.



პაოლინა, იმპერატორ ბონაპარტის შუათანა და, პრინცესა ბორგეზე

ცოლთან გაყრის შემდეგ პაგანინი კონცერტს კონცერტზე მართავდა. გამოსვლისთვის უზომოდ მაღალ ჰონორარს იღებდა და ცდილობდა, გაუშეილისთვის უზრუნველყოფილი მომავალი შეექმნა. მას ბარონის ტიტულიც კი უყიდა. მრავალრიცხოვანმა გასტროლებმა პაგანინის ჯანმრთელობა საგრძნობლად შეარყია.

მევიოლინეს თირკმლები დაავადებული ჰქონდა და გონიერას ჩშირად კარგადა. თითქმის აღარ შერჩა კბილები. ხერხემლის გამრუდების გამო, ზურგის არეში ქრონიკული ტკივილით იტანჯებოდა.

ბოლოს ექიმებმა მას ტუბერკულოზიც დაუდინეს. პაგანინის ბავშვობის დროინდელი კოშმარები ესიზმრებოდა — რომ მკაცრი მამა შშიერს კეტავდა სარდაფში და ვიოლინოზე დაკვრას საათობით აიძულებდა. ერთხელ კონადამ ცოცხლადაც დამარქეს, რადგან ამდენ წელებას ერთ გაუძლო და კატალეფსა (სხეულისა და მისი ცალკეული ნაწილების სრული ან ნაწილობრივი გაშეშება) დაემართა. საბედნიეროდ, პაგანინი გონის მოვიდა, როცა სასახლეში ჩაასვენეს...

— ვიოლინომ მთელი ჩემი ძალა წაიღო, — ამბობდა მაქსტრო. სხვადასხვა ავადმყოფობით გაწამებულს, 57 წლის ასაკში ხემის აღებაც კი უჭირდა. ვიოლინო იქვე იდო და პაგანინი მის სამებს თათებით ელაციცებოდა.

1840 წლის 27 მაისს ანტონია ბიანკას ფოსტალიონმა „მუსიკალური განეთის“ ახალი ნომერი მიუტანა. პირველ გვერდზე მან წაიკითხა:

„ნიცაში გარდაიცვალა ცნობილი მევიოლინე პაგანინი, რომელმაც საკუთარი სახელი და დიდი ქონება ერთადერთ, 14 წლის ვაჟს დაუტოვა. ვიმედოვნებთ, ამ ცნობას, როგორც ბევრ მის წინამორბედს, მალე უარყოფენ“.

ანტონია დაუყოვნებლივ გაემგზავრა ნიკაში. სასტუმროს წინ, სადაც მევიოლინე გარდაიცვალა, ბრძოლი შეკრულილიყო. ამბობდნენ, რომ გარდაცვლილი უწმინდურ სულს დაუკუშირდა, უარი თქვა შეიღის მონათვლაზე და მოკლა საკუთარი ცოლი, რათა მისი ვენები სიმებად გამოეყენებინა.

სიკვდილამდე მუსიკოსი ორჯერ მოინახულა მოძღვარმა. თავდაპირველად პაგანინიმ აღსარებაზე უარი თქვა, რადგან ეს ნაადრევად მიიჩნია. იმასაც ამბობდნენ, რომ მას ხმა წაერთვა და ამიტომაც ვერ თქვა ვერაფერი. ერთი კვირის შემდეგ კი ისე გარდაიცვალა შინაგანი სისხლჩაქვევთ, რომ სიტყვის დაძვრა ვერ მოახერხა. ეკლესიამ ქრისტიანულ ქვეშებში მის დაკრძალვაზე უარი თქვა, ნიცის ეპისკოპოსმა კი უარი განაცხადა სულის მოსახენიებელ მესახე.

— ის მონანიების გარეშე აღესრულა, ძალი. სად არის, გვაჩვენეთ ეს ურჩეული. ეს გვამი შეარცხენს ჩვენს ქალაქს! — ეკიროლნენ ქუჩებში.

აქილევსი ისე შეაშინა აღელვებულმა ბრბომ, რომ დილამდე თავს ურტყამადა კედელს. ანტონია დიდხანს ემუდარებოდა მოძღვარს, გარდაცვლილისთვის წესი აეგო. როცა ფანჯრებს ქვის სროლა დაუწყეს, იგი ბრბოსთან გავიდა:

— ჩუმად, ამაოდ დელავთ. როგორც ხელავთ, მე ცოცხალი ვარ. ჩემს გარდაცვლილ ქმარს ჩემი ვენებისგან სიმები არ გაუკეთებია. მხოლოდ ექიმების არასაგმარისი ყურადღების გამო ვერ შეძლო მან ეკლესიასთან შეერთება. გთხოვთ დაიშალოთ და მიცვალებულის სული არ შეაწუხოთ.

ნიკოლო პაგანინი საიდუმლოდ დაკრძალეს გენუასთან, ვალ პოლჩევერაში, მისი მამის სახლთან ქალაქებარეთ აქილევსმა მხოლოდ 19 წლის შემდეგ მიაღწია იმას, რომ მამის ნეშტი პარმის სასაფლაოზე გადასვენებინა....

იყო კიდევ ერთი ნაკლებად გახმაურებული ისტორია პაგანინის ცხოვრებაში.

1804-1812 წლებში ნიკოლო საფრანგეთის პრინცესასა და ტოსკანის ჰერცოგინიას, ნაპოლეონ ბონაპარტის უფროსი დის, ელიზას კარის მუსიკოსი და საყვარელი იყო. სწორედ მისი მიწვევით ჩაიდა ნიკოლო ფლორენციაში.

ნაწილობრივ ელიზას დამსახურებაა, რომ დაიწერა საყიოლიბი სინატა „ნაპოლეონი“. პაგანინის ბიოგრაფი წერს, რომ მუსიკოსის ურთიერთობამ ელიზასთან, მხოლოდ ოფიციალური ხასიათი როდი შეიძინა, პაგანინიმ შექმნა და მას მიუძღვნა „სასიყვარულო სცენა“, რომელიც სპეციალურად ორი სიმისთვის დაიწერა. ვიოლინოზე მისი დაკვრისას სხვა სიმებს სხნიდნენ. „გამოწვევა მივიღე და რამდენიმე კვირის შემდეგ დავწერე „ნაპოლეონი“. 25 აგვისტოს, სასახლის კონცერტზე მისი შესრულებისას წარმატებაში ვევლაზე დიდ მოღოლინაც კი გადაჭარბა“, — იგონებდა პაგანინი.

1808 წელს პაგანინი ტურინში შეხვდა იმპერატორის კიდევ ერთ დას, პაოლინას, რომლის უბალდო სილამაზის შესახებ მრავალი მოგონება არსებობს. მათ შორის სასიყვარულო ძაფები გაიაძა. შეხვედრიდან რამდენიმე დღეში მაესტრო მისი საყვარელი გახდა. ისინი განუყრელ წევილად იქცნენ. რა იზიდავდა ფრთხილ მევიოლინეს თვექარიან და მორალისგან თვის სუფალ ქალში, უცნობია. პაგანინის ამ კითხვაზე არასდროს არავისთვის გაუცია პასუხი. ის გულმოდგინედ ასაიდუმლოებდა პაოლინასთან შეხვედრის ვევლა დეტალს.

რომანი ხანმოკლე აღმოჩნდა. იმპერატორის თვექარიანმა დამ ფერმერთალი და ავადმყოფი მევიოლინე მალე მის საკუთარ მევობარში, კარის პოვტსა და კომპოზიტორ ფელიხიო ბლანჯინში გაცვალა. პაოლინაშ ის სასახლეში მიიწვია, თითქოსდა პირადი ორკესტრის დირიჟორად. თუმცა ვევლამ იცოდა, რომ სინამდევლეში მადამ ბორგეზეს ორგესტრი არ არსებობდა.

მოტყუებული პაგანინი ტოსკანაში დაბრუნდა. ყოფილმა საყვარელმა კი, რომელმაც დირიჟორიც ისევე მალე მიატოვა, როგორც

ცნობილი მევიოლინე, რომანი ახალგაზრდა მხატვართან გააბა.

პაოლინა ბორგეზეს ახლა იხსენებენ, როგორც დიდი ნაპოლეონის დას, ერთადერთ ადამიანს იმპერატორის სანათესავიდან, ვინც მას კუნძულ ელბაზე გადასახლებაში გაჰყვა. გადასახლებულ იმპერატორთან ცხოვრების ნება ხელისუფლებას მან თვად სთხოვა და საკუთარი დანაზოგიც ძმისთვის დახარჯა. ანუ იმშამინდელ ვეროპაში თვისუფალი მორალის მქონე ქალი ვევლაზე გაბედული, ძლიერი და თვეგანწირული აღმოჩნდა.

ნიკოლო პაგანინი კი ისტორიაში შევიდა, როგორც იტალიურ მუსიკაში რომანტიზმის ფუძემდებელი, შესანიშნავი ნაწარმოებების შემქმნელი ვიოლინოსა და გიტარისთვის. ამასთან, როგორც გენიალური მევიოლინე.

ხოლო მევიოლინისა და თვისის ეპოქის ულამაზესი და თვექარიანი ქალის სიყვარულის ისტორია ამოუცნობ საიდუმლოდ დარჩა, რომელზეც თვად შეყვარებულები დუშილ ამჯობინებდნენ.

**მოშადებულია LiveJournal-ის  
მასალების მიხედვით**



ნიკოლო პაგანინი

# სპარსთა კასუები იცდოებანს

## ნარდი

კომპიუტერული „იმპერიების“ ფინამორბედი  
შუა საუკუნეებიდან


ნარდის ისტორია, რომელიც მყვლევართა აზრით, ათასწლეულებს ითვლის, ზღაპრული, რომანტიკული და საიდუმლოების მოცულია. მაგალითად, მესოპოტამიის (ძლევანდული ერაყის) ტერიტორიაზე ნაპოენი კამათლები, რომლებსაც უძველესად მიიჩნევნ, საუციალისტოა შეფასებით, ხუთი ათასი წლის წინაძელია. ნარდის მსგავსი ძველევეგიაბტური თამაშისთვის საჭირო დაფა და ფიგურები ნაპოენია ტურანხამონის სამარხში, რაც ძვ.წ. XIV საუკუნეს მიეკუთვნება.

ეგვიპტელებისა და ერაყელთა გარდა, ნარდის გამომვინებლობას იჩემებენ არა მხოლოდ ინდოელები, ჩინელები, ირანელე-

ბი, თურქები და ბერძნები, არამედ შუა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ლამის ყველა ხალხი...

ტურანხამონის სამარხში აღმოჩენილი ძველებეგიაბტური თამაშის, სენტის კომპლექტი

დიდი ჰვიაბტელი დედოფალი ნეფერტარი სენეტს თამაშობს (ძვ.წ. 1295-1255)



## ეპიკური

დღახ, ყველაზე საკამაოო თამაშის დაბადების თარიღისა და ადგილმდებარეობის განსაზღვრაა. ვერსიათა უმრავლესობას ძველებულტურ სამაგიდო თამაშთან — სენეტთან მივყართ, რომლის შესახებაც უძველესი ცნობები მესამე დინასტიის პერიოდს (ძვ.წ. 2686-2613 წწ.) უკაშირდება.

ძველი გვიაპტელების ტრადიციის წყალობით, რომლებიც მიცვალებულებს იქმნებიან და ველა საჭირო ნივთს ატანდნენ, ჩვენამდე კარგად შენახულმა სათამაშო კომპლექტებმაც მოაღწია, ხოლო სამარხებსა და ბარელიეფებზე მრავლად გვხვდება სენეტის მოთამაშეთა გამოსახულებებიცა და თამაშის სცენებიც.

უნდა ითქვას, რომ სენეტი არ არის ნარდის წინაპარი. კველაფერს რომ თავი დაფანებოთ, ეს თამაში  $3X10-ზე$  დანაყოფებიან დაფაზე მიმდინარეობდა და არა —  $2X(6+6)$ . თანაც, გვიაპტური თამაშის წესებს ჩვენამდე არ მოუღწვია, ხოლო მისი რეკონსტრუქცია უფრო ფანტაზიის ნაყოფია.

სამაგიეროდ, უდავოა, რომ სენეტი კაცობრიობის ისტორიაში პირველი სამაგიდო თამაშია (ყოველ შემთხვევაში, ცნობილთაგან), სადაც კამათელი გამოიყენებოდა. სწორედ კამათელზე გამოსახული ნიშნების მიხედვით ხდებოდა დაფაზე ფიგურათა გადაადგილება და ნარდთანაც ეს აქვს საერთო.

## რომი

ნარდის მეტ-ნაკლებად სარწმუნო ისტორია რომის იმპერიის პერიოდიდან იწყება და ის თამაშ-ტაბულას (თამაშის პირველდელი სახელი — Ludus Duodecim Scriptorum) უკავშირდება. მის შესახებ ცნობები წერილობით წყაროებში ძვ.წ. V საუკუნის მასალებში გვხვდება, ხოლო სურათები — ძვ.წ. II საუკუნით დათარიღებულზე. აქ თამაშიცა და მოთამაშებიც მკაფიოდა წარმოდგენილი და ირკვევა, რომ ტაბულის დაფა სტრუქტურულად ზუსტად ემთხვევა თანამედროვე ნარდის დაფას და აქაც თოთოული მოთამაშის განკარგულებაში 15 ქვაა.

მთავარი განსხვავება კი ის არის, რომ რომაელები სამ კამათელს აგორებენ და არა ორს...

რომაულ წყაროებში მრავლად გვხვდება ცნობები ტაბულის შესახებ. მაგალითად, ვი-



პომპეის ფრესკებსა და მოზაიკებზე სამუდამოდ აღიბეჭდა რომის მოქალაქეთა ვრცება და აზარტი



ნარდის წინაპარ რომაულ თამაშ ტაბულას სამი კამათლით თამაშობდნენ

გებთ, რომ თავგადაკლული მოთამაშე ყოფილა ნერონი. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი მექვიდრე, იმპერატორი კლაუდიუსი, რომელიც არა მხოლოდ კამათლის დაფაზე გორგბის სიყვარულით გამოირჩეოდა; მან თამაშის შესახებ ტრაქტატიც დაწერა, სადაც მისი წესები და სტრატეგია ჩამოაყალიბა.

სამწუხაროდ, კლაუდიუსის ნაშრომსაც არ მოუღწვია ჩვენამდე. სამაგიეროდ, დროს გადაურჩა მისი ჩანაწერები (უბის წიგნაკის მსგავსი), სადაც აზარტული იმპერატორი საინტერესო პოზიციებსა და მათზე თავის კომენტარებს აღნუსხავს. მისი წყალობით,



ირანის შაპი ზოსრო I ანუშირვანი.  
ნადირობის სცენა



ნარდის გამომგონებელი, ბრძენი გაუურმიპრი

მკვლევრებს ამ უძველესი თამაშის წესებში გარკვევა აღარ გასჭირებიათ.

ერთ-ერთი ვერსიით, რომაელებმა ტაბულა ახლო აღმოსავლეთსაც გააცნეს, სადაც გვიანდელ ნარდად მისი ტრანსფორმირება თანდათანობით მოხდა (II-V საუკუნეები).

### სპარსეთი

ნარდთან მიმსგავსებული თამაში სპარსეთში ძვ.წ. III ათასწლეულშიც ჰქონიათ, თუმცა უფრო სიმბოლური და მისტიკური შენაარსით, ვიდრე გასართობი და მასზე აღარ შეეჩერდებით.

ამჟამინდელი სახით კი ნარდი სპარსეთში, სავარაუდოდ, VI საუკუნის შუა ხანებში, ხოსრო I ანუშირვანის (ირანის შაპი სასანიანთა დინასტიიდან, ქვეყანას მართავდა 531-579 წლებში) დროს განხდა. შემორჩენილია იმ პერიოდის ხელნაწერის ფრაგმენტი, რომლის ავტორად შაპის ვეზირი, ბრძენი და ასტროლოგი ვაჟურმიპრი სახელდება.

არსებობს თქმულება, რომლის თანახმად, შაპ ხოსროს ძლიერ უყვარდა ჭადრაკი, თუმცა მისი „ოსტატობა“, შეიძლება ითქვას, ვერ იყო მოწოდების სიმაღლეზე და ამის შესახებ კარგად იცოდნენ ჭადრაკის საშშობლო ინდოეთში, სადაც შაპის დასცინოდნენ. მეტიც, თურმე ციინიკოსი ინდოელები განგებ უგზავნიდნენ ხოლმე მეზობელს ძღვნად ჭადრაკის კრებულს, რასაც თან დიპლომატიური სარკაზმით გაჯერებულ წერილსაც აყოლებდნენ.

სპარსთა მეფის მოთმინების ფიალა ერთ დღესაც აიგვი. ხოსრომ ინდოელებზე შურისძიება გადაწყვიტა და უხმო ბრძენ ვაჟურმიპრს ახალი თამაშის შესაქმნელად...

და სულ მალე სპარსეთიდან ინდოეთში გაიგზავნა ძღვნი — ნარდის სათამაშო კომპლექტი და წერილი, სადაც დაახლოებით ასეთ რამ წერა: „შესაძლოა, მე მართლაც სუსტი მოჭადრაკე ვარ, მაგრამ იმდენი ჭკეუა აღმომაჩნდა, რომ ოქენებურ თამაშით გაერკვეულიყავი. აბა, ახლა ვნახოთ, ოქენე როგორ გაერკვევით ჩვენს ეროვნულ თამაშში!“

ლეგენდის თანახმად, ინდოელებმა ნარდის თამაშის საიდუმლოს ამოსახსნელად ტვინი მთელი თორმეტი წელი იჭყლიტეს... მაგრამ მაინც ამოხსნეს.

ასე იყო თუ ისე, ვაჟურმიპრმა ახალ თამაშს ნარდ-შირი (დაახლოებით, „ხის პოლიგონი“) უწოდა და ის სწორედაც რომ ამაყ მე-

უეთათვის საკადრისი თავშესაქცევი აღმოჩნდა. ჭადრაკისგან განსხვავებით, ვინაიდნ თამაშისას კამათული გამოიყენებოდა, გვირგვინოსნებს მარცხის შემთხვევაში თამამად შეეძლოთ, წარუმატებლობა კამათლის „უსინდოსობისთვის“ დაებრალებინათ.

გვურმინამდებრი თავის ჩანაწერებში ახალი თამაშის ეველა ასპექტი დაწვრილებით აღწერა და არც ის დაუმალავს, რომ მას საფუძვლად უკვე არსებული თამაში დაუდო (შესაძლოა ეს ზემოხსენებული რომაული ტაბულაც ყოფილიყო, ან მისი ნაირსახეობა), თუმცა მიუთითა, რომ სწორედ მან ამოხსნა უძველეს თამაშის ჩადებული და დაშიფრული სიძრონე.

სპარსები ბრძენდა დაფის სტრუქტურა და ქვების რაოდენობა მაშინდელ კალენდარსა და ასტრონომიულ სწავლებას დაუკავშირა, თუმცა დღეს ჩვენთვის გაცილებით სანოტერესო თამაშის დედაბზრია. ვაჟურმიპრის თქმით, ნარდის დაფა მიწას გამოსახავს, ქვები — ადამიანებს. მოთამაშები ორი დაპარისპირებული სახელმწიფოს მეფეები არიან, კამათლების შედევი კი განგების ნებაა. ამრიგად, ნარდის თამაშიც, როგორც ცხოვრებაში, მეფენი (მოთამაშები) მართავნ თავიანთ ხალხს (ქვებს), ოღონდ განგების ნებასთან შესაბამისობაში (კამათულზე გამოსახული შედეგებით).

თამაშის დასაწყისში დაფუზე ქვების მწრივებად განლაგება, ვაჟურმიპრის განმარტებით, ქვეყნის მოსახლეობის დიდსა და პატარა ქალაქებში განწილებას აღნიშნავს, თითოეული ქვის გადაადგილება კი იმ ადამიანის ცხოვრების გზას იმეორებს, რომელიც ქვეყნისა და მეფის სამსახურში მყოფა აგებს ქალაქებს, იცავს საშობლოს, ერმება სხვა ქვეყნის ხელმწიფეთა ჯარს...

ვაჟურმიპრი ადამიანისთვის სიცოცხლის იდეალურ დასასრულდა სიბერიისგან, საკუთარ კლდებში, მშვიდობიან გარემოში აღსასრულს მიიჩნევს და მისი განმარტებით, სწორედ ამას გამოსახავს ნარდის თამაშის ფინალურ ეტაპზე ქვების სათამაშო დაფიდან (საკუთარი „კარიდან“) გაყანა.

ამრიგად, ერთ-ერთი მოთამაშის გამარჯვება, რომელიც სრულად გაიყვანს ქვებს თავისი „კარიდან“, აღნიშნავს შემდეგს: მეფე წარმატებულია და ქვეყანას მაშინ მართავს სწორად, თუკი ადამიანები თავიანთ ცხოვრების გზას, ბუნებრივი ფაქტორებისა და მტრული სახელმწიფოების ზემოქმედების გარეშე,



ნარდის მსგავსი თამაში იაპონელებსაც ჰქონდათ და მას სუბოროკუ ჰქვია

ნარდის თამაში. XIV საუკუნის მანუსკრიპტი





რიჩარდ ლომბული და ფილიპ აუგუსტუსი ბეჭრს კცადნენ, მაგრამ ჯვაროსანთა შორის ნარდი კერ აღმოფხვდეს

შეიძლად გაიყლიან და იმქევენად „საკუთარი კედლებიდან“ გაემგზავრებიან.


სკარსეთში VI საუკუნეში დაბადებული თამაში მაღავე გავრცელდა მის საზღვრებს გარეთ. თავისთავად, ნარდის პოპულარობა თამაშის წესების სიმარტივემ, ინგენტარის უბრალოებამ და გამორჩეულმა აზარტულობამ განაპირობა.

### შუა საუკუნეები

აღმოსავლეთიდან კეროპაში ნარდის გავრცელება ჯვაროსნულ ლაშქრობებს უკავშირდება. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ქრისტიანობის ჯვრითა და მახვილით გამავრცელებლები „უსჯულოთა“ გასართობებს ისევე მტრობდნენ, როგორც თავად „უსჯულოებს“.

ნარდის უამრავ სათამაშო კერსიათა შორის, „შეიძეგაცა ნარდიც“ არსებობდა

ნარდის თამაშით, რომელსაც კეროპელებმა თავდაპირებულად „ტრიკ-ტრაკ“ შეაწევეს, მანდილოსნებიც იქცვდნენ თავს



ამ მხრივ საყურადღებოა ერთი, იმ ეპოქის, 1190 წლით დათარიღებული დოკუმენტი — ინგლისის მეფე რიჩარდ I ლომგულისა (1157-1199) და ფრანგთა მეფე ფილიპ II აუგუსტუსის (1165-1223) ბრძანებულება. ცნობასთვის, ისინი III ჯვაროსნულ ლაშქრობაში (1189-1192 წლები) მხარედამხარ მიუძღვიდნენ ჯარს.

დოკუმენტის პირველი ნაწილი აზარტულ თამაშობათა (მათ შორის, ჭადრაკისა და ნარდის) და მათი „უწმინდურობის“ აღწერას ეძღვნება. როგორც ჩანს, ამ ბატონებს ჰყოფნიდათ იმდენი ჭყავა, რომ თავიანთ მებრძოლებში აზარტულ თამაშობათა სრულებით აკრძალვა წყლის ნაყავი იქნებოდა და ამიტომ ერთგვარი რეგულაციები შემოიღეს.


ბრძანებულების თანახმად, ფულზე თამაში ეკრძალებოდა ყველა მდაბიოს, კანონის დამრღვვეს კი საკვდილით დასჯა ემუქრებოდა. აკრძალვა არ ვრცელდებოდა დიდებულებსა და რაინდებზე, ოღონდ იმ პირობით, თუ დღეში ას გირგნებზე მეტს არ წააგებდნენ. შთამბეჭდავი იყო ამ პუნქტის დამრღვვეთათვის დადგენილი სასჯელი. დამნაშავეს ეკლესიის სასარგებლოდ ჯარიმის გადახდის გარდა, ხალხმრავალ ადგილზე შიშვლად რამდენიმე საათით დგომა მოუწევდა — ეს კი დიდებულებისა თუ რაინდისთვის, ალბათ, სწორედაც რომ თავის მოჭრა უნდა ყოფილიყო.

ამავე ბრძანებულების მესამე პუნქტის თანახმად, ფულზე თამაში ყოვლგვარი შეზღუდვის გარეშე შეეძლოთ სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს — ანუ თუად დოკუმენტის აუტორებს.

და კიდევ, სანამ რიჩარდი „საღვთო ომში“ მახვილს იქნებდა, ინგლისში მყოფი მისი ძმა, ინგლისის მომავალი შეფე ჯონ უმიწვევლო, ნარდის დაფზე კამათლის გორებით იქცევდა თავს. არსებობს მისივე ჩანაწერები, სადაც იგი მოგებულ და წაგებულ თანხებს აღრიცხავდა. მართალია, თანხის თღენობა დღეში რამდენიმე გირგანქას არ აღემატებოდა და პრინცს სათამაში მანიაკობას ვერ დავწამებთ, სამაგიეროდ, შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ იმ დროისთვის ნარდი ინგლისის სამეფო კარზე უკვე საკმაოდ პოპულარული იყო.

## ახალი დოკუმება

მას შემდეგ, რაც ნარდი ვეროპაში შევიდა, სხვადასხვა ქვეყანაში თამაში განსხვავებულად განვითარდა და წესების ნაციონალური ვარი-



„თამაშების  
მამამ“,  
ინგლისელმა  
ედმონდ  
პოიომბა  
ძველი  
სპარსული  
თამაშის  
საფუძველზე  
თანამედროვე  
ნარდის  
(Backgammon)  
წესები  
ჩამოაყალიბა და  
1743 წელს წიგნად  
გამოსცა

## A SHORT TREATISE On the GAME of *Back-Gammon.*

### CONTAINING:

A TABLE of the thirty-six Chances, with Directions how to find out who is forward-left to win a Hit.	How to know when to hit upon single, or double Dice.
Rules whereby a Beginner may, after Attentive to them, attain plain Play. It well.	Cafes stated for Back-Games, with Directions how to play for one.
The several Stages for carrying your Men home, in order to lose no Point.	Cafes stated, how to know when you may have the better of Faving Gammon by running.
	Variety of Cafes of Curiosity and Instruction.
	The Laws of the Game.


By EDMOND HOYLE, Gent.



D U B L I N:  
Printed for GEORGE and ALEXANDER EWING,  
at the Angel and Bible in Dame-Street.  
M DCC LIII.

ნარდის მსგავსი ეროვნული თამაში ისლანდიულებსაც აქვთ (Ad Elta Stelpur — „ქალაშვილის დევნა“)





ბევრ ქვეყნაში, შეძლებულ პერსონათა სამებლად, ოსტატები ნარდს ისე ქნიდნენ, როგორც ხელოუნების ნიმუშებს

აციები შეიქმნა. ერთიანი წესების არარსებობა კი, რა თქმა უნდა, პრობლემებს ქმნიდა.

ვითარება 1743 წლის შემდეგ შეიცავლა. „თამაშების მამის“ სახელით ცნობილმა ინგლისელმა ედმონდ ჰოილმა გამოსცა ნარდი-სადმი მიძღვნილი წიგნი. მასში აეტორმა თამაშის ისტორია, წესები (იმ დროისთვის არსებული გარიაციებით), ძირითად ტაქტიკური პრინციპები აღწერა და წარმოადგინა თამაშის („მოკლე ნარდი“, ინგლ. Back-gammon) ერთიანი წესების მისეული ხედვაც.

ერთი სიტყვით, პრილმა ძევლი სპარსულის საფუძველზე, თანამედროვე ნარდის წესი ჩამოაყალიბა. „წიგნი ნარდზე“ „სწრაფად გაურცელდა, გახდა ინტერნაციონალური და მოთამაშებს ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა გაუადვილდათ. საჭირო იყო მხოლოდ თამაშის წინ შეთანხმება — „ვთამაშობთ პრილის წესებით“!

### უახლესი ისტორია

XIX საუკუნიდან მოყოლებული, მიმდინარეობდა ნარდის თამაშის ტრანსფორმირება აზარტულიდან ინტელექტუალურისკენ, რაც ორ მიზანს ემსახურებოდა: პირველი — თამაში უფრო სტრატეგიული გამხდარიყო, საბაზო წესების გათვალისწინებით და მეორე — შეძლების დაგვარად, მინმუმამდე დასულიყო გამართლების, იღბლის ფაქტორი და წინაპლანზე ოსტატობა და ცოდნა წამოწეულიყო.

XX საუკუნის დასწყისისთვის ნარდის უამრავი სათამაშო კლუბი არსებობდა. თითოეული მათგანი ამ ამოცანების გადაწყვეტას თავისებურად ცდილობდა. შედეგი კი ის იყო, რომ საკლუბო ტურნირებზე საკმაო დროს ანდომებდნენ ჯერ წესების შეთანხმებას, შემდეგ კი მოთამაშეთათვის მათ გაცნობას.

პრობლემა 1931 წელს გადაიჭრა, როცა აშშ-ში ნარდის ერთიანი, ინტერნაციონალური სატურნირი წესების დასადგენად კონფერენცია გამართა. მასში პროფესონალ მოთამაშებთან ერთად, კლუბების მეპატრონენიც მონაწილეობდნენ. მართლაც, ხანგრძლივი სჯაბაასისა და განხილვის შემდეგ, ნარდის თამაშმა დღევანდელი სახე მიიღო. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ ნარდის წესებში ცვლილებები აღარ შესულა... 1967 წლიდან ნარდში მსოფლიოს ჩემპიონატები იმართება.


**გელა უშანიപა**



# ზურა ყიფშიძე

ნაკლები — თვალნათლივ  
და მეტი — დაფარულად...

დრო საშინლად არის აჩქარუბული.  
კომპიუტერმა ლამის ყველაფერი  
შთანთქას. საინტერესო კირტუალურ  
სფრულები ეყვლა ერთიანად გადავეშვით...  
მისი ოჯახის წევრები რიგრიგობით  
უსხედან კომპიუტერს... ის კი თითქოს  
განზრახ, ალღოს არ უდებს  
კაცობრიობის დიდ მიღწევას და  
ძელებურად წიგნით ხელში ურჩევნია,  
უკიდეგანო წარმოსახვებს შეუერთდეს.  
მსახიობი რომ არ ყოფილიყო, შეიძლება  
თავადაც მოეკიდა კალმისთვის ხელი.  
არაჩეულებრივად გამოუვიდოდა...  
ლიტერატურას ხომ სულიერება და  
სამყაროსადმი განსაკუთრებული  
დამოკიდებულება ქმნის. მას ეს ორივე  
ბუნებითად მოსდგამს.  
სწორედ იმიტომ, რომ დიდი კულტურის  
ნაწილია და ეს კულტურა წინა პლანზე  
გამოტანილი, ყოველთვის  
განსაკუთრებული იყო, არის და იქნება...  
ამას ემატება უსაზღვრო ნიჭიერება და  
არტისტიზმი და თქვენ წინაშეა ზურა  
ყიფშიძე — ქართული თეატრისა და  
კინოს ნამდვილი გარსკევლავი...



მაყურებელს უყვარს ზურა ყიფშიძე და  
ისიც იცის, რომ ზურას რეჟისორი ჯერ არ გა-  
მოჩენილა... მისი უსაზღვრო ნიჭიერება ჯერ  
არავის გამოუყენებია სათანადოდ... ამიტომაც  
არის როგორც აისბერგი, ნაკლები — თვალ-  
ნათლივ და მეტი — დაფარულად.

ზურა ყიფშიძე ცნობილი მოღვაწეების —  
გრიგოლ, ალექსანდრე, ილია და ზაქარია ყიფ-  
შიძეების ჩამომაყალიბა.

გრიგოლ (გიგა) ყიფშიძე მისი პაპა იყო.  
თანამედროვეები მას ილია ჭავჭავაძის ბიოგ-  
რაფად მოიხსენიებდნენ. თანამედროვეების  
გარდა, ილია მეგობრობდა გიგასთან და რო-  
გორც საკუთარ თავს, ისე ენდობოდა. ილიას  
გარდაცვალებიდან ზურა წლის შემდეგ გრი-

გოლ ყიფშიძემ მისი ბიოგრაფია დაწერა,  
რომლის წინასიტყვაობაში შემდეგ სიტყვებს  
ამოიკითხავთ: „ილია ჭავჭავაძის ცხოვრები-  
სა და მოღვაწეობის აღწერა, მისის სულის  
ფისიოლოგიის ცხად-ყოფა, ზედ მიწვნილი  
დახასიათება და დაფასება ილიასი — და მე-  
რე ისიც ასე ადრე, ასე მაღლე, სულ რაღაც  
ზურას წლის შემდეგ მის მოწამებრივის სიკვ-  
დილისა, ყოვლად მნელი ტვირთია, დააღ მმი-  
მე და პასუხსაგებელი საქმეა. ცხოვლად უნ-  
და გავითვალისწინოთ მისი დიდი ბუნება, მი-  
სი ღრმა სულის-კვეთება და გადავშალოთ მი-  
უქრძეველად, თავ-დაჭრით და გულ-დამჭ-  
ვიდებით დიდი სურათი ჩვენი ბედშაბისა და  
ქონდრის-კაცობისა, ჩვენის შავ-უკურმა დატ-



დედასთან ერთად



კალი მხატვრული ფილმიდან „მაცი ზეიტია“ (1966)  
„როცა აფაფუდა ნუში“ (1972)



რიალუბულის ბედის ჩარხის მთელის საუკუნის განმავლობაში, დიდი სურათი იმ ტრაგედიისა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი გმირი იყო ჩვენის ხელითვე ისე უღვთოდ, ვერაგულად გულ-განგმირული დიდებს საქართველოსი, მისი დიდი მესაიდუმლე, მისი დიდი გულთამბილავი. აი, ეს არის ჩვენთვის მნელი; ეს არის მნელი მეტადრე ჩვენისთანა სუსტის ძალ-ღონის პატრონისათვის, იმ დიდის კაცის მცირე თანამემამულესი და თანამოსაგრესათვის“. მართლაც მნელი იყო იმ დროს ილიაზე წერა, მნელი და არცოუ უხითათო, მაგრამ გრიგოლ ყიფშიძემ უღრმეს პატივად მიიჩნა ეს საქმე და დიდი სამსახური გაუწია ქართველ ერს, ილას ჭირისუფლებსა და თავკანისმცემლებს.

ეს მცირე ექსპურსი წარსულში იმიტომ დაგვჭირდა, რომ შესნიშნავი მსახიობის — ზურა ყიფშიძის ფესვებზე მოგითხროთ... რადგან სწორედ ეს ქმნის მას, როგორც ხელოვანს. ფესვების მბატრი განცდა და დიდ კულტურასთან თანაზიარობა ზურაბ ყიფშიძეს თითქოს ზედაპირზე არასოდეს ამოუტანია, მაგრამ ის ყოველთვის ცოცხლობდა მისი პიროვნების სიღრმეში...

ცხოვრებამ არაერთი დრამატული ეპიზოდით გაამდიდრა მისი ბიოგრაფია, თუმცა მთავარი ვერაფერმა წაშალა... ზურა ყიფშიძის ცხოვრება ამისი დასტურია.

— პლეზანოვის 71-ში ვცხოვრობდით. ჩვენი სახლის გვერდზე გორკის კლუბი იყო. მახსოვეს საშინელი სიზმარი: შევდიოდი პარკში დამით. მივდიოდი შენობისგნ. მხოლოდ მიწისპირა ფანჯრიდან გამოდიოდა სინათლე. მასსოვს ის გრძნობა, როგორი წაელებით მივდიოდი ამ სიშაფეში ფნგვარასთან, გაღებდი და უნდა დამენახა, რა იყო იქ... შეშინებულ გიჟივით მეღვიძებოდა...

ადრეული ბავშვობიდან კიდევ რამდენიმე ფრაგმენტი მასსოვს... ხუთი წლის ვიყავი, ბაბუა რომ მოიყვანეს საავადმყოფოდან. გამაფრთხილა ბებიამ, მოსვენება უნდა, არ შეაწუხოო. მე მაინც არ ვასვენებდი და როგორც ვევავდი მიჩვეული, ვთხოვდი, მეფარიკავე-მეთქი... ისიც გულს არ შეყვეტდა და ბამბუკის ჯონით მეფარიკავებოდა...

როგორც სურათი, ისე მაქს ჩარჩენილი მქსიერებაში ბიძის დაბრუნება გადასახლებიდან. ბიძაჩემი სევასტოპოლის მთაგარი არ-

ქიტექტორი იყო. 24 წლის ბიჭი პოლიტიკურ-ზე დაიჭირეს. ჭაბუა ამირეჯიბთან ერთად იხ-დიდა სასჯელს. თვალწინ მიდგას, გადასახლე-ბიდან რომ ჩამოვიდა, ნაგაზი მოჰყავდა, შლა-პა ქურა. ცისფერი თვალები და რომაული ცხვირი ჰქონდა.

პლეხანოვიდან რომ გადავდით საბურთა-ლოზე, ჩვენს იქით აღარაუერი იყო — იპოდ-რომი და ცარიელი სივრცე... იქ დავდიოდ და ამან განაპირობა ცხებებისადმი ჩემი ასეთი სიყ-ვარული. 12 წლისამ მესამე თანრიგი აფილე ცხენოსნობაში. იქიდან ამირჩიეს ფილმ „მაცი ხვიტაში“ გადასაღებადაც. 12 წლისას ხელ-ში იარაღი მომცეს, ჩიხა ჩამაცეს და ცხენზე დამსვევს... სამი თვე სვანეთში ვიყვაი, ორი თვე — აფხაზეთში. ეს იყო ჩემი ცხოვრების სასწა-ული. სკოლაში ცნობა მივიტანე, რომ ფილმ-ში გადაღების გამო თმას არ შევიჭრიდი... დავ-დიოდი ბედნიერი.

ბებია რომ გარდაიცვალა, თბილისში არ ვიყვაი. დებეშა კი გამოგზავნეს, მაგრამ და-მიმალეს ეს ამბავი. რომ ჩამოვედი, დეიდები დამხვდნენ. მახსოვს, ტროლეიბუსით მოვლი-ოდით ვაგზლიდან და მე თვალს ვარიდებდი, „ნივიუს“ ვაკეთებდი, არ მინდოდა, დამენა-ხა, რომ შავები ეცვათ... ბებიაზე ახლობელი არავინ მყოლია. რამდენი წელი გავიდა და ახ-ლაც ასევე ვფიქრობ.

საერთოდ ხიტათიანი ვიყვაი... ერთხელ მი-ნას ფეხი მიგარტყი, აქილევსის მყესი გადა-მეჭრა. ედიშერ მაღალაშვილმა წამიყვანა სა-აგადმყოფოში და გადმარჩინა. ორი წელი ხე-იბარი ვიყვაი, ფეხი მიხმებოდა, ძლიერ გადა-მირჩა...

იცი, როგორი ბავშვი ვიყვაი? — „იაზეა“. მოტყუებით კი არავინ მომიტყუებია... მაგრამ შეწუხული მყვავდა მაღალაშვილების ოჯა-ხი. ედიშერის წყალობით ხომ გადავრჩი, მე კიდევ მის გოგლიკას ყურში გატეხილი ბოთ-ლი მოვარტყი, მიშკას შურდულით ქვა ვესრო-ლე თავში... არ ვიღლებოდი, შემძლო, სულ მერბინა... სიგარტეის ძრწევა რომ არ დამტკი, ახლა სპორტშენი ვიქნებოდი.

მამიძა დეიდებმა გამიწიეს, მგონი, მაგი-ტომაც არ გათხოვდნენ... ერთხნის ქეიფს გა-დავყევი. ერთადერთი, რასაც მაინც ვაკეთებ-დი, ვკითხულობდი. მომიტანეს ჯეკ ლონდო-ნის წიგნი, — როგორ დაღუპა ვისკიმ ვიდაც ჯონი... ერთი ამბავი აუტექე, ეს რა წიგნი შე-



მაჟილ თუმანიშვილი და კინომსახიობთა თუატრი

აზანდილ კერულევიშვილი





ზურაბ ყიფშიძე  
და ამირან  
ამირანშვილი,  
კინოშსახიობთა  
თეატრის  
სპექტაკლ  
„ღონ ჟუანშა“



„ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ (1984)



„ბრავო ალბერ ლოლიშ!“ (1987)

მომატყუეთ-მეთქი... ამაზეც უნდა იფიქროო, — დეიდებმა. სხვანაირად ვიფიქრებ-მეთქი, და-ვიწყე ცურვაზე სიარული და გამოვძვრი იმ მდგომარეობიდან.

სერგეი გერასიმოვი მასწავლიდა... ახლა რომ მყავდეს, უკეთესი იქნებოდა, მაშინ ახალ-გაზრდა ვიყავი და ვერ ვხედებოდი. თუ იტან-და ჩემს ცელქობას გერასიმოვი? ცელქობასაც იტანდა და მეტსაც... მაგრამ მკაცრიც იყო... რატომ დაარქვეს ვგი კ-ს მისი სახელი? ძალი-ან დიდ დროს უთმობდა მოწაფებს, როგორ იღებდა ფილმებს, კაცმა არ იცის. არავის მი-ატოვებდა თავისი მოწაფეებიდან, ყველას უპატრონებდა. დაბალი კაცი იყო და მე ყო-ველოგის მაღალი მეგონა.

მოსკოვში ვიყავი, როცა თბილისიდან მო-ვიდა შეტყობინება, ყიფშიძე ჯარში რატომ არ მიდის, მოგვწოდეთ პასუხიო. ყველანაირად ცდილობდა გერასიმოვი, მოეგვარებინა ეს პრობლემა, მერე მმები — განერალი ფიფიები ჩაერთნენ ამ ამბავში... მაინც საჭირო იყო ცნო-ბა თბილისიდან... დეიდები წავიდნენ და რა-დაც ცნობა გამომიტანეს ფსიქიატრიული სა-ავადმყოფოდან. ახლა ფსიქიატრიულში და-წოლა გახდა საჭირო და მეც დაგწევი. იქ წა-ვიკითხე მარქსის „კაპიტალი“ და ორტომია-ნი დასერტაცია, რომელიც ერთ-ერთ პაცი-ენტს დაქირა...

ფსიქიატრიულში ყოფნისას ვფიქრობდი, თავი რომ არ გავცე, გიჟობანა უნდა ვითამაშო-მეთქი. არ დამჭირვებია... ის კი არა, მე-უბნებოდნენ, ისეთი ნერვიული ხარ, რომ შეიძლება სპექტაკლის დროს კვილი დაიწყო. იქეთ მამართლებინებდნენ თავს... საოცარი ამბები მაქვს ნანახი...

ჰო, კიდევ, ვუკრავდი... „ბარაბანშჩიკი“ ვიყავი, თითქმის პროფესიონალი... ნუგზარ კვაშალი ხომ მართლა პროფესიონალი გახდა, ჩვენთან ერთად უკრავდა გია ეძგვერა-ძეც (მხატვარი), მამუკა ღუმბაძე... „ჯეჯალი“ გვერქვა. გენიალური დრო იყო... მე და ნუგზარი ორი-სამი თვე საერთაშორისო ბანაკ „სპუტნიკში“ „ტანცპლაშადგაზე“ ვუკრავდით. ანაზღაურების სახით უფასო საცხოვრებელი და კეგბა გვქონდა. კარგი ცხოვრება იყო, მაგრამ წამოსვლამ მომიწია, „წუთისოფელში“ გადასალებად დამიძახეს. 1969-70 წლები იდგა. მაშინ მოელ რეგიონში ქოლერა იყო და ცარიელი მატარებლით მოვდიოდით.

თვითმფრინავის ბიჭებთან თუ ვმეობრობდი? თუმო ჩიხლაძე ჩემი „გურუ“ იყო... ერთხელ დამირეკა, გრიბოედოვის ძეგლთან მოდიო. მე, ნუგზარი, გია და მამუკა მოვედით. თემური წვერმოშვებული, გახეხილ ჯინსში გამოწყობილი იჯდა ძეგლთან. დიდხანს შევრჩით საუბარში... და დაგვიჭირეს. ჰიპები ხართო. კომუნისტების აზრით, რაკი თემურს ჯინსი ეცვა და წვერი პქონდა, დამნაშავე უნდა ყოფილიყო. მერე მღვდელი გახდა თემური.

თვითმფრინავის ამბავი ვერ გაფიგე, დავით-გარეჯაში ვიყავი... დეილებს ერონათ, მეც იმ თვითმფრინავში ვიჯექი, რაკი გეგაც იქ იყო, ის ხომ ჩემი უახლოესი მეგობარი გახლდათ. დიდი ტრაგედია დატრიალდა! მათ დაღუპვას დღვმდევ ვერ ვინელება...

დედა ყოველთვის მენატრებოდა, მაშინაც, როცა გასტროლებზე მიდიოდა, მაშინაც, როცა გავიზარდე და მე მოვდიოდი თბილისიდან და ახლაც... ძალიან გულუბრყვილო და სუფთა ქალი იყო, მიუწედავად თავისი გიური ცხოვრებისა... 25 წელიწადს არ დაუსვენია. 15 წლის ვიყავი, რომ გავიგე, ფთო ვერულე-იშვილი ყოფილა მამაჩემი. რომ შეეხდი, ცოტა დაბნეული იყო... თან უხერხულობას ვგრძნობდი, თან აღტაცებას. მოკლედ, დავძმაკაცდით. მამას სულ უნდოდა, რაღაც კარ-



ფოტო  
შურნალ  
„სოცეტსკი“  
ექრანის  
გარეგანშე  
№21,  
1982 წ.



„არგონავტები“ (1986)




„ცოდვის შვილები“ (1989)

გი გაეკეთებინა ჩემთვის. ერთხელ, ზაფხულში, ადმინისტრატორად წამომყვა „ხალტურაზე“... როცელი რაღაც მქონდა — დიალოგი მაყურებელთან. სამ საათს ვიდექი სცენაზე, ორჯერ ვიცვლიდი პერანგს, ისე ვსველ-დებოდი. პირველი გამოსვლა ხუთ საათამდე გაგრძელდა... მონოლოგებს ვკითხულობდი სპექტაკლებიდან, პაროდიებს ვაკითებდი ვასო გოძიაშვილზე.

მაშინ რომ ფული ვიშოვე, მაგდენი არა-სოდეს მიშოვა. მამაჩემს უნდოდა, მე მეტი ამე-ლო, თვითონ — ნაკლები. ამაზე ავაფრინე და ჩაიშალა ეგ ამბავი, — გიჟია და რა ვუყოო, — ამბობდა ჩემზე.

თუატრში ვიზრდებოდი. ვუყურებდი სესი-ლიას, ვერიკოს, მერი და ვითაშვილს, ალე ომი-

„ვერ ვიტევი, რომ ჭკვიანურად ვიცხოვრუ...“



აძეს, იაშა ტრიპოლსკის, ტარიელ საყვარელი-ძეს... ვერიკოზე ვგაუდებოდი... სოფიკო კი სე-რიოზულად მიყვარდა. მასსოვს, დედაჩემი და სოფიკო რომ დასხედებოდნენ და ამბობდნენ: რა ვუყოთ ამ ბიჭს, რა ვქნათო... მინდოდა, თუნ-გიზ არჩვაძეს დავმსგავსებოდი. აკაკი კვანტა-ლიანზე ვგიდებოდი. ძალიან პატარა ვიყავი, ბაბუა რომ გარდამეცვალა, ბებიას თურმე ვთხოვდი: ვიყიდოთ რა კანტალიანი-მეოქი. როგორ ვიყიდოთ, აი, ჩვენთან რომ იყოს, სახლში-მეტეი.

პროფესიაზე რა გითხრათ... თეატრში დე-მოკრატია არ გამოდის, — ხელმძღვანელი უნ-და გყავდეს და გსიამოვნებს კიდეც დიქტატუ-რა. მიხეილ თუმანიშვილი რომ გვყავდა, გი-უებივით ვუყურებდით, გვჯეროდა და გვწმ-და მისი...

მერე იზრდები, მიშაც აღარ არის და ხვდე-ბი, რომ ბევრი რამ არ იცი... ხეზე ასვლა იცი, მაგრამ ჩამოსვლა რომ არ გისწავლია?! მსა-ხიობობა ძალიან დამოკიდებული პროფესიაა, ინსტრუმენტი ხარ ნიჭიერი კაცის ხელში. უნ-და გყავდეს ვიღაც, ვისიც გჯერა და ვისაც გაპ-ვება.

ფორმას მუდმივად თუ ვინარჩუნებ?... სა-ბარგულში სულ მეწყო ჩემა და გალივე, კვი-რაში სამჯერ თითო საათით მაინც ვახერხებ-და დიღომში მისვლასა და ჯირითს. ამიტო-მაც სულ ფორმაში ვიყავი...

მახსოვს, ფარაჯანოვი რომ მიღებდა „სუ-რამის ციხეში“, დავითგარეჯაში ვიყავით. თბი-ლისში სპექტაკლს ვთამაშობდი, მერე კი ისევ გარეჯაში მივდიოდი მანქანით. ორ-სამ საათ-ში იქ ვიყავი... ჯგუფისგან მოშორებით მიყ-ვარდა ცხენზე შემომჯდარს სიარული. რამ-დენჯერმე გამაფრთხილეს, მგლებმა იციან შემოსვა, მარტო არ წახვიდეო...

შიში არ მქონდა? ჰო, მაშინ შიშზე არც ვფიქრობდი, ახლა კი ყველაფრის მეშინია: სულ ვფიქრობ, ჩემ ირგვლივ სხვას არაფერი მოყვადეს.

ვერ ვიტევი, რომ ჭკვიანურად ვიცხოვრუ...

24 წლის ვიყავი, პირველი შეინილი რომ შე-მებინა. მაშინ ჯერ კიდევ მხოლოდ რომანტი-კული განცდა მქონდა მამობისა და პასუხის-მგებლობაზე ნაკლებად ვფიქრობდი... ახლა შეინიშვილები მყავს. კარგები არიან, მაგრამ ბევრ საფიქრალს მიჩნენ...

**ლელა პირავალი**

# რა რელიგიია ინახება კაკულიების ოჯახში?

— სკოლაში ისტორიის მასწავლებლის ფურცელი ვიდავი. საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიას სხვადასხვა პედაგოგი მასწავლიდა და ორივეს ძალიან ვუყვარდი, — ასე წარუდგინა თვე ურნალ „ისტორიანს“ სანდრო კაკულიაშ. იგი პროფესიით ოურისტია, მაგრამ საზოგადოებმ გაიცნო, როგორც მსახიობი (სანდრო ბოლო დროს პოპულარული სატელევიზიო სერიალის, „ჩემი ცოლის დაქალების“ ასევე პოპულარული პერსონაჟია, — სანდრუქსა). მართალია, გადასაღებ მოედანზე დიდ დროს ატარებს, მაგრამ თან კარგ საქმებს ასწრებს. წერს პიესებს და ლეიკებით დააგადებული ბავშვებისთვის ქველმოქმედებას მისდევს. ამ მიმართულებით უფრო დიდი გამოქვები აქვს.

## სადრო კაკულია:

ერეკლე მეტის შთამომავლი 35-ი..

— გამორჩეულად მიყვარს შემეცნებითი ლიტერატურა და ამ თემატიკის ტელეგადაცემები. ყველაზე ხშირად ცნობილთა ბიოგრაფიებსა და ენციკლოპედიებს ვკითხულობ. წლების წინ პირამიდებითა და გევიპტით ვიყვარ გატაცებული. პიესების წერისას პარალელი წარსულთან ხშირად გამივლია. გაოცებული ვარ, ისტორია როგორ მეორდება.

— გამორჩეულად რომელი ისტორიაული გმირი გიყვარს?

— არ ვიცი, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებულად, მაგრამ ერეკლე II გამორჩეულად მიყვარს. მე მისი შთამომავალი ვარ.

— ეს არ ვიცოდი...

— დედის მხრიდან მერვე თაობა გამოვდივარ. გაპირებ, ამ ამბავს ჩავულომავდე. ძალიან მინდა გენეალოგია (არა მხოლოდ საკუთარი) კარგად ვიცოდე. დედის მხრიდან რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, ნიკოლოზის შთამომავალიც ვარ. ბებიაჩემის ბიძასა და მის მმას



რუსეთში მაღალი თანამდებობები ეკავათ გადმოცემით ვიცი, რომ ბებიაჩემის ბაბუას ხელოთ თბილისის გასაღები ეპყრა. სახლში ნიკოლოზის ნაჩუქარი ვერცხლის დანა-ჩანგლის ნაკრები გვაქვს.

— ახალგაზრდებში პოპულარობით სარგებლობა. რას ეტევი მათ, საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიოს ისტორია რატომ უნდა ისწავლონ?

— ისტორიის ცოდნა მხილოდ ის არ არის, როდის გამეცვალი აღმაშენებელი ან ვინ ააშენა ბაგრატის ტაძარი. წარსულის ცოდნა პირველ რიგში იმიტომა საჭირო, რომ წინაპართა გამოცდილება გამოიყენო, შეცდომები გაითვალისწინო და მომავლის ასაშენებლად განეწყო.

— დროა, კითხვარზე გადავიდეთ.

— რა დაგიძლო და ვღელავ (იცინის). პასუხები რომ არ ვიცოდე, ყველაზე მეტად ჩემი სიმამრის, ისტორიკოს ზაზა აბაშიძისა შემცრცვება.

— 1770 წელს, ერეკლე მეფე რუს ჯარ-



თან ერთად აწეურის ციხეს ალფა შემთარტყა, მაგრამ უცცრად რუსებმა უკან დაიზიეს და ბრძოლის ველზე ერეკლე მარტო დარჩა. ვინ სარდლობდა რუსების ჯარს?

— გენერალი ტოტლებერი.

— რა სახელწოდებითაა ცონბილი ინგლი-სელ ფეოდალთა შორის 1469-1485 წლებში ატე-ხილი ბრძოლა? შეგახსენებ, ლანკასტრთა დი-ნასტიის გერბზე წითელი ყვავილი იყო გამო-სახელი, ხოლო ორკელებისაზე — თეთრი.

— ვარდების ოომ, სწორად მახსოვეს?

— დიახ. 1922-1924 წლებში პარტიზანულ ბრძოლას საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ვინ ხელმძღვანელობდა?

— გაფიცულთა რაზმს რომ ედგა სათვეში?

— დიახ.

— ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ის ჩემი დიდი ბე-ბიისა და ბაბუის მეჯვარე იყო. მათ დიმიტრი და ნინა ერჯვათ, დაქორწინება რომ გადაუწყ-ვიტათ, იმ პერიოდში ქაქუცა ჩოლოყაშვილი ტყეში ყოფილა გახიზნული. ნინა და დიმიტრი ჯვრის დასაწერად ეკლესიაში მისულან, უც-ბად ცხენის ფლოეტების ხმა გაისმა და ქაქუცა გამოჩნდათ. არ ვიცი, ეს ამბავი როგორ გაი-გო. ჯვარი სოფელ ზვარეში დაუწერიათ. ქაქუ-ცა შეიდართან ერთად მისულა, ჯვრის-წერის დასწრებია და ისევ ტყეში გაბრუნებუ-ლა. ჯვრისწერის ფოტოც არსებობს.

— ოჯახში ინახავთ?

— არა, ერთხელ სკოლიდან ხელნაწერთა ინ-

სტიტუტში ექსკურსიაზე ვიყვავი კლასელებთან ერთად და იქ გამოეფინათ მაშინ კარგად არც კი ვიცოდი, ვინ იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

— 1886 წლის 24 მაისს, თბილისის სასუ-ლიერო სემინარიიდან გარიცხულმა 20 წლის ახალგაზრდამ ხანჯლით მოკლა ამავე სემი-ნარის რექტორი პავლე ჩუდეცა, მას ცოლისა და ცოლისძის თვალწინ გაუსწორდა. ეს ამბა-ვი ელვის სისწრაფთი მოედო ვრცელ იმპერი-ას. ვინ იყო ის 20 წლის ბიჭი?

— ზუსტად არ მახსოვს, ვიცი, სემინარია-ში სტალინიც სწავლობდა. თუმცა არა, გამახ-სენდა, თუ არ ვცდები, „ისტორიანიც“ წერდა მასზე. ლავდაშვილი იყო, მეორი მასაც სტა-ლინის სახელი ერქვა...

— დიახ, იოსებ ლავდაშვილი! ეს ციხესი-მაგრე ისტორიულ წყაროებში პირველად XVI-II საუკუნეში იხსენიება. ის რეგიონის მნიშვ-ნელობან სტრატეგიულ სიმაგრეს წარმოადგენ-და. მისი დაუფლება მთელ შიდა ქართლზე ბა-ტონობას ნიშნავდა. ციხე საუკუნეების განმუ-ლობაში არაერთხელ აღდგენილა და გადაკე-თებულა. დღევანდელი სახე 1774 წელს მიიღო, როცა ერეკლე მეფე საფუძვლიანად შეაკვთა. რომელ ციხეზე ლაპარაკა?

— დარწმუნებული ვარ, გორის ციხე იქნება!

— დიახ. რა ფიზიკური ნაკლი პქონდა თუ-მურ-ლენგს გარდა იმისა...

— (მაწვეტინებს) კოჭლობდა.

— მაგის გარდა?

— არ ვიცი.

— მარცხენა ხელს ვერ შლიდა.

— კოჭლობდა, ხელს ვერ შლიდა და... მა-ინც იბრძოდა!

— იგი 1886 წელს გადაეცეს ქუთაისის გუ-ბერნიის თავადაზნაურთა მარშლის თანამდე-ბობიდან, ხოლო 1887 წელს სტავროპოლში მოკლეს. ამბობენ, მისი მკლელობის ორგა-ნიზატორი რუსეთის იმპერიამ ბრილიანტის ჯვრით დააჯილდოება. ვინ იყო ცარიზმისთ-ვის ასე საშიში ქართველი მოღვაწე?

— (ფიქრობს)

— მიგანიშნებთ, ის საქართველოს ეკლე-სიამ 2007 წელს წმინდანად შერაცხა. აგარი წერეულში ცნობილი ლექსი „განთიადი“ მი-უძღვნა.

— რა თქმა უნდა, დიმიტრი ყიფიანი!

— რომელ წელს გაიხსნა საქართველოში პირველი რეინიგზა?

— ზუსტი თარიღი არ მახსოვს... სავარაუდოდ, XIX საუკუნის ბოლოს...

— ნაწილობრივ გამოიცანით. ზუსტი თარიღია 1871 წლის 14 აგვისტო! „აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს — / ეს კაცია, ალბათ, თურქის თემის... / და მე ვევირი: — ჩემს სისხლს დალევს უწინამც! / და მე ვმღერი: — აფხაზეთი ჩემი! / ოპიშე „არგო“ (სხვა ხომალდი გუშინაც!) / მოაპობდა ზევირთებს ნიჩბის ცემით... / და მე ვევირი: — მევდარსაც მნახვენ უწინამც! / და მე ვმღერი: — აფხაზეთი ჩემი“. ვინ არის ამ ლექსის ავტორი?

— ჩემი ერთ-ერთი საყვარელი პოეტი, მურმან ლეანიძე.

— რომელი ცნობილი გერმანელი პოლიტიკოსი და სამხედრო მოღვაწე არ იხდიდა გადასახადებს?

— აღოლფ ჰიტლერი.

— და ითის მიერ წარმოებული რომელი ომის შემდეგ მოხდა კახეთ-ჰერთის შემორთება?

— (ფიქრობს) მეორი ერწუხის ბრძოლის შემდეგ, სწორად მახსოვს?

— დაიხ, თარიღსაც ხომ ვერ გაიხსენებთ?

— წელიწადი ზუსტად არ მახსოვს.

— ერწუხის ბრძოლა 1104 წელს მოხდა. ვროცა გამომეგბას ლამის სკანდალი მოჰყევა. რა შეცდომა იყო დაშვებული კუპიურების თავდაპირველ გარიანტზე გამოსახულ ვროპის რუკაზე?

— არ ვიცი.

— გერმანია შუაზე იყო გაყოფილი. ვინ იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტი?

— მინიშნებას ვერ მეტყვი?

— ის ხენტბულ უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. 1932 წლის შეთქმულებაში მონაწილეობით თვითის დააპატიმრეს და გააციმირეს. 1835 წელს ჭლვექით გარდაიცვალა.

— ლამის კველაუერი მითხარი და ეს არის. როგორც იქნა, გავიხსენე, სოლომონ დოდაშვილია!

— საფრანგეთის ამ მეფე 72 წელიწადს იმედია. აშბობდნენ, მისი მეფობის დასასრულს, დასწევისი აღარ ა ხსოვდათო. ვისტეა ლაპარაკი და რა იყო მისი ეპითეტი? მიგანიშნებ, 1655 წელს საფრანგეთის პარლამენტი შეეცადა, მისთვის ქვევის მართვის პოლიტიკა შეცვლებინებინათ, რადგან მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მან კი განაცხადა: „სახელმწიფო — ეს მე ვარ“.

— ლუდოვიკო XIV-ზეა ლაპარაკი.

— მისი ეპითეტიც გაიხსენე.

— მგონი მზე, არა?

— დიახ, მეფე მზე! სადაური სიტყვაა ისტორია?

— ბერნული.

— დღეს ეს შეიობა ლონდონის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა. ერთ დროს კი ციხეს წარმოადგენდა ომებში აყვანილ ტყვეთათვის.

— ლონდონის ტაუერი, არა?

— ნამდვილად ასეა! არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე) წერდა: „როცა ხატი ათონის მთის დატოვებას დააპირებს, ზარების რეგუატედება, ეკლესიები ხილული სახით მოიხრებიან გაცილების მიზნით... ეს არის დვთის წყალობა, რათა მსოფლიომ ნახოს და გადასარჩენი სულები აქ ჩამოვიდნენ, საქართველოში“. რომელი ხატი დატოვებას ათონის მთას?

— ივრიდის დვთისმშობლის ხატი.

— „შენ სამშობლოში შეი რჯახის დესპინი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ — შენი ერთი დესპანი, რაღაც შენი საქციელი შინ შენი რჯახის სახეა და გარეთ — შენი ერის“. რომელ ცნობილ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

— ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშებაში“.

— რამდენ წელიწადს იცოცხლა ალექსანდრე მაკელინელმა?

— ნააღრევად გარდაიცვალა, თუ არ ვცდები ქრისტეს ასაკისა...

— დაიხ, 33 წლის იყო. რომში ის სიმაციის სიმბოლოდ მიიჩნეოდა, ომის დროს ვინც პირველი შეიძრებოდა მოწინააღმდეგის ქალაქში, უფლებას აძლევდნენ, ხელში ეს მცენარე სჭრობა, ხოლო ვინც მისით თავს დაუშმასხურებლად გაიღამაზებდა, ციხეში სვამდნენ. დაასახელე ეს მცენარე.

— დაფნა?

— ცდები! ერთ-ერთ ყვავილზეა ლაპარაკი. მაშინ გარდა! გამოვიცანი?

— დაიხ! რომელ ბრძოლაში დაიღუპნენ მები ხერხულიძეები?

— მარაბდის ბრძოლაში.

— დაასრულე რომაელი ფილოსოფოსის, ციცერონის ცნობილი გამონათქვამი: „თავისუფალი რომ იყო, უნდა იყო მონა...“

— იურისტმა ამ კითხვაზე რომ ვერ გიბასუხო, არ მეტატიქება: „...უნდა იყო მონა კანონისა“.

**თამარ პაიიკაძე**

# ყველაზე გაღიალი მთაბი

486

მეცნიერებისთვის მთებში  
მუშაობა მეტად წნელია. გარდა იმისა, რომ  
მთას დამრეცი კალთები აქვს, საშინლადაც  
ციფა, ქარი ქრის და ყინულით არის მოლი-  
ჰული. მაღლა მთაში სუნთქეაც ჭირს,  
რადგან რაც უფრო მაღლა აღისარ, მით  
ნაკლებია ჰაერში ჟანგბადი. XX საუკუნის  
დამდეგს ყველაზე მაღალ მთა ვერესტზე,  
რომელიც ზღვის დონიდან 8850 მეტრზე  
მდებარეობს, ფქვი ჯერ არავის დაედგა.

▼ თანამედროვე მთამსვლელი ვერესტზე-  
პირველ მეგლევრებს არ ჰქონდათ მაღალ-  
ტექნოლოგიური სამთამსვლელო აღჭურვი-  
ლობა — მათ მხოლოდ მძმე წალები და  
შალის ჟაჟტები ეცვათ.

487

1924 წელს ინგლისელმა მთამსვლე-  
ლებმა — ჯორჯ მელორიმ და ენდრიუ  
ირვინმა სცადეს ვერესტის დაპყრობა. მათი  
მსარდამშერი გუნდი ხედავდა, როგორ  
დაიძრნენ ისინი მწვერვალისკენ, მაგრამ მალე  
ღრუბლებში მიიძალნენ. მელორი და ირვინი  
აღარ დაბრუნებულან. არავინ იცის, მიაღწიეს  
მწვერვალს თუ მანამდე დაიღუპნენ.

დაუჯერებელია!

ზოგიერთ მთამსვლელს  
სჯერა, რომ ენდრიუ ირვინის  
სული ვერესტზე დაქარტება  
და მთამსვლელებს ეჭმარება.

# 500 ფაქტი ისტორიიდან / მკვლევრები დასასრული. დასწუყისი „ისტორიანი“ №№7-32 • ნაწევები წიგნიდან „500 ფაქტი ისტორიიდან“

**488** გასული საუკუნის 50-იან წლებში ბევრმა ქვეყანამ სცადა ევროსტიზე მთამსვლელების გაგზავნა. 1952 წელს ასელას შვეიცარიისათვის ქვეყნის ცირკულარი ცირკულარი და ბევრი ბევრი ბრიტანულმა გუნდმა სცადა. მთამსვლელებს ევანსსა და ბორდილონს მხოლოდ 90 მეტრი დააკლდათ მწვერვალამდე, მაგრამ იძულებული გახდნენ, უკან დაბრუნებულიყვნენ, რაღაც უანგბადის ბალონი გაუტყდათ. შემდეგ კიდევ ორმა მთამსვლელმა — ედმუნდ ჰილარიმ და ონცინგ ნორგეიმ სცადეს ევერესტზე ასელა.



▲ პილარიმ და ნორგეიმ ევერესტზე ასასვლელად აირჩიეს მისი სამხრეთი ქალთ, რომელსაც მთამსვლელები ჟელაზე მნელ მონაკვეთად მიიჩნევდნენ.

**489** 1953 წლის 28 მაისს, დილის 11:30 საათზე თენცინგი და ჰილარი ევერესტის მწვერვალზე იდგნენ. ისინი ერთმანეთს გადაქვევნენ, ფოტოებიც გადაიღეს და საჩქაროდ უკან დაბრუნდნენ, მაგრამ უკან დაშვებისას მათი ექსპედიციის ბევრი წევრი დაიღუპა.



**490** ჯერ კიდევ დასალაშქრი იყო უზარმაზარი, მსოფლიოში სიღიძით მეორე მთა. K2 კიდევ უფრო სამიშა, ვიდრე ევერესტი. 1902 წლიდან ბევრმა სცადა მისი დაპყრობა, მაგრამ დაიღუპნენ. 1954 წელს იტალიელებს გაუმართლა — მთაზე ასასვლელად ლინო ლაჩედელი და აკილე კომპანიონი შეარჩიეს. მიუხედავდ იმისა, რომ უანგბადი გაუთავდათ, მთამსვლელებმა გზა მაინც განაგრძეს და მწვერვალს მიაღწიეს.






**493** გამომგონებელმა ოგიუსტ პიკარმა შექმნა ხომალდი, რომელსაც ბატისკაფი ეწოდება. 1960 წელს ორი მკვლევარი ბატისკაფ „ტრიესტით“ წენარ ოკანეში, ჩელენჯერის უფსკრულის ფსკერზე დაეშვა. მისი სიღრმე 10 900 მეტრია.

▼ საკვამურის ფორმის პილროთერ-მული ხვრელები გარშემორტყმულია გიგანტური რიფტიებით, რომელთა სიგრძე ერთ მეტრზე მეტია.

▲ „ტრიესტში“ ორი მკვლევარი მთავარი სუქციის ქვემოთ განთავსებულ ნაკვეთურში ჯდებოდა.

**494** 1977 წელს მეცნიერებმა ზღვის ფსკერზე აღმოაჩნეს უცნაური საკვამურები, რომელთაც პილროთერმული ხვრელები უწოდეს. მათი მეშვეობით მიწის სიღრმიდან ცხელი წყალი იფრქვეოდა. წყალი ცოცხალი ორგანიზმებისთვის საჭირო მინერალებს შეიცავდა. ხვრელების გარშემო დაცურავდნენ უცნაური არსებები, რომლებიც მანამდე არავის ენახა, მათ შორის იყვნენ გიგანტური რიფტიები და მოლუსკები.




**495** ზღვები და ოკეანები იძენად დიდია, რომ წყალქვეშა სამყაროს სრულად ჯერ კიდევ არ ვიცნობთ შეიძლება არსებობ-დეს კიდევ ბევრი წყალქვეშა მდვიმე თუ სხვა აბიექტი, რომლებიც არ აღმოგ-ვიჩენა. მეცნიერთა აზრით, შესაძლოა, არსებობს უცნობი ზღვის ცხოველებიც, ისეთი, როგორიცაა გიგანტური კალმარი, ზეიგენი და ვეშაპი, რომლებიც აღმოჩენას ელიან.


## კოსმოსი

**496**

კიდევ ერთი ადგილი, რომელიც ადამიანის მიერ ძალიან მცირედ არის შესწავლილი, კოსმოსია. მისი გამოკვლევა 1957 წლის 4 ოქტომბერს დაიწყო, როცა პირველი რუსული ხელოვნური კოსმოსური ხომალდი „სპუტნიკ I“ ორბიტაზე გაუშვეს. თანამგზავრს მგზავრები არ ჰყოლია.



▼ ძაღლი ლაიკა, რომელიც კოსმოსში გაუშვეს, ნახვრად ჰასკის ჯიშის, ნახვ-რად კი ეზოს ძაღლი იყო.



**498**

1961 წელს იური გაგარინი პირველი ადამიანი იყო, ვინც კოსმოსში გაფრინდა. მის ხომალდს „ვოსტოკ I“ ერქვა. ორბიტაზე გასვლის შემდეგ, გაგარინმა დედამიწას შემოუფრინა, რასაც დაახლოებით ორი საათი დასჭირდა. შემდეგ „ვოსტოკ I“ დედამიწზე დაბრუნდა და მშვიდობიანად დაშვება მიწზე. გაგარინმა დაამტკიცა, რომ ადამიანებს კოსმოსში მოგზაურობა შეუძლიათ.

**497**

იმავე წელს კოსმოსში პირველი ასტრონავტი გაფრინდა. ძაღლი, სახელად ლაიკა კოსმოსში რუსული თანამგზავრ „სპუტნიკ II“-ით გაუშვეს. სამწუხაროდ, ლაიკა დაიღუპა, მაგრამ სათავე დაუდო ადამიანის მიერ კოსმოსის გამოკვლევას.


▼ იური გაგარინი სკაფანდრში, გაფრენამ-დე ცოტა ზნით ადრე, რის შემდგაც ის პირველი ადამიანი გახდა, ვინც კოსმოსში იმოგზაურა.



**499**

ასწლეულების განმავლობაში ადამიანები მთვარეზე გაფრინავებენ ოცნებობდნენ. 1969 წელს აშშ-ის კოსმოსური ხომალდით „აპოლო 11“ ასტრონავტები მთვარეზე გაფრინდნენ. პირველი, ვინც მთვარეზე ფეხი დადგა, ამერიკელი ასტრონავტი ნილ არმსტრონგი იყო. მას ბაზ ოლდრინი მთვარეზე და ასტრონავტებმა მთვარეზე ორ საათს დაჭყვეს და ქვები შეაგროვეს, შემდეგ დედამიწაზე დაბრუნდნენ.

„აპოლო 11“-ის  
მთავარი კაფეულა და  
მისი მგზავრები.



**500**

ჯერჯერობით  
ადამიანს სხვა პლანეტაზე  
ფეხი არ დაუდგამს. კოსმოსუ-  
რი რაკეტები მილიონობით  
კილომეტრის მანძილზე  
იყვლევენ კოსმოსის  
უსასრულო სივრცეებს.  
1977 წელს გაშვებული  
„გოიაჯერ 1“ ჯერ  
კიდევ კოსმოსშია.  
ის ახლა ჩვენგან 10  
მილიარდი კილო-  
მეტრით არის  
დაშორებული.

▲ უპილოტო  
კოსმოსური აპარატი  
„გოიაჯერ 1“.



დაუჯერებელია!

1957 წელს, ლაიკას  
მოგზაურობის შემდეგ,  
კოსმოსში მაიმუნები, კატა,  
ბაფაები და ობობები  
გაგზავნეს.





			1	ქველობურია შენარაღადი				2	ერთ-ერთი ასტრილი მამა ... მედვემელი
			3	ატალიელი ასტრილიმა ჯორგანი ...			4	სამხრეთ კურის დაცვულაქი	
			5	პოლონეზია მარინიმერუნ რეფორმისტო რი ლეშე ...					
			6	სოფელი და უკვეთი კაშე თერჯოლასამ		7	გვაპტის გეორგ პრეზიდენტი		
8	9	10	11	ქარაბელის შემატებობა					
შემატებე ბი	ატალიელი შემატებობა	რუმინეთის გენდარტებობი		შემატებელის შემატებელი					
12							13	ქარაბელი ბავშვთა ფოლეკორნე ლი მასამდე	
გემინიული-ე ლი								ქარაბელი ბავშვთა ფოლეკორნე ლი მასამდე	
14							16	ფრანკი შემატებო ალონის ...	
აღა შეარე ს შემატები სისყვა								ფრანკი შემატებო ალონის ...	
15							17	ვერცხლინ ნაფა მამა „აზერუ გოქეში	
უკუცისა საბჭო იუდეაში								ვერცხლინ ნაფა მამა „აზერუ გოქეში	
16							18		
20	21	22	23	მდინარე ქაშანი, აკანის, მარგება შენაკადი			19	ქაბერძოშის გაუძლიერებუ ლი კარიბტი	
ძელფრანგ-ე ლი წერდის ფული	შემატების პერსონაჟი	დალომისტური წირისას გერ ლობის მართვი							

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხის:

1. კუდავი;
2. კლადა;
3. კარილინგბი;
4. ჩიდარი;
5. მაზნი;
6. ფარი;
7. ფაშა;
8. ნინა;
9. მხარერქლი;
10. ისტორია;
11. გრაფი;
12. ფლანგი;
13. კლონი;
14. საგა;
15. აგორა;
16. ლირა;
17. ეპოქა;
18. ოსდომ;
19. აბო;
20. აფსრია;
21. ნომი;
22. ტიტო;
23. არნა;
24. გრუტა;
25. ბიბლია. სურათზე: კაჩინსკი.